# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 დეკემბერი **ორშაბათი** 2009

№ 294 (12 973) ფასი 60 თეთრი




ფოტო: ambebi.ge

## ჭანტურიას ისევ გააქვს

>> გვერდი 5

## თავდასხმა მილანის პრეზიდენტზე

### ბერლუსკონის სისხლი ადინეს



გუშინ „მილანმა“ შინ „პალერმოსთან“ 0:2 წააგო და ამის გამო ლეონარდოს „მოხვდება“ კიდეც. სილვიო ბერლუსკონის კი უკვე მოხვდა - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. „პალერმოსთან“ მატჩის შემდეგ იტალიის პრემიერი და ამავდროულად „როსონერის“ პრეზიდენტი ერთ-ერთ პოლიტიკურ თავშეყრაზე მიბრძანდა, სადაც ახალგაზრდა კაცი დაესხა თავს. ატყდა ერთი ჩოჩქოლი, რის შემდეგაც მთელმა დუნიამ იხილა ბერლუსკონის დასისხლიანებული სახე... თავდამსხმელი დააპატიმრეს. დაზუსტებული ინფორმაცია იმის თაობაზე, „მილანის“ ბოსს მუშტი მოხვდა თუ რაღაც საგანი, გვიანობამდე არ გავრცელებულა.

თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მალე ყველაფერი გაირკვევა, მანამდე კი ნუ გამოვრიცხავთ, რომ ბერლუსკონიზე მიტანილ იერიშს პოლიტიკური კი არა, სწორედაც საფეხბურთო მოტივი ჰქონდეს. გუშინ ხომ „მილანი“ საკუთარ მოედანზე შერცხვა და არ იცით გიჟმაჟი ტიფოზების ამბავი?..



**კალათბურთი**

## რეკორდები



## საჩემპიონატო და სალეგიონო



## ცქიტიშვილმა სასტარტოში ითამაშა...



## ცინცაძე: კიევი არა, დონეცკი

>> გვერდი 12

# სუპერთასიც და დავისვენოთ



შაბათს ვაკეში. დინამო-სამტრედია 2:0

>> გვერდი 2-4

## მარტო უიღბლობა თუ?..

ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი 1:1

## ზესტაფონის ნანვალები მოგება

## მწვრთნელები წნეხის ქვეშ



ჩირო ფერარა

ბარი-იუვენტუსი 3:1



რაფა ბენიტესი

ლივერპული-არსენალი 1:2



ლეონარდო

მილანი-პალერმო 0:2

ევროტაძრები

>> გვერდი 6-10

საქართველოს ჩემპიონატი

XVIII ტური

# ოლიმპის ძალა

12.12.09. გორი. ქართლი
100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| ოლიმპი | 2 |

1:0 პ. დათუნაიშვილი (28), 1:1 აკინო (58. ს. თოდუას პასით), 1:2 აკინო (66-პენ)

სპარტაკი: გვენცაძე - გილაური, გ. კვახაძე, ბაქრაძე, დეკანოსიძე - კლოვისი (69. შალამბერიძე), შონია (82. კანდელაკი), მანწკავა, დათუნაიშვილი (46. მაისურაძე) - ცხადაძე, გოცირიძე.

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, ზონი, შალამბერიძე, კანდელაკი, სეფიაშვილი

ოლიმპი: ჭანტურია - ს. თოდუა, მაჭავარიანი, ფრაგა, გველესიანი - ზ. ჭელიძე, დობროვოლსკი, იმედაშვილი, ბაბუნაშვილი (69. გ. თოდუა) - აკინო (88. ფოფხაძე), ჭედია.

*სათადარიგოები:* ალავიძე, რეხვიაშვილი, გორდეზიანი, კალანდაძე

გაფრთხილება: ჭელიძე (15), გილაური (37), ჭანტურია (54), დეკანოსიძე (90)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

რუსთავის „ოლიმპმა" გორში პირველი ეტაპის ბოლო მატჩი ცხინვალის „სპარტაკს" მოუგო და მეორე ეტაპს სოლიდური უპირატესობით დაიწყებს. ვითარებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ „ოლიმპის" წინსვლას ვერაფერი შეაჩერებს - რუსთაველებმა ისეთი ძალა აჩვენეს, მეტოქეებს შიში და მოკრძალება გაუჩნდათ. შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ დღეისთვის საქართველოში ამ გუნდის შემჩერებელი არ ჩანს.

ასე მოხდა „ქართლის" სტადიონზეც - ცხინვალის „სპარტაკმა" პირველ ტაიმში კი გაიბრძოლა, მაგრამ მეორე ნახევარში გუნდი დადგა. თითქოს მასპინძლები წინასწარ შეეგუენ იმას, რომ სტუმართა გასამკლავებელი ძალა არ გააჩნდათ.

არადა, პირველ ტაიმში „სპარტაკი" „ოლიმპზე" უკეთ გამოიყურებოდა, რუსთაველები კი უყურადღებოდ თამაშობდნენ და ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ, რაც პირველ ტაიმში ძვირადაც დაუჯდათ. ასე იყო იმის მიუხედავადაც, რომ უკვე მე-5 წუთზე **დავით იმედაშვილმა გიორგი ჭედია** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ამ შეტევას შედეგი არ მოჰყოლია.

მასპინძლებმა აქტიურად შეუტიეს: მე-9 წუთზე „სპარტაკის" თავდამსხმელი **ბაჩანა ცხადაძე** დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ მეკარე **გია ჭანტურიას** ვერ აჯობა. ცხინვალელები აქტიურად და სახიფათოდ თამაშობდნენ, ჰოდა, ანგარიშიც მათ გახსნეს: 28-ე წუთზე **ლაშა დეკანოსიძის** მიერ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი კარისკენ **კლოვისმა** გაგზავნა - ბურთი ჯერ ცხადაძეს მოხვდა, შემდეგ **პავლე დათუნაიშვილს** და ბოლოს - ძელს. ეტყობა, ამ ეპიზოდში „ოლიმპის" მცველებს გონება „კოლექტიურად გაეთიშათ", რადგან ამ ყველაფრის შემდეგ დათუნაიშვილი ჭანტურიას წინაალმდეგ მაინც უმეთვალყურეოდ დარჩა და დამატებაზე ზუსტადაც ითამაშა - 1:0.

გოლმა საკმაოდ უფერული თამაში გამოაცოცხლა, რუსთაველები გამოფხიზლდნენ - ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტს ასეთი თამაში არ შეეფერებოდა. 35-ე წუთზე **ზაზა ჭელიძე** მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და ვითარების გამწვავებაც შეეძლო, მაგრამ ძალზე არაზუსტად ითამაშა. ასევე ნარუმატებელი იყო ტაიმის მიწურულს **აკინოს** ორი შორეული დარტყმაც - ბრაზილიელს ორივეჯერ მიზანმა უმტყუნა.

მეორე ტაიმში სპარტაკელები უყურადღებოდ და გულგრილად მოქმედებდნენ, თან ისეთ სამარცხვინო შეცდომებს უშვებდნენ, თავმოყვარე ფეხბურთელი საკუთარ თავს რომ არ აკადრებს. მატჩის შემდეგ „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** მეორე ტაიმის ჩავარდნა ამგვარად ახსნა - საქართველოში მაინც მოქმედებს ლიდერის შიში, ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე დათუნაიშვილიც დაგვიშავდა და ძლიერ მეტოქეს წინააღმდეგობა ველარ გავუწიეთო.

ლიდერის შიში ნამდვილად იგრძნობოდა და რუსთაველებს, აბა, ასეთი მეტოქე შეაჩერებდა? და „სპარტაკის" კარის „დამომბვაც" დაიწყო: 49-ე წუთზე იმედაშვილი მარცხენა ფლანგზე მცველებს კარგად გაექცა და მეკარის საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ჭედია შენიშნა, მაგრამ „ოლიმპის" ფორვარდის თავური დარტყმა არაზუსტი გამოდგა. საკვირველია, რომ ამ დროს მის განეიტრალებას არც ერთი ცენტრალური მცველი არ ცდილობდა - რაზე ფიქრობდნენ, გაუგებარია.

ცხინვალელები დარჩენილ დროშიც ზერელედ თამაშობდნენ: სტუმართაგან ყველა, ვისაც არ დაეზარა, კარის წინ მარტო რჩებოდა, მაგრამ საგოლე მომენტების რეალიზაცია მხოლოდ ორჯერ მოხერხდა. ამდენჯერ კი მარტო **ზაზა ჭელიძეს** შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მეტისმეტად არაზუსტად ითამაშა. სამი მომენტი შეექმნა იმედაშვილს, მაგრამ ორჯერ მიზანს თავური დარტყმით ააცილა, ხოლო ერთხელაც საჯარიმოს ხაზიდან სუსტად დაარტყა და ბურთს მეკარე **ამირან გვენცაძე** დაეუფლა.

თუმცა „სპარტაკის" მცველთა უხეში შეცდომების სერიალი 58-ე წუთზე „ოლიმპის" გოლით დასრულდა - **სევასტი თოდუას** მიერ ჩაწოდებული ბურთი **შოთა ბაბუნაშვილმა** მოხდენილად გაატარა, 11-მეტრიანის ნიშნულთან აკინომ მიიღო და კარის აღება აღარ გასჭირვებია - 1:1.

მასპინძლებმა ყველაზე სახიფათო მომენტი 50-ე წუთზე შექმნეს. ეს **ნიკა მაისურაძის** აქტიურობას მოჰყვა, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან დარტყმული კარს ასცდა. გადამწყვეტი გოლი კი იმედაშვილის შეტევის შედეგად გავიდა - „ოლიმპის" ნახევარმცველი ცხინვალელთა მცველმა საკუთარ საჯარიმოში წააქცია, პენალტი ზუსტად შეასრულა აკინომ და 15 მატჩში უკვე მე-18 გოლი მიითვალა. თუმცა აქვე ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ბრაზილიელმა 18-დან 8 გოლი პენალტებით დააგროვა. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბომბარდირი აკინო 5-ბურთიანი უპირატესობით გახდა.

მე-80 წუთზე რუსთაველთა ცენტრალურ მცველ **ნოდარ მაჭავარიანსაც** შეეძლო თავის გამოჩენა - კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ის მეკარის საჯარიმოში დახვდა, მაგრამ „მოახერხა" და კარს ააცილა. ალბათ, ცხინვალელთა მთავარ მწვრთნელს მოუწევს იმის გაანალიზება, რა დაემართათ მის ფეხბურთელებს მეორე ტაიმში და რატომ არ გამოიჩინეს სპორტსმენისთვის საჭირო ბრძოლისუნარიანობა. ასეთი გულგრილი თამაშით კლუბს რთული მეორე ეტაპი ელის.



აკინომ დუბლი შეასრულა

გორი-თბილისი

ინტერვიუ



## გია კვარაცხელია

# ოლიმპს დიდი გეგმები აქვს და ამიტომაც დავთანხმდი...

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულებულია, ლამის ორთვიანი შესვენება დაიწყო და მალე გუნდებში დიდი მისვლა-მოსვლა გაიმართება. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რუსთავის „ოლიმპში" საკმაოდ სერიოზული საკადრო ცვლილებები განხორციელდება - ზოგიერთ ფეხბურთელს შეელევიან, მათ ნაცვლად კი რამდენიმე ახალწვეული მოვა.**

**„ოლიმპს" ყველა რგოლში სურს გაძლიერება და ერთი ფეხბურთელი უკვე შეიგულეს კიდეც: მინსკის „მზპრიპოს" ცენტრალური ნახევარმცველი და ვიცე-კაპიტანი, ბელარუსის პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი - საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი გია კვარაცხელია. ინფორმაციის გადასამოწმებლად თვით კვარაცხელიას დავუკავშირდით:**

- დიახ, ასეა, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. ბელარუსიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვედი, საკმაოდ საინტერესო ვარიანტებიც შემომთავაზეს, მაგრამ ჩემი ბავშვობის მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი დავით კირკიტაძე რომ დამიკავშირდა, ყველა ვარიანტზე უარი ვთქვი და რუსთავის „ოლიმპში" თამაშზე წინასწარი თანხმობა ვუთხარი. მართალია, პირობებზე ჯერ არ გვილაპარაკია, მაგრამ კლუბს სერიოზული გეგმები აქვს და სხვაგან წასვლა გადავიფიქრე.

**- ეტყობა, „იმ ყველა ვარიანტში" მაინცდამაინც სერიოზული წინადადებები არ იყო...**

- არა, ასე ვერ ვიტყვი, მენეჯერი დამიკავშირდა და მითხრა, რომ სამი კლუბი იყო დაინტერესებული - ჰაიფასა და თელ-ავივის „მაქაბი", ფეთახ-თიკვას „ჰაპოელი" და ავსტრიის ბუნდესლიგელი „ვინერ ნოიშტადტი". ეს კლუბები ყოველგვარი სინჯების გარეშე პირდაპირ კონტრაქტებს მთავაზობდნენ.

**- გამოდის, რომ „ოლიმპმა" უკეთესი პირობები შემოგთავაზათ...**

- პირობებზე ჯერ არც გვილაპარაკია, მაგრამ წლებია უცხოეთში ვთამაშობ და სიმართლე გითხრათ, აქეთ-იქით მოგზაურობით უკვე ძალიან დავიღალე. ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ რუსთაველებს, როგორც გითხარით, სერიოზული გეგმები აქვთ, რამაც ძალიან მომხიბლა და სიმართლე გითხრათ, გამაოცა კიდეც. კლუბის პატრონებს სოლიდური გეგმები აქვთ. ამ ყველაფრის იმიტომ ვირწმუნე, რომ კირკიტაძის სახით „ოლიმპს" სერიოზული პატრონი ჰყავს, თემურ მახარაძე კი ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი მწვრთნელია, ვისთანაც ოდესმე მიმუშავია. ფოთის „კოლხეთიდან" თბილისის „დინამო 2"-ში მახარაძემ ამიყვანა, მენდობოდა და ჩემი კარიერა სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. ბუნებრივია, ამბიციურ კლუბში ფინანსური გაჭირვება არ იქნება, მაგრამ მარტო ფული არ მაინტერესებს. ევროპული დონის კლუბის ჩამოყალიბების იდეა მიზიდავს, საქართველოში კი ამის პოტენციალი ნამდვილად არსებობს.

**- ამბიციური კლუბიდან ეროვნულ ნაკრებში - ასეთი გათვლაც გქონდათ?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. „კაუნასში" თამაშის დროს ლიტვის საუკეთესო ლეგიონერი გავხდი. ამ გუნდის ბაზაზე დაკომპლექტებულმა ეროვნულმა ნაკრებმა კი საქართველოს ორჯერ მოუგო და მაშინაც კი არ მომაქციეს ყურადღება. ბელარუსში ზედიზედ ორჯერ წლის სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდი და მაინც არ მიმიწვიეს. ალბათ, ნაკრებზე ფიქრი აღარ მილირს... სამწუხაროდ...

**- საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს თუ დაესწარი?**

- სულ რაღაც ერთი კვირაა, რაც ჩამოვედი და ხომ ხვდებით, მეგობრებსა და ნათესავებს მონატრებულ კაცს სტადიონისკენ ვინ გამახედებდა? თუმცა ვიცი, რომ ლევან კორლალიძე და თორნიკე აფციაური დაბრუნდნენ საქართველოში და დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი ჩემპიონატის დონეს ასწევს. ასეთი ფეხბურთელები ბელარუსის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის ჩემპიონატებში რატომ უნდა თამაშობდნენ? 50 ლეგიონერიც რომ ჩამოვიდეს, სულ სხვა დონის პირველობა გვექნება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

სიახლე

# ოლიმპი მსოფლიო ქსელში

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 10 გუნდია და მათგან მხოლოდ ხუთს გააჩნია საკუთარი ვებგვერდი - „ზესტაფონს", „ვიტ ჯორჯიას", „დინამოს", „გაგრასა" და „ბაიას". დანარჩენებს („ოლიმპი", „სპარტაკი", „სამტრედია", „სიონი", „ლოკომოტივი") 21-ე საუკუნის გუნდისთვის აუცილებელი ინტერნეტმისამართი არ გააჩნიათ. ისე კი, „სიონსა" და „ლოკომოტივს" ადრე ჰქონდათ საკლუბო საიტები, მაგრამ ამჟამად მომხმარებელს ამ სერვისით ველარ ანებივრებენ.

რუსთავის „ოლიმპს" ეს პრობლემა უკვე მოეხსნა - სულ რამდენიმე დღეა, ამოქმედდა კლუბის ოფიციალური ვებგვერდი - http://www.olimpifc.com. იმედია, ინტერნეტში ოფიციალური გვერდი მალე ყველა გუნდს ექნება. ამას მაინც არ სჭირდება განსაკუთრებული ფინანსები.

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# რთული გამარჯვება

12.12.09. ზესტაფონი. ცენტრალური
2 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 2 |
| ბაია | 1 |

1:0 კორღალიძე (28. აფციაურის პასით), 1:1 გუგუჩია (40), 2:1 გელაშვილი (81)

ზესტაფონი: მამალაძე - ლობჟანიძე, გ. ონიანი, გ. ხიდეშელი, ელიავა - აფციაური, გორგიაშვილი (51. წინამძღვრიშვილი) , დაუშვილი, ძარია (88. ცხადაია), კორღალიძე - გელაშვილი.

*სათადარიგოები: მეშველიანი, იონანიძე, ნ. კვასხვაძე, მაკარიანი, კაჭკაჭიშვილი*

ბაია: ზარქუა - კვეკვესკირი, ნ. შონია (87. კ. შონია) აქუბარდია, ვართაგავა, სვირავა - გ. ქირია, გუგუჩია (74. აფაქიძე), სიხარულია, წურწუმია (67. კუტალია) - ეხვაია.

*სათადარიგოები: მაქაცარია, ქვარცხავა, სამუშია, ჩანგელია*

გაფრთხილება: გ. ონიანი (45), კვეკვესკირი (55), კ. შონია (90)

არბიტრი: მ. ურუშაძე

ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ზესტაფონს" წლის ბოლოს აშკარა ჩავარდნა აქვს. ორ ფრონტზე (თასიც არ დაგვავიწყდეს) წარუმატებელ ასპარეზობას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყვირილისპირელები პირველ ადგილზე მყოფ „ოლიმპს" უკვე 7 ქულით ჩამორჩნენ, თასის გათამაშებას კი მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ. ასე რომ, **გია გეგუჩაძის** შეგირდებს მორიგი წაფორხილების უფლება აღარ ჰქონდათ. არადა, თამაშის სცენარიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ქულების დაკარგვა სრულიად შესაძლებელი იყო. საბოლოოდ, ზესტაფონელებმა მაინც მოახერხეს მეტოქის გატეხა და ჩემპიონატის მეორე წრის ასე თუ ისე მაჟორულ ნოტზე დასრულება.

ორივე გუნდი მატჩს მნიშვნელოვანი დანაკლისით შეხვდა. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული **ჯაბა დვალი** და **შოთა გრიგალაშვილი** არ ჰყავდათ. ზუგდიდელებმა კი სხვადასხვა მიზეზით **ნიკა ძალამიძე, ვალტერ გუჩუა, რონ ონიანი** და **რევაზ ჯიქია** ვერ ათამაშეს. წამყვან შემტევთა არყოფნაში გეგუჩაძემ გარკვეულ გადაადგილებებს მიმართა. მან 4-5-1 განლაგება აირჩია. **ნიკა გელაშვილს**, რომელიც ზესტაფონელთა გამოკვეთილი ფორვარდი იყო, ზურგიდან **ლევან კორღალიძე** და **თორნიკე აფციაური** ეხმარებოდნენ. თუმცა თამაშის მიმდინარეობისას მასპინძელთა განლაგება და ტაქტიკა ხშირად იცვლებოდა. მაგალითად, აფციაურმა თამაში მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე დაიწყო, შემდეგ მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა და საჭიროებისამებრ, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზეც ვხედავდით.

**ბესიკ შეროზიამ** კი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაცვითი ტაქტიკა აირჩია. მატჩის დასაწყისშივე მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. „ბაიას" კართან არაერთი საგოლე მომენტი შეიქმნა. პირველად, მეკარე **ზარქუას** მზადყოფნა შეამოწმა **ძარიამ**, რომლის სახიფათო დარტყმას ზუგდიდელთა გოლკიპერი ყოჩაღად დაუხვდა. ცოტა ხანში, ზესტაფონელთა კუთხურს **გიორგი ონიანის** თავური დარტყმა მოჰყვა და სტუმრები გოლისგან ხარიხამ იხსნა.

მე-14 წუთზე კორღალიძის აქტიურობის შედეგად ბურთი აფციაურს მიუვიდა, რომელმაც საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა და ზუგდიდელთა კარის ძელი კიდევ ერთხელ შეაზანზარა. ზესტაფონელთა მორიგი იერიშისას **გორგიაშვილს** მართებდა გატანა - კორღალიძემ ის ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა ხეირიანად ვერ დაარტყა და ზარქუას ბურთის მოგერიება არ გასჭირვებია.

ფეროელთა აქტიურობამ შედეგი 28-ე წუთზე გამოიღო. აფციაურის ფლანგური გადაცემისას გელაშვილმა კარგად გაატარა ბურთი, რომელიც მეტოქის საჯარიმოში კარისკენ ზურგით მდგომ კორღალიძეს მიუვიდა, ეს უკანასკნელი მცველებთან ორთაბრძოლაში სწრაფად შემოტრიალდა და ზარქუას აუღებელი დაურტყა - 1:0.

გეგუჩაძის ბიჭებმა გოლის შემდეგაც გააგრძელეს მწვავე შეტევები - **ხიდეშელის** სახიფათო თავური ხარიხას გადასცდა, კორღალიძის საჯარიმო დარტყმა კი ზუგდიდელთა კიპერმა გაჭირვებით მოიგერია... მოკლედ, იმერული კრებული უდიდეს უპირატესობას ფლობდა, თუმცა... მე-40 წუთზე ზუგდიდელებმა ერთობ ალოგიკური გოლი გაიტანეს, ალოგიკურიც და, ცოტა არ იყოს, კურიოზულიც - **ლუკა გუგუჩიამ** მარცხენა ფლანგიდან (კარამდე დაახლოებით 40 მეტრი იყო) შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ბურთი პირდაპირ კარში ჩაახვია. მართალია, დარტყმა ოსტატურად შესრულდა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ გოლში თავისი „წვლილი" მასპინძელთა კიპერმა **ზურაბ მამალაძემაც** შეიტანა - ბურთი კარგა ხანს იყო ჰაერში და მეკარეს მისი მოგერიება მართებდა...

ანგარიშის გათანაბრება სტუმრებისთვის მშვენიერი სტიმული გამოდგა. შესვენებამდე ზუგდიდელებმა ერთი მწვავე შეტევაც მოასწრეს, თუმცა **კვეკვესკირის** თავური ზუსტი არ გამოდგა. ზესტაფონელებმა სტუმრებს ძარიას სახიფათო დარტყმით უპასუხეს - ამ შემთხვევაში შეროზიას გუნდი მეკარე ზარქუამ იხსნა.

მეორე ტაიმი პირველის ანალოგიურად დაიწყო. ზესტაფონელები მთელი ძალებით უტევდნენ, „ბაია" კი ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდა. ძარიასა და **ლობჟანიძის** სახიფათო დარტყმები ზარქუამ მოიგერია, აფციაურმა კი მხოლოდ გარედან შეარხია კარის ბადე. 65-ე წუთზე გელაშვილმა ძარია გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ამ უკანასკნელმა შესანიშნავი შანსი ვერ გამოიყენა.

იქამდე, მოედანზე **რატი წინამძღვრიშვილი** გამოჩნდა და თამაშში აქტიურადაც ჩაერთო. მე-80 წუთზე მისი უძლიერესი დარტყმის შემდეგ ზუგდიდელები მეკარემ გადაარჩინა. ერთ წუთში კი რატიმ საგოლე შეტევაშიც მიიღო მონაწილეობა - ლობჟანიძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ მან თავით კარში ძლიერად დაარტყა, ზარქუამ დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე გელაშვილმა იმარჯვა და თავურით გამარჯვების გოლი გაიტანა.

დარჩენილ დროში წინამძღვრიშვილს კვლავ მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მეკარეს ვერც ამჯერად აჯობა. ბოლოს ზუგდიდელებმაც შეუტიეს სახიფათოდ, კვეკვესკირის ფლანგურ ჩაწოდებას **ეხვაიას** თავური მოჰყვა, თუმცა მამალაძე ამჯერად უშეცდომოდ გაისარჯა...

პირველი ტაიმის ბოლოს, როცა სტადიონის დიქტორმა გულშემატკივრებს ამცნო - „ოლიმპი" „სპარტაკთან" 0:1-ს აგებსო, ზესტაფონელ ქომაგთა ემოციებისგან იქაურობა კინაღამ დაინგრა. თამაშის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ „ოლიმპმა" 2:1 გაიმარჯვა და „ზესტაფონის" ფანებსაც ხასიათი წაუხდათ. საგაზაფხულო ეტაპზე ხომ მათ საყვარელ გუნდს კვლავ 7-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრისთვის მოუწევს ბრძოლა...

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან



ზესტაფონს გამარჯვება ნიკოლოზ გელაშვილმა მოუტანა



# ფიქრებით სუპერთასზე...

12.12.09. თბილისი.მ. მესხი.
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| სამტრედია | 0 |

1:0 გ. კაშია (3. მერებაშვილის პასით), 2:0 მამუჩაშვილი (29. მერებაშვილის პასით)

დინამო: ლორია - გეთიაშვილი, გ. კაშია, კაკუბავა, თომაშვილი - მამუჩაშვილი, ქავთარაძე - შ. კაშია, მერებაშვილი (88. ლეკვთაძე), ჯუისი (62. ჩადუნელი) - აკირემი (79. ვაწაძე).

*სათადარიგოები: ნადირაძე, ლომია, ნ. ჯიშკარიანი, სიხარულიძე*

სამტრედია: ხარძეიშვილი - ნინუა, კვესიეშვილი, გოგია, კირთაძე (46. ეცადეიშვილი) - ქორიძე - ფირცხალავა (76. ბარამიძე), ლ. ვაშაკიძე, ტყემალაძე (84. ჯიქიძე), ჩომახიძე - ბაკარანძე.

*სათადარიგოები: ჭინჭარაძე, ბ. ჩხაიძე, ბ. ხაჭიპერაძე, გოგიშვილი*

გაფრთხილება: შ. კაშია (61), მამუჩაშვილი (85)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ზედიზედ სამი გამარჯვებით დაასრულა ჩემპიონატის პირველი ეტაპი თბილისის „დინამომ"; რა თქმა უნდა, კლუბის ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს, ფეხბურთელებსა თუ გულშემატკივრებს მეოთხე ადგილი ნამდვილად არ დააკმაყოფილებთ, მაგრამ ბოლოდროინდელმა ამ სამმა გამარჯვებამ მეორე და მესამეადგილოსნებთან მიახლოების საშუალება მისცა.

იმის თქმა, რომ „დინამო" აღმავლობის გზას დაადგა, ცოტა ნაადრევად გვეჩვენება, თუმცა ამ გუნდის ქომაგებს ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად მისცა. ახლაც, პირველი ეტაპის უკანასკნელ ტურში **კახა კაჭარავას** ერთიანად გაახალგაზრდავებულ გუნდს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია ამ სეზონის უდავო აღმოჩენის, „სამტრედიას" დასამარცხებლად. თანაც, მასპინძლებმა (ძირითადი შემადგენლობის კიდევ ორი ფეხბურთელი რომ მოისაკლისეს - **ვაჟა ნემსაძე** და **ედნილსონი**) საქმე, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში მოამთავრეს. საერთოდაც: იმის გარდა, რომ შეხვედრის ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა, მატჩის ეს მონაკვეთი სანახაობრივად ბევრად ჯობდა მეორე ნახევარს.

...ნემსაძისა და ედნილსონის არყოფნაში „დინამოში" გარკვეული სიახლეები იყო: მარჯვენა მცველად **გიორგი გეთიაშვილი** თამაშობდა, ხოლო **გიორგი ქავთარაძემ** პირველად იასპარეზა ძირითადში; ამას გარდა, საკმაო ხნის შესვენების შემდეგ ცენტრალური შუამარბის პოზიციაზე იასპარეზა **გიორგი მერებაშვილმა**, ვინც, ისე როგორც უკანასკნელ მატჩებში, კვლავაც ერთ-ერთი გამორჩეული იყო მოედანზე. „დინამოს" სწრაფი გოლიც მერებაშვილის დიდი დამსახურება გახლდათ; მის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი **გურამ კაშიამ** ზუსტი თავური დარტყმით სტუმართა კარში გადაგზავნა. აი, ასე - „დინამოს" ახალმა კაპიტანმა და უკვე გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ კაშიამ ზედიზედ მეორე მატჩში გამოიჩინა თავი! ეს ყველაფერი მესამე წუთზე მოხდა, მაგრამ... მანამდე სტუმრებს უკვე „მოსწრებული" ჰქონდათ სახიფათო შეტევა: **ვალიკო ტყემალაძის** პასით **პაატა ბაკარანძე** დასარტყამ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ სტუმართა ერთადერთმა ნომინალურმა ფორვარდმა არაზუსტად დაარტყა. ამის შემდეგ კი თამაში „გაიხსნა" და ორივე გუნდმაც სწრაფ ტემპში ბურთაობა არჩია; „დინამო" ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა და ზედიზედ რამდენჯერმე შეუტია საიმედოდ მოთამაშე **დავით ხარძეიშვილის** კარს; თანაც, თითქმის ყველა ეპიზოდში ყურადღების ცენტრში მერებაშვილი იყო: ათწუთიან მონაკვეთში მისი უშუალო მონაწილეობით „სამტრედიას" კართან სამჯერ რომ შეიქმნა სახიფათო მომენტი. პირველ ჯერზე, მერებაშვილის ფლანგურ რეიდს **ჯორჯ აკირემის** მახვილგონივრული მოქმედება მოჰყვა, მაგრამ ბოლო მომენტში **დონალდ ჯუისმა** ვერ ივარგა; შემდეგ კი, მერებაშვილი ზედიზედ ორჯერ აღმოჩნდა სტუმართა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ პირველ ჯერზე „სამტრედია" **რევაზ ნინუამ** გადაარჩინა, მეორედ კი აკირემის ჩინებული პასის მერე „დინამოს" ლიდერმა ბურთი მიზანს ააცილა. თუმცა, მასპინძლებს აქტიურობა მაინც დაუფასდათ: ისევ და ისევ მერებაშვილის აქტიურობას მეორე გოლიც მოჰყვა! აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდში ახალგაზრდა **გიორგი მამუჩაშვილი** კარგად გაერკვა სიტუაციაში და სტუმართა მეკარესთან პირისპირ გასულმა საბოლოო დარტყმა ტექნიკურად და, რაც მთავარია, ზუსტად შეასრულა. პირველი ტაიმის ბოლომდე „დინამოს" კიდევ ერთხელ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ **შოთა კაშიას** ფლანგურ ჩაწოდებას ჯორჯ აკირემი ვერ მისწვდა. ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, „სამტრედიას" უსიტყვო „კაპიტულაცია" ნამდვილად არ გამოუცხადებია; პირიქით - მეტოქეს სწრაფ ტემპში „აჰყვა" და რამდენჯერმე მწვავედაც შეუტია „დინამოს" კარს. ერთ ეპიზოდში **გიორგი კვესიეშვილის** თავური დარტყმა აღმოჩნდა მცირეოდენ არაზუსტი, მეორედ კი პაატა ბაკარანძე ვერ მისწვდა ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს. ორივე შემთხვევაში ასისტენტის როლში **ლაშა ვაშაკიძე** მოგვევლინა, ვინც აქტიური თამაშით თავი დაგვამახსოვრა. კიდევ ერთი ეპიზოდის აღნიშვნაც გვინდა, როცა სტუმართა კუთხურის შემდეგ „დინამოს" საჯარიმოში ბურთი რამდენიმე ფეხბურთელს ფეხებში „გაებლანდა" და ბოლოს ყველაფერი **შალვა ფირცხალავას** დარტყმით დასრულდა, მაგრამ „სამტრედიას" მარჯვენა ნახევარმცველმა ეს უზუსტოდ გააკეთა.

აი, მეორე ტაიმში კი თამაშის ტემპმა აშკარად მოიკლო. „დინამოც" თითქოსდა ერიდებოდა თამაშის გამწვავებას და ამ მხრივ კახა კაჭარავას შეგირდებს არც გაემტყუნებოდათ: გუნდს სულ მალე ხომ სუპერთასის მატჩი ელოდება. ამის მიუხედავად, მასპინძლებს გოლის გატანის, სულ მცირე, სამი შანსი ჰქონდათ და სამივეჯერ... კვლავაც მერებაშვილი მოექცა „ეპიცენტრში": ერთხელ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, მეორედ დავით ხარძეიშვილმა ითამაშა ჩინებულად, მესამედ კი მის ჩაწოდებულ კუთხურს ისევ გურამ კაშია აგვირგვინებდა „თავური დარტყმით", მაგრამ ამ ჯერზე „სამტრედიას" მეკარემ იყოჩაღა. სტუმართა ახალგაზრდა მწვრთნელები (**მამუკა მესიაჩენკო, ლევან ანჯაფარიძე**) შეცვლებით შეეცადნენ მოედანზე არსებული სიტუაციის შეცვლას - მოედანზე სათადარიგოთა სკამზე მყოფი ორივე ფორვარდი (**ზურაბ ეცადეიშვილი, ლევან ჯიქიძე**) შეიყვანეს, მაგრამ თუნდაც პრესტიჟის გოლის გასატანად საკმარისი არ აღმოჩნდა. თანაც, სიმართლე რომ ვთქვათ, რეალური საგოლე მომენტები სტუმრებს არც შეუქმნიათ და საბოლოოდ ყველაფერი აბსოლუტურად ლოგიკურად დასრულდა.

ზემოთ „დინამოს" ზედიზედ მესამე გამარჯვება აღვნიშნეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ კახა კაჭარავას გუნდმა ამ მოგებით პირველ წრეში განცდილი მარცხისათვის რევანში აიღო. არადა, „დინამოსთვის" ის წაგება მართლაც მტკივნეული იყო - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმ წაგებით ხომ ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგეს...

**გია ტუხაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# მარტო უიღბლობა თუ?..

12.12.09. გორი. თ. ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ლოკომოტივი | 1 |

0:1 ჩიკვაიძე (49. დ. ჩაგელიშვილი), 1:1 ლიპარტია (70)

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე - ხურცილავა, კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - კახელიშვილი, რაზმაძე, დათუნაიშვილი, ლიპარტია, კლიმიაშვილი - ბერიაშვილი.

სათადარიგოები: მიქაბერიძე, მგელაძე, ჯანელიძე, ადამაძე, ვასაძე, ზაქრაძე, მაისაშვილი

ლოკომოტივი: დგებუაძე - ლ. ჩაგელიშვილი, გუშარაშვილი, ხატიაშვილი, გადელია - ჩიკვაიძე (80. კაჭახიძე), ქებაძე, სოსელია, შენგელია (72. აფხაზავა), ბოჭორმელი - გონაძე (37. დ. ჩაგელიშვილი).

სათადარიგოები: ოდიკაძე, ბ. მახარაძე, გ. მახარაძე, ბუბუა

გაფრთხილება: გუშარაშვილი (29), სოსელია (53)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ვფიქრობ, მოქმედი ჩემპიონი მიმდინარე ჩემპიონატის აუტსაიდერს გორში ისე ელოდა, როგორც მსხვერპლს და ეს არცაა გასაკვირი. ცხადია, „თენგიზ ბურჯანაძეზე" მისულ მცირერიცხოვან გულშემატკივარსაც ანალოგიური ფიქრები უტრიალებდა თავში, მაგრამ...

მერე რა, რომ ვიტელებს დისკვალიფიკაციის გამო ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი - **ვახტანგ კვარაცხელია** და **გიგა ბეჭვაია** არ ჰყავდათ, სამაგიეროდ, „ლოკომოტივი" მხსნელად ქცეული მეკარის **მაქსიმე ქვილითაიას** გარეშე იყო. რაც შეეხება მის შემცვლელ **ირაკლი დგებუაძეს**, ვერ ვიტყვით, მან უშეცდომოდ ითამაშა, მაგრამ „ლოკომოტივმა" ქულა რომ აილო, ამაში მისი დამსახურება საკმაოდ დიდია. ის დასაწყისიდანვე შეუდგა თავის შესაძლებლობათა დემონსტრირებას. მაგალითად, მე-9 წუთზე, ვიტელთა პირველივე სახიფათო შეტევისას, ის დროულად გამოვიდა წინ და **კახელიშვილს ბერიაშვილის** მისამართით გაკეთებული მოზომილი პასი ჩაუჭრა.

ცოტა ხანში, **ლიპარტიას** მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი სტუმართა მცველებმა მოიგერიეს, რასაც **ლექსო კვახაძის** დარტყმა და მეკარის დამაჯერებელი თამაში მოჰყვა. ამის საპასუხოდ, „ლოკომოტივის" კონტრშეტევები ერთობ სუსტი იყო (განსაკუთრებით პირველ ტაიმში), აღარაფერს ვამბობთ ტექნიკურ წუნსა და მეტად დაბალ ტემპზე, რის გამოც ვიტჯორჯიელები საკუთარი საჯარიმოს გამაგრებას თავისუფლად ასწრებდნენ.

ჩემპიონისთვის ყველაზე საგანგაშო მომენტი იყო შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა **ლაშა ქებაძემ** დაარტყა - **ბედიაშვილმა** ბურთი ვერ შეიმაგრა და მოწინააღდეგეს დამატებულზე კინაღამ ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა. შემდეგ ლიპარტიას პასით საჯარიმოში შეჭრილი ბერიაშვილი აღმოჩნდა მეტად სახეირო პოზიციაში, მაგრამ დგებუაძეს ვერც მან აჯობა.

შედეგის მისაღწევად მასპინძლებმა კიდევ უფრო მრავალმხრივ შეტევებს მიჰყვეს ხელი, თუმცა მათ მოქმედებაში მაინცდამაინც დიდი ჟინი არ ჩანდა - თითქოს, ვიტელები გოლს ყველა ვარიანტში ელოდნენ და ამიტომაც არ ჩქარობდნენ. სტუმართათვის ტაიმის ბოლო სახიფათო მომენტი ლიპარტიას კუთხურს მოჰყვა, როცა ჯერ **ლომაიას** თავური საწაულებრივად არ შევარდა კარში, ხოლო დამატებაზე **რაზმაძემ** ვერ იყოჩაღა.

მეორე ტაიმი ისევ ვიტელთა იერიშებით დაიწყო. 48-ე წუთზე **კლიმიაშვილმა** შორიდან ძლიერად დასცხო და „ლოკომოტივი" გოლს ბეწვზე გადაურჩა. გოლი კი მაინც გავიდა, ოღონდ, არა იქით, სადაც ველოდით - სტუმართა სწრაფი კონტრშეტევისას მარჯვენა ფლანგზე გაჭრილი **ჩაგელიშვილის** ჩაწოდებულს კარის წინ უმეთვალყურეოდ მიტოვებული **ჩიკვაიძე** გამოეხმაურა და ანგარიში გახსნა - 0:1.

აი, ამის შემდეგ კი დაფაცურდა „ვიტ ჯორჯია". მათ მთელი ძალები შეტევებზე გადაისროლეს და შეიძლება ითქვას, „ლოკომოტივის" ნახევარზე დასახლდნენ. **გელა სანაიას** შეგირდები მაქსიმუმს აკეთებდნენ ანგარიშის შესანარჩუნებლად. მასირებულ შეტევებზე გადასულ „ვიტ ჯორჯიას" კი ზურგი მოუშიშვლდა და „ლოკოს" არაერთხელ მიეცა სახიფათო კონტრშეტევების შანსი, მაგრამ... ზემოთაც ვთქვით, რომ სტუმარი გუნდი ძლიერ სცოდავდა ტექნიკური წუნითა და უაღრესად დაბალი ტემპით. რომ არა ამდენი შეცდომა, ჩემპიონს კარგი დღე არ დაადგებოდა. ოღონდ, აქვე სამართლიანობაც მოითხოვს, აღვნიშნოთ ვიტელთა ტოტალური უიღბლობაც. ამიტომაც ძნელია, მეორე ტაიმის შუაწელიდან მოყოლებული, დგებუაძის კართან შექმნილი ყველა საგოლე მომენტის აღწერა.

**მერაბ კოჭლაშვილის** (გორში ის ძველებურად მთავარი მწვრთნელის ამპლუაში მოგვევლინა) გუნდისთვის შედეგი მხოლოდ 70-ე წუთზე დადგა, როცა კართან ახლოს მყოფმა ლიპარტიამ მკერდით ჩამოიღო ბურთი, კარგად გაისწორა და ზუსტადაც დაარტყა 1:1.

დარჩენილ ოც წუთში „ლოკომოტივი" გოლისგან ორჯერ ხარიხამ (დათუნაიშვილისა და კვახაძის დარტყმების შემდეგ) იხსნა, ერთხელ მეკარემ, ორჯერ კი მცველები გადაეფარნენ ახლო მანძილიდან დარტყმულ ბურთებს, ხოლო რამდენჯერმე „ვეტერინარებს" ისეთი მომენტებიც ჰქონდათ, როცა ერთწუთიან მონაკვეთში სამჯერაც კი შეეძლოთ კარის აღება...

ერთი მხრივ, ისე ჩანდა, თითქოს ჩემპიონმა მხოლოდ უიღბლობის გამო ვერ მოიგო, თუმცა მთლად ასე მარტივადაც არ არის საქმე - „ვიტ ჯორჯიას" თავიდანვე ისე რომ ეთამაშა, როგორც გოლის გაშვების შემდეგ, არა გვგონია, ქულები დაეკარგა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რევიშვილს ბოხუმი იწვევს



ნუკრი რევიშვილი

რუსულ პრემიერლიგაში აღზევებული მახაჭყალის „ანჟის" ხელმძღვანელობასა და მწვრთნელებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ყაზანის „რუბინიდან" **ნუკრი რევიშვილის** გადაბირება სურთ, მაგრამ როგორც ქართველმა მეკარემ გვითხრა, მას „ანჟიზე" გაცილებით საინტერესო შეთავაზება გაუჩნდა. საუბარია გერმანულ „ბოხუმზე", რომელიც ამჟამად პირველ ბუნდესლიგაში მე-15 ადგილზე იმყოფება.

*„ჩემი აყვანა „ბოხუმს" ექვსთვიანი იჯარით სურს, კლუბი მაღალი დონის მეკარეს ეძებს და თუ ამ პერიოდის განმავლობაში თავს კარგად წარმოვაჩენ, კონტრაქტსაც გამიფორმებენ. რამდენიმე დღეში გერმანიაში ჩავალ და წესით, ყველაფერი დადებითად უნდა გადაწყდეს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ საუბარია სინჯების გარეშე აყვანაზე. ვფიქრობ, ეს საკითხი 90 პროცენტით გადაწყვეტილია. „ანჟის" „ბოხუმი" ბევრად მირჩევნია და დღეს მხოლოდ გერმანულ ვარიანტზე ვარ კონცენტრირებული"*, - გვითხრა რევიშვილმა.

„ბოხუმი" პირველ ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის და მეკარის პრობლემა ნამდვილად აქვს. ვერ გაამართლა პორტუგალიელმა **დანიელ ფერნანდეშმა**, ამჟამად კი გუნდის კარს გერმანელი **ფილიპ ჰეერვაგენი** იცავს და არცთუ წარმატებულად.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ქულა ბობლიაშვილის წყალობით

12.12.09. ბოლნისი. თ. სტეფანია 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| გაგრა | 1 |

0:1 გაბედავა (34-პენ), 1:1 გოგობერიშვილი (41-პენ)

სიონი: ბობლიაშვილი - სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე, ქურასბედიანი (62. ჩიმაკაძე) - უგრეხელიძე (50. კიკნაძე, 82. გ. ოქროპირიძე), კობაური, მახვილაძე, გოგობერიშვილი, ჩიკვილაძე - ხიდეშელი.

სათადარიგოები: ზუხბაია, უგულავა, თარხნიშვილი, ფიფია

გაგრა: თევდორაძე - კუპრეიშვილი, გიგაური, თ. შალიკაშვილი, გაბუნია - პავლიაშვილი (80. ი. შალიკაშვილი), ტყეშელაშვილი, ჭაავა, კობერიძე (76. თოთაძე) - ოქრიაშვილი - გაბედავა.

სათადარიგოები: ნადირაშვილი, შელია, მოსიაშვილი, ჭოხონელიძე, თუხარელი

გაფრთხილება: ი. ვაშაკიძე (27), მახვილაძე (55)

გაძევება: ი. ვაშაკიძე (79)

არბიტრი: ლ. სილაგავა

ამ ტურამდე „სიონმა" ზედიზედ ექვსი მატჩი ჩაატარა გამარჯვების გარეშე და სახიფათო ზონასაც ნელ-ნელა მიუახლოვდა. ბოლნისელებს სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების შესანიშნავი შანსი ჰქონდათ ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ „გაგრასთან", მაგრამ მოვლენები ისე წარიმართა, რომ ფრემ გული სტუმრებს უფრო დასწყვიტა. საქმე ისაა, რომ „გაგრამ" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და მის ფეხბურთელებს ოდნავ მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ, გათამაშების ცხრილში „სიონს" გაუტოლდებოდნენ და თბილისში სამი ქულით დაბრუნდებოდნენ. მოწინააღმდეგეს გამარჯვებაში ხელი ყველაზე მეტად ბოლნისელთა მეკარე **მინდია ბობლიაშვილმა** შეუშალა.

**კარანაძის** გუნდს ანგარიშის გახსნა პირველივე წუთზე შეეძლო, თანაც ორჯერ. **ოქრიაშვილის** თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან დარტყმული ბობლიაშვილმა მოიგერია. „გაგრამ" კუთხური ჩამოაწოდა და **გაბედავას** თავური კვლავ მასპინძელთა მეკარის ნადავლი გახდა.

ამის შემდეგ თამაში საშუალო ტემპში გაგრძელდა და დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში საინტერესო აღარაფერი გვინახავს. სამაგიეროდ, პირველი ტაიმის დასკვნითი ნაწილი გამოდგა შთამბეჭდავი. ოქრიაშვილის მიერ წამოწყებული კონტრშეტევა **პავლიაშვილმა** გააგრძელა, რომელმაც ზუსტი გადაცემით გაბედავა მოძებნა. ამ უკანასკნელმა თავით გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

„გაგრას" ფორვარდს კიდევ ერთი საგოლე მცდელობა ზუსტად ერთ წუთში ჰქონდა. მის მიერ დაახლოებით 27-28 მეტრიდან დარტყმული ბობლიაშვილმა მოიგერია. ორიოდე წუთში კი გაბედავამ თავის გუნდს პენალტი მოუპოვა. **კობერიძემ** იგი „სიონის" გოლკიპერთან პირისპირ გაიყვანა და ბობლიაშვილს ისღა დარჩენოდა, მეტოქე წესების დარღვევით შეეჩერებინა. თერთმეტმეტრიანი თავად გაბედავამ გამოიყენა.

ტაიმის მიწურულს ბოლნისელთაგან ყველაზე აქტიური **გოგობერიშვილი შალიკაშვილთან** კონტაქტისას დაეცა და მსაჯმა პენალტი დანიშნა. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ერთი შეხედვით, საეჭვო თერთმეტმეტრიანი იყო... პენალტი გოგობერიშვილმა უნაკლოდ შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა.

შესვენებამდე „სიონმა" მთელი მატჩის განმავლობაში ყველაზე რეალური სახიფათო მომენტის შექმნა მოასწრო. კარგ პოზიციაში მყოფი **ჩიკვილაძე** მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდებას ცდილობდა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

შეხვედრის მეორე ნახევარში „გაგრას" უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. რომ არა ბობლიაშვილის შესანიშნავი თამაში, სტუმრებს გამარჯვებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. „სიონის" მეკარემ მეორე ტაიმში გაბედავას ერთი, ხოლო **ჭაავას** ორი შორეული დარტყმისგან იხსნა საკუთარი კარი. განსაკუთრებით ახლოს გამარჯვების გოლთან „გაგრა" 69-ე წუთზე იყო, როცა კონტრიერიშის შედეგად მეკარესთან პირისპირ პავლიაშვილი გავიდა. მას შეტევის დასაგვირგვინებლად რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ დარტყმა არცთუ მახვილგონივრული გამოუვიდა და ბობლიაშვილმა ამჯერადაც იმარჯვა.

**ვაშაკიძის** გაძევების შემდეგ რიცხობრივ უმრავლესობაში დარჩენილმა „გაგრამ" შეტევაში ვეღარაფერი გაახერხა, როგორც ჩანს, გადაღლილობის გამო. „სიონი" კი აქამდეც არაფრით გამოირჩეოდა და ათკაციანი შემადგენლობით რაღა უნდა ექნა. შესაბამისად, თამაშის ბოლო წუთები უკვე აღარაფრით იყო საინტერესო.

„გაგრამ" ჩემპიონატის პირველი ეტაპი სახიფათო ზონის ზევით დაასრულა და გაზაფხულზე დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს. „სიონი" მართალია, დღეისათვის მეშვიდე ადგილზეა, მაგრამ კლუბში სიტუაცია თუ არ შეიცვალა, ბოლნისელები პირველ ლიგაში დაქვეითების რეალური კანდიდატები იქნებიან.

„სიონში" რომ ბევრი რამ არაა რიგზე, მატჩის შემდეგაც გამოჩნდა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, გაისმა - ბოლნისელთა გასახდელიდან ლანძღვა-გინების კორიანტელი იფრქვეოდა. „სიონის" ორი, ან იქნებ მეტი ფეხბურთელი ერთმანეთს „ამკობდა". მათი ვინაობის დადგენა შეუძლებელი იყო, რადგან ყველაფერი დახურულ კარს მიღმა ხდებოდა...

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი
ავტორის ფოტო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 42-13 | 45 |
| 2. ზესტაფონი | 18 | 11 | 5 | 2 | 31-15 | 38 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 18 | 9 | 6 | 3 | 26-18 | 33 |
| 4. დინამო | 18 | 9 | 5 | 4 | 29-11 | 32 |
| 5. სპარტაკი | 18 | 6 | 5 | 7 | 25-30 | 23 |
| 6. სამტრედია | 18 | 6 | 4 | 8 | 24-35 | 22 |
| 7. სიონი | 18 | 3 | 8 | 7 | 12-25 | 17 |
| 8. გაგრა | 18 | 3 | 5 | 10 | 18-30 | 14 |
| 9. ბაია | 18 | 3 | 3 | 12 | 15-27 | 12 |
| 10. ლოკომოტივი | 18 | 1 | 6 | 11 | 6-23 | 9 |

ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 18 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |

17 დეკემბერი

სუპერთასი

13:30. რუსთავი

დინამო-ვიტ ჯორჯია

მომდევნო ტური

6–7 თებერვალი. 2010 წელი

სიონი-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-სამტრედია
ოლიმპი-ბაია
დინამო-გაგრა
ზესტაფონი-ლოკომოტივი



ლეგიონის უქმეები


ლადო დვალიშვილი (მარცხნივ)

# ჭანტურია მოედნიდან უგოლოდ არ გადის

## გიგიაძემ და მოდებაძემ გაიხსენეს

ქართულ ფეხბურთს აწმყო არ სწყალობს და ჩვენც მომავლის იმედად ვართ. საბედნიეროდ, ბოლო ხანებში ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელებიც გამოჩდნენ... ისეთი, როგორიც 16 წლის გიორგი ჭანტურიაა. გიორგიმ „ბარსელონაში“ ტრიუმფით დაიწყო. ჯერ ესპანეთში ჩასული ეგრევე პირველი გუნდის ამხანაგურ მატჩში ათამაშეს, სადაც გოლი გაიტანა, შემდეგ „ჟუვენილ ბ-ს“ კალენდარულ მატჩში ორ ტურში სამი გოლი შეაგდო. შაბათს კი მისმა გუნდმა ქალაქის დერბიში „პრატი“ მიიღო და 3:0 მოუგო. „ბარსას“ რანგით მე-4 გუნდიც იმ ტაქტიკური სქემით თამაშობს, რომლითაც პირველი - ასე რომ, გიო, როგორც მას კატალონიაში უწოდებენ, შეტევის ცენტრში თამაშობს. ქართველი ფორვარდი მეორე ტაიმში შეცვალეს, ხოლო გოლი მან მე-15 წუთზე გაიტანა (ანგარიში გახსნა). ესპანური მედია წერს, სამივე გოლი ლამაზი იყო, განსაკუთრებით ქართველი გიოს მიერ გატანილიო... მოკლედ, ჩემპიონატის სამ მატჩში ჭანტურიამ 4 გოლი გაიტანა...

### ხიზანიშვილი შეაქეს და უკან გაუშვეს

**ზურაბ ხიზანიშვილმა** უკანასკნელად ითამაშა „ნიუკასლ იუნაიტედში“, ქართველ მცველს საიჯარო ხელშეკრულება 19 დეკემბერს უსრულდება და ის „ბლექბერნ როვერსს“ უბრუნდება. „ბარნსლისთან“ გასვლით მატჩში ჩემპიონშიპის ლიდერმა გამარჯვება ვერ შეძლო - 2:2. ზურაბი მატჩის მე-80 წუთზე შევიდა **ხოსე ენრიკეს** ნაცვლად.

„ნიუკასლის“ მწვრთნელი **კრის ჰავტონი** ქართველ მცველს აქებს: *„სამწუხაროდ, „ბარნსლისთან“ შეხვედრა ბოლოა ხიზანიშვილისთვის ჩვენს გუნდში. ქართველმა თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს წარმატებაში, ის ძალიან კარგი ადამიანია. ხიზანიშვილი კარგი პროფესიონალი და გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელია. ზურა ჩვენთან მაშინ მოვიდა, როცა ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა. ჩვენ გვესაჭიროებოდა მისი გამოცდილება და კლასი. და მივიღეთ კიდეც ეს“.* რომ არა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია, რომლის შემდეგაც ჩვენი თანამემამულე ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა, ხიზანიშვილი გაცილებით მეტს ითამაშებდა. მან მხოლოდ 6-ჯერ მოირგო „კაჭკაჭთა“ შავ-თეთრი მაისური. სხვათა შორის, ჰავტონი ბოლომდე არც ხიზანიშვილის ხელმეორე იჯარას გამორიცხავს, როცა სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. „ნიუკასლი“ 46 ქულით ჩემპიონშიპის ერთპიროვნული ლიდერია.

### იაშვილი მოკრძალებული მატჩი

„შალკეს“ წარმატებები ძველებურად ველარ გვიხარია - **ლევან ყენიამ** ოპერაცია გაიკეთა და მარტამდე ვერ ითამაშებს, **ლევან კობიაშვილი**, კი, ალბათ, აღარასოდეს მოირგებს გუნდის ლურჯ მაისურას. არადა **ფელიქს მაგათის** გუნდმა ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო, ბრემენში „ვერდერი“ 2:0 დაამარცხა. „შალკემ“ ამ მოგებით მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. „ფრაიბურგი“ შინ „კიოლნს“ დაუზავდა - 0:0, **დავით თარგამაძე** ამჯერად სათადარიგოთა შორისაც არ ყოფილა. „ფრაიბურგი“ 18 ქულით მე-12 ადგილზეა.

მეორე ბუნდესლიგაში **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ შინ 0:1 დამარცხდა „დუისბურგთან“. „შპორტალმა“ იაშვილის თამაში 4,5 ბალით შეაფასა, „კარლსრუე“ 21 ქულით მე-10 ადგილზეა. ქართველ კაპიტანს ასე ცუდ შეფასებას იშვიათად უწერენ ხოლმე. წინა ტურში დისციპლინის დარღვევისთვის დასჯილი **მათე ღვინიანიძე** „აუგსბურგთან“ მატჩის 87-ე წუთზე **შტეფან აიგნერის** ნაცვლად შევიდა. „მიუნხენმა“ 1:0 იმარჯვა და 21 ქულით მე-9 ადგილზე აინაცვლა. სტუმართა შორის, რა თქმა უნდა, არ უთამაშია **ოთარ ხიზანეიშვილს**.

### მჭედლიძე: ისევ ტრავმა

როგორც ჩანს, **კახა კალაძის** უთამაშებლობა მხოლოდ **ტიაგოს** ბრალი არ ყოფილა, კახას კონკურენტი დაახლოებით ერთი თვით დააკლდა ფეხბურთს, თუმცა **ლეონარდომ** კალაძის ნაცვლად ახლა **ფავალი** არჩია, „მილანი“ კი „სან სიროზე“ **ლევან მჭედლიძის** „პალერმოსთან“ დამარცხდა. კალაძე სათადარიგოთა შორის მაინც იყო, ლევან მჭედლიძე კი მატჩის განაცხადშიც ვერ მოხვდა. მიზეზი... ტრავმაა. მატჩის წინა დღეს ვარჯიშზე ქართველს მარჯვენა კოჭი დაუზიანებია. უკვე სათვალავი აგვერია, ეს მერამდენედ დაიმტვრა ნიჭიერი ქართველი ფორვარდი.

„ლე მანის“ მწვრთნელ **დუარტეს** მოხსნამ 19 წლის **გიორგი მაკარიძეს** ცუდ დროს მოუწია. ქართველი გოლკიპერი ბოლო ორი ტური იცავდა „ლე მანის“ კარს. ახალმა მწვრთნელმა **დანიელ ჟანდიუპომ** კი კარში **დიდიე ოვონო** დააბრუნა, მაკარიძემ კი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. თანაც „ლე მანმა“ საკმაოდ ყოჩაღ „ვალანსიენს“ აჯობა - 2:1.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში **ილია კანდელაკის** „შტურმმა“ ვენის „აუსტრია“ მიიღო და 2:2 ეთამაშა. „შტურმი“ 30 ქულით მე-4 ადგილზეა. გუნდის პირველი საგოლე კომბინაცია, სწორედ ქართველმა წამოიწყო. კანდელაკმა შეუცვლელად ითამაშა.

უნგრეთის თასიდან ქართველთა „დიორი ეტო“ გამოვარდა. პირველ მატჩში სტუმრად 1:1-ის შემდეგ „ეტო“ „ჰონვედთან“ მატჩის ფავორიტი იყო, მაგრამ გუნდმა შინ 0:1 წააგო. **რატი ალექსიძემ** 90 წუთი ითამაშა.

მართალია, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ ივარგა, მაგრამ შინაურ ასპარეზზე ჰაიფას „მაქაბის“ ბადალი არ ჰყავს. მორიგ ტურში **ლადო დვალიშვილის** გუნდმა სტუმრად 4:0 მოუგო „ფეთაჰ თიკვას“. დვალიშვილმა მოედანი 3:0-ზე უგოლოდ დატოვა. **ზურაბ მენთეშაშვილის** გუნდის თამაში კი გაძაიდო. 13 ტურიდან 36 ქულით „მაქაბი“ ერთპიროვნული ლიდერია და მენთეშაშვილის გუნდ თელ ავივის „ჰაპოელს“, რომელიც მე-2 ადგილზეა, 9 ქულით უსწრებს. დვალიშვილს ჩემპიონატში 7 გოლი აქვს გატანილი.

### გიგიაძემ ჩემპიონს გაუტანა

ზამთრის შესვენების წინა ბოლო ტურში მოულოდნელად „გაილვიძა“ უკრაინის ქართულმა ლეგიონმა - ტურში ორი ქართული გოლი გავიდა. სიმფეროპოლში „ტავრიამ“ დიდი ბრძოლა გაუმართა კიევის „დინამოს“, მაგრამ საბოლოოდ მაინც 2:3 დამარცხდა. მატჩის 41-ე წუთზე, როცა „ტავრია“ 0:2-ს აგებდა ვეტერანმა ქართველმა ფორვარდმა **ვასილ გიგიაძემ** საჯარიმოში **იუსუფი** მოატყუა და ბურთი შორეული კუთხის „ცხრიანში“ ჩაახვია **შოვკოვსკის** კარში. გიგიაძე 65-ე წუთზე შეცვალეს. „ტავრიას“ ვებსაიტზე გიგიაძე დიდი უპირატესობით ლიდერობს გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში.

ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ფორვარდმა **ირაკლი მოდებაძემ** „კრივბასის“ კარში გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა. „მეტალურგმა“ სტუმრად 3:1 მოუგო აუტსაიდერს. მატჩის 75-ე წუთზე ქართველის პასით **ვლადიმირ არჟანოვმა** გაიტანა, ხუთ წუთში გიგიაძემ ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო 86-ე წუთზე სეზონის პირველი გოლი თავით გაიტანა. მასპინძელთა რიგებში 82-ე წუთზე ჩაერთო თამაშში **სანდრო კობახიძე** და მხოლოდ ის „მოახერხა“, რომ საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი დიდი მანძილით ააცილა კარს.

**სანდრო გურულის** „კარპატი“ დონეცკში „მეტალურგთან“ 0:1 დამარცხდა. სანდრო 64-ე წუთზე შეცვალეს. „ტავრია“ 26 ქულით მე-6 ადგილზეა, „კარპატი“ (24 ქულა) - მეშვიდეა, „მეტალურგი“ (16) - მე-12, „კრივბასი“ (7) კი - ბოლო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ვასილ გიგიაძე (მარჯვნივ)



ზურაბ ხიზანიშვილი


ილია კანდელაკი

ხსოვნის ტურნირი

# დიდი კახის საქადრისი...

შაბათს 12 დეკემბერს, თბილისის „დინამოს“ გამორჩეული ფეხბურთელი **კახი ასათიანი** 62 წლისა გახდებოდა... თუმცა უკვე 7 წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარაა. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, როგორც წინა წლებში, ამჯერადაც კახი ასათიანის სახელობის საქველმოქმედო ფონდმა ჩაატარა შპს „აკა მერსედესის“, სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის, შპს „ბატესტას“, სკ რუსთავის „ოლიმპის“, ჟურნალ „ათიანის“ თანადგომით და გაზეთ „ლელოს“ საინფორმაციო მხარდაჭერით. ტურნირში თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების, ფინანსთა სამინისტროს, რკინიგზის დეპარტამენტისა და სპორტმედიის გუნდები მონაწილეობდნენ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სპორტდარბაზის ტრიბუნიდან გათამაშებას კახი ასათიანის მეგობრები ადევნებდნენ თვალს, მათ შორის, - ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ალექსანდრე ჩივაძე**, სფფ-ს ყოფილი პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** და ყოფილი გენერალური მდივანი **ვალერი ჩოლარია**.

საგანგებო სიტუაციათა გუნდმა ფინანსთა სამინისტროს კრებული 8:4 დაამარცხა, რკინიგზის დეპარტამენტმა კი სპორტმედიას 7:2 მოუგო. მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში სპორტმედიელებმა ფინანსთა სამინისტრო 10:7 დაამარცხეს, ფინალში კი საგანგებო სიტუაციათა გუნდმა რკინიგზელებს დიდი ანგარიშით 9:1 სძლია.

გათამაშების ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი (მაისურები, გეტრები, ბურთები, გადასაცმელები, ჟურნალი „ათიანი“). პირველ-მესამე ადგილზე გასულ გუნდს კი დამატებით - თასები. გამარჯვებული „აკა მერსედესის“ თასით ალექსანდრე ჩივაძემ დააჯილდოვა. სპეციალური პრიზები გადაეცათ: საუკეთესო მოთამაშის **თემურ გიორგაძეს**, საუკეთესო მეკარის - **ზვიად ხაჩირაშვილს**, ბომბარდირის- **ირაკლი სიხარულიძეს**, საუკეთესო გოლის - **გიორგი სილაგავას**. დაჯილდოვდნენ მსაჯებიც. სამახსოვრო ბურთები გადეაცათ კახი ასათიანის შვილიშვილებს.

*„ჩვენი ფეხბურთი ისტორიაში კახი ასათიანს გამორჩეული ადგილი უჭირავს. მან თბილისის „დინამოში“ თავისი ხელწერა შემოიტანა, გამორჩეულ სტილში, ლამაზად თამაშობდა, რაც ყველას ხიბლავდა. თავადაც ლამაზი პიროვნება იყო ბუნებით, ცხოვრების წესით, სიცოცხლით... ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ დიდებული პიროვნების სახელი თაობიდან თაობას გადაეცეს“*, - აღნიშნა ტურნირის შემდეგ **ალექსანდრე ჩივაძემ**.

*„ეს ტურნირი დასტურია, თუ როგორ უნდა ვეპყრობოდეთ იმ დიდებულ ადამიანთა ხსოვნას, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული ფეხბურთის განვითარებაში“*, - ეს უკვე **მერაბ ჟორდანიას** სიტყვებია.

ვალერი ჩოლარია (ტურნირის მთავარი ორგანიზატორი): *„ვფიქრობ, ტურნირი იმ დონეზე ჩავატარეთ, როგორც ეს ამ დიდებულ პიროვნებას ეკადრებოდა. ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, მთავარი კახის სახელის უკვდავყოფაა. ამას ემსახურება უკვე ტრადიციად ქცეული ეს ტურნირიც. ყველანაირს გავაკეთებთ, რომ მომავალში ამ გათამაშებას საერთაშორისო მასშტაბი შევძინოთ“*.

**დავით ცაბაძე**





პეპე დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან

# 2009 ბარსელონასია

## რეალმა მოიგო და... დაკარგა

კატალონიურმა დერბიმ მშვიდობიანად და ულიმღამოდ ჩაიარა, „სამეფო კლუბმა" უმნიშვნელოვანესი მატჩი **კრიშტიანო რონალდოსა** და **კაკას** გარეშეც მოიგო „მესტალიაზე", ჩემპიონატმა კიდევ ერთი მწვრთნელი მოისაკლისა, მსოფლიოს ჩემპიონატმა კი მაღალი დონის მცველი დაკარგა. აი, ასეთია პრიმერა დივიზიონის მე-14 ტურის მთავარი შედეგები...

უმთავრეს კითხვას კი პასუხი ვალენსიაში გაეცა, დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება - წლევანდელი სეზონი ორი ცხენის დოღია და მათ დავაში სხვას, როგორი კარგი ბედაურიც არ უნდა იყოს, არაფერი ესაქმება. „მესტალიაზე" ორი ლიდერის გარეშე მოასპარეზე „რეალმა" 3 ქულა მოიპოვა, თუმცა კი ამისთვის დიდი ოფლისღვრა დასჭირდა, მადრიდელებმა არგენტინელი **ესეკიელ გარაის** გვიანი თავურის წყალობით იმარჯვეს - 3:2.

მიუხედავად იმისა, რომ კაკამ და რონალდომ სასტარტოში ადგილები გამოათავისუფლეს, **მანუელ პელეგრინიმ რაული** მაინც სათადარიგოთა სკამზე დასვა, ხოლო სასტარტოში **რაფაელ ვან დერ ვაარტი** და **ქარიმ ბენზემასა** და **გონსალო იგუაინის** დუეტი დააყენა. წინასწარ ვიტყვით, რომ ამ დუეტმა გაამართლა. სწორედ ფრანგი ფორვარდის მარცხნიდან შესვლას მოჰყვა, მისი მახვილგონივრული გადაცემა, რომელიც არგენტინელმა ფორვარდმა პირველ გოლად აქცია. გონსალომ, რომელსაც ელ პიპიტას უწოდებენ, ახლახან დაბადების 22 წლისთავი იზეიმა და საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარიც გაუკეთა. იგუაინმა ანგარიში 53-ე წუთზე გახსნა, ანუ ხუთივე გოლი გადაჭედილ მესტალიაზე" მეორე ტაიმში გავიდა.

პირველი ტაიმის პირველი ნაწილი „ვალენსიას" შეტევებში გაილია, **უნაი ემერის** ბიჭებმა კარგად უწყოდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში ქულებით უტოლდებოდნენ მეორეადგილოსან მეტოქეს. გოლის გატანის შანსი ყველაზე კარგი კი მაინც იგუაინს შეექმნა - მან ბრწყინვალედ გააცურა **დავიდ ნავარო**, მაგრამ მას მიზანმა უღალატა. ეს ეპიზოდი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მოხდა, მალე **სერხიო რამოსმა** ბურთი ძელს გაარტყა, თუმცა მომენტი საბოლოოდ **სესარმა** გააუვნებელყო, როცა არგენტინელ ფორვარდს დუელში აჯობა.

ის ის იყო ტაიმი უნდა დასრულებულიყო, რომ **დავიდ ვილიასთან** საჰაერო დუელის შემდეგ **პეპე** ძალიან მოუხერხებლად დაეცა. „ლოს მერენგესის" ცენტრალურმა მცველმა ძალზე დაიზიანა მუხლი, პირველადი დიაგნოზით მან ჯვარედინი იოგები გაიწყვიტა. ექიმების პირველად დასკვნით მხოლოდ ეს ტრავმა მას სამი თვით ჩამოაშორებს ფეხბურთს, მაგრამ მათი აზრით, პეპემ მენისკიც დაიზიანა, თუკი ეს დადასტურდება პორტუგალიელი სეზონს მთლიანად და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს. „მარკას" ცნობით, ასეც არის - პეპეს მენისკიც დაზიანებულია და ის, სულ მცირე, 6 თვე ბურთს ვერ გაეკარება. **ხორხე ვალდანომ** უკვე გააკეთა კომენტარი, რომლის თანახმადაც „რეალი" არ გამორიცხავს ზამთრის სატრანსფერო სეზონში პორტუგალიელის შემცვლელის ყიდვას. პელეგრინიმ მის ნაცვლად ესეკიელ გარაი შეუშვა, რომელიც შემდეგ მატჩის გმირი გახდა. სწორედ გარაი შექმნის დაცვის ცენტრში **ალბიოლთან** ერთად დაცვის ცენტრში დუეტს, თუმცა შანსი გამოჯანმრთელების შემდეგ გერმანელ **კრისტოფ მეტცელდერსაც** მიეცემა, რომელსაც „ალკორკონთან" ცნობილი დაპირისპირების შემდეგ არ უთამაშია.

მეორე ტაიმში, იგუაინის გოლს გოლითვე პრიმერას მთავარმა გოლეადორმა დავიდ ვილიამ უპასუხა - ვილიამ თამაშის წინ შეიტყო, რომ ბომბარდირთა დავაში მას **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** დაეწია, თუმცა 1-გოლიანი ჰანდიკაპი მან მე-60 წუთზე აღადგინა, როცა **მატიოს** ჩაწოდებულს თავით გამოეხმაურა. **იკერ კასილიასმა** ზუსტად ვერ გათვალა სად გამოდიოდა, ასე რომ, ვილიამ იოლად დალაშქრა გოლკიპერისგან მიტოვებული „რეალის' კარი - 1:1.

გოლთაცვენა გახსნილად გამოცხადდა და ისევ გონსალო იგუაინის ჯერი დადგა, **მარსელომ** ბავშვებივით მოატყუა **მარჩენა** და **ნავარო** და საჯარიმოს მარჯვენა კუთხეში მდგომი იგუაინს გადააწოდა ბურთი, არგენტინელისთვის კი კუთხეს მნიშვნელობა არა აქვს, მგონი, მახვილი კუთხიდან უფრო კარგადაც ურტყამს - 1:2. მწვრთნელებმა გამოცდილი ფეხბურთელები ჩართეს თამაშში, პელეგრინიმ - რაული, ემერიმ - **ხოაკინი**. სწორედ ხოაკინმა შეძლო გათანაბრება, საგოლე პასის ავტორი კი ისევ ფრანგი მარცხენა მცველი მატიო იყო. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო სუსტად ითამაშა კასილიასმა.

მატჩი, თითქოს, ლოგიკური და სამართლიანი ფრით სრულდებოდა, როცა **ჩაბი ალონსოს** ჩაწოდებას არგენტინელი მცველი თავით გამოეხმაურა, გარაიმ მაინც შეძლო ზუსტად დარტყმა, თუმცა კი მას „ვალენსიას" მცველები მაისურზე ექაჩებოდნენ - 2:3.

**მანუელ პელეგრინი:**

*„ძალიან უსამართლო იქნებოდა, რომ არ მოგვეგო. მარტო პირველ ტაიმში სამი თუ ოთხი საგოლე შანსი გვქონდა. მეორეში კი გუნდმა კიდევ უფრო სოლიდურად ითამაშა. არ ვიცი, რამდენად საუკეთესო თამაში იყო ეს ჩვენთვის, მაგრამ გუნდმა ძალზე ძლიერი მეტოქე დაამარცხა მისსავე სტადიონზე, სადაც თამაში ყველას ძალიან უჭირს. მოხარული ვარ, რომ ფეხბურთელები მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ ნებისმიერ მეტოქესთან. რონალდო და კაკა უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელები არიან და მათ გარეშე თამაში ძალიან ძნელია, თუმცა „რეალში" შეუცვლელი არავინაა".*

როგორც მოგახსენეთ, ბარსელონური დერბი მოსაწყენი გამოდგა, „ბარსელონამ" მიზანს უწია, 1:0 მოიგო და ამით წლევანდელი პრიმერა პირველ ადგილზე დაასრულა. **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა თამაშს, ბურთი სულ ფავორიტს ჰქონდა, სამაგიეროდ, **მაურისიო პოჩეტინიოს** გუნდმა ნამდვილი ციხე-სიმაგრე ააგო. შედეგად, „ბარსელონამ" კარში ზუსტად სულ სამჯერ დაარტყა.

ტრავმირებული **ლიონელ მესის** გათავისუფლებული ადგილი შეტევაში **ტიერი ანრის** ერგო, „ბარსას" სასტარტოში მოხვდნენ **იაია ტურე** და **მაქსველიც**, რომლებიც ასევე იშვიათად იწყებენ მატჩს. პოჩეტინიომ კი იაპონელი **შუნსუკე ნაკამურა** სკამზე დასვა.

თავიდან მატჩი ცოცხლად დაიწყო, მომენტები იქმნებოდა, თანაც ორივე კართან. მასპინძელთაგან **პედრომ** ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან, ხოლო სტუმარ **ვერდიუს ვიქტორ ვალდესმა** აუღო. „ბარსელონამ" მაინც გაიტანა, რაშიც რეფერი დაეხმარა - საჯარიმოში შეჭრილ **ჩავის**, მსაჯის აზრით, **რაულ ბაენა** ეუხეშა. არადა კონტაქტი თუ იყო, ისიც მინიმალური. მესის არყოფნაში სადავო პენალტი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შეასრულა, მან მარცხენა მაღალ კუთხეში გაიტანა - 1:0.

მეორე ტაიმში ტრიბუნები კვლავ მსაჯმა გამოაცოცხლა, როცა აშკარა უხეშობისთვის **ჩიკა** არ გააფრთხილა, რომლისათვის ეს მეორე ყვითელი ბარათი უნდა ყოფილიყო. ასეა თუ ისე, „ბარსამ" მიზანს მიაღწია და გაისამდე გუნდი პრიმერაზე აღარ იფიქრებს - წინ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატია.

**ხოსეპ გვარდიოლა:** *„მეორე ტაიმში დაღლა შეგვეტყო. ამდენი ვითამაშეთ ბოლო ორ კვირაში, რომ ეს სულაც არ არის გასაკვირი. ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, ჯერ ერთი რომ დერბია, მეორეც - ჩვენ გადაღლილები შევხვდით მატჩს, მაგრამ სამი ქულა მაინც მოვიპოვეთ. მინდა მოვულოცო ბიჭებს, ღირსეული მეტოქე დავამარცხეთ. ვიცი, რომ ბევრს ისაუბრებენ პენალტის დანიშვნის ეპიზოდზე. ჩემი აზრით ბაენა შეეხო ჩავის, პენალტი ნაღდია".*

» მე-10 გვერდზე

### სარაგოსა-ბილბაო 1:2

**სარაგოსა (4-2-3-1):** ვალეხო - დიოგო, პავონი, აიალა, პარედესი - პონსიო, გაბი (48. ანდერი) - პენანტი (66. ევერტონი), ლაფიტა, ხ. ლოპესი - არისმენდი.

**ბილბაო (4-3-1-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კასტილიო (46. ეჩეიტა) - მარტინესი, ორბაისი, გურპეგი - სუსაეტა - ტოკერო (82. გაბილონდო), ლორენტე (58. მუნიანი).

**გოლები:** 0:1 სან ხოსე (60), 0:2 სუსაეტა (81), 1:2 დიოგო (91)

**გაფრთხილება:** 3-6; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 21-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 15-9 (2-4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 25 000

### ბარსელონა-ესპანიოლი 1:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, მაქსველი - ჩავი, ტურე (83. ბუსკეტსი), ინიესტა - პედრო (59. კეიტა), იბრაჰიმოვიჩი (75. კრკიჩი), ანრი.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - რონკალია, რუისი, პარეხა, ჩიკა - ბაენა (46. მარკესი), ფორლინი - კორომინასი (74. საჰარი), ვერდიუ (46. კალეხონი), ლ. გარსია - ალონსო.

**გოლი:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (39-პენ)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 15-7 (3-2); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 91 000

### ვალენსია-რეალი 2:3

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - ბრუნო, დეალბერტი, ნავარო (74. ხოაკინი), მატიო (86. მიგელი) - ალბელდა, მარჩენა - პ. ერნანდესი, ბანეგა, მატა - ვილია.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი, პეპე (45. გარაი), არბელოა - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო - იგუაინი, ვან დერ ვაარტი (74. რაული), მარსელო - ბენზემა (84. გრანერო).

**გოლები:** 0:1 იგუაინი (54), 1:1 ვილია (60), 1:2 იგუაინი (65), 2:2 ხოაკინი (80), 2:3 გარაი (83)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 5-7; **კარში დარტყმა:** 12-14 (5-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 55 000

### ვალიადოლიდი-მალაგა 1:1

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილიარი - ბარაგანი, პრიეტო, ნივალდო, მარკოსი (83. ბარახა) - პელე, რუბიო (60. მედუნჯანინი) - ალემანი, კოსტა, კანობიო (46. სესმა) - მანუჩო.

**მალაგა (4-4-2):** მუნუა - გასპარი (80. ველიგტონი), გონსალესი, გამესი, ტორესი - ფერნანდო (83. პედრიტო), ხუანიტო, აპონიო, დუდა - ბა, ობინა (71. ედინიო).

**გოლები:** 0:1 დუდა (3), 1:1 გამესი (68-პენ)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 16-23; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 22-9 (4-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 13 435

### ხეტაფე-ტენერიფე 2:1

**ხეტაფე (4-2-3-1):** გოდინა - მ. ტორესი, დიასი, მარიო (84. კონტრა), მანე - პარეხო (71. ბელენგერი), ბოატენგი - პ. ლეონი, ალბინი (91. რიოსი), გავილანი - მანუ.

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ლუნა, მანოლო, სისილია, ექტორი - რიჩი (76. ხუანლუ), რიკარდო - კომე (67. აიოსე), ალფარო, ომარი (59. ანხელი) - ნინო.

**გოლები:** 1:0 ალბინი (37), 2:0 ალბინი (68), 2:1 ხუანლუ (81)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 13-11 (5-1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 12 000

### რასინგი-ხერესი 3:2

**რასინგი (4-2-3-1):** კოლტორნი - მორისი (63. ორიოლი), ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი - მუნიტისი, სისკო, მორალი (46. არანა) - ტჩიტე (71. გეიხო).

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, პრიეტო, აიტამი, კასადო - მორენო (86. ვიკერა), ბერგანტინიოსი - კალვო (59. ანტონიტო), აბელი, მომო (76. ორელანა) - ბერმეხო.

**გოლები:** 0:1 ბერმეხო (2), 1:1 ლასენი (25), 2:1 არანა (48), 2:2 ანტონიტო (68), 3:2 სისკო (82)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 20-11; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14-14 (7-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 15 000

### ალმერია-დეპორტივო 1:1

**ალმერია (4-2-3-1):** ალვესი - მასედო, აკასიეტე, ჩიკო, სისმა - მბამი, სორიანო - ხ. ორტისი, კორონა, პიატი (73. ნიეტო) - უჩე.

**დეპორტივო (4-4-2):** არანსუბია - მ. პაბლო, კოლოტო, ლოპო, ფილიპე - როდრიგესი, ტომასი, სერხიო (68. პერესი), დომინგესი (56. ვალერონი) - ადრიანი, მისტა (68. ალვარესი).

**გოლები:** 1:0 უჩე (58), 1:1 ალვარესი (74)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15-17 (4-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 10 000

### ოსასუნა-მალიორკა 0:1

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ასპილიკუეტა, სერხიო, ხოსეჩო, ოიერი - რუპერი, ნეკუნამი (78. პუნიალი) - ხუანფრანი (66. ესპერსა), მასუდი, კამუნიასი - არანდა (77. გალანი).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ხოსემი, ნუნიესი, რამისი, აიოსე - კასტრო (85. მატიონი), სუარესი, მარტი, ტუნი (88. კეიტა) - ვებო (69. პეზოლანო), ადურისი.

**გოლი:** 0:1 კასტრო (60)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 18-27; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 8-10 (2-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 19 000

### ატლეტიკო-ვილიარეალი 1:2

**ატლეტიკო (4-2-3-1):** ასენხო - ვალერა, პერეა, ხუანიტო, უიფალუში - ხურადო, ასუნსაო - რეიესი (84. კამაჩო), მ. როდრიგესი (67. სინამა პონგოლე), სიმაო - ფორლანი.

**ვილიარეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - ვენტა, გოდინი, მარკანო, კაპდევილია - ბრუნო (71. ერუგენი), სენა - კანი, ფუსტერი, კასორლა (63. ესკუდერო) - როსი (80. ლორენტე).

**გოლები:** 1:0 სიმაო (36), 1:1 ფუსტერი (48), 1:2 ლორენტე (90)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 22-4; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 8-22 (1-11); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 42 000

### სპორტინგი-სევილია 0:1

**სპორტინგი (4-2-3-1):** პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, ანხელი - მიჩელი (81. მატეო), რივერა - პედრო (63. მალდონადო), დე ლას კუევასი, კასტრო (63. კარმელო) - ბარალი.

**სევილია (4-4-2):** პალოპი - ადრიანო (26. ვალიენტე), კონკო, დრაგუტინოვიჩი, ნავარო - ხ. ნავასი, ზოკორა, რომარიკი, პეროტი - კანუტე (79. რენატო), კონე (56. ნეგრედო).

**გოლი:** 0:1 კანუტე (9)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 24-18; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12-8 (2-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 15 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 15 | 12 | 3 | 0 | 36-9 | 39 |
| 2. რეალი | 14 | 11 | 1 | 2 | 34-13 | 34 |
| 3. სევილია | 14 | 9 | 3 | 2 | 25-11 | 30 |
| 4. ვალენსია | 14 | 8 | 4 | 2 | 27-16 | 28 |
| 5. მალიორკა | 14 | 8 | 3 | 3 | 27-16 | 27 |
| 6. დეპორტივო | 14 | 8 | 2 | 4 | 19-16 | 26 |
| 7. ბილბაო | 14 | 7 | 2 | 5 | 19-18 | 23 |
| 8. ხეტაფე | 14 | 7 | 0 | 7 | 23-21 | 21 |
| 9. სპორტინგი | 14 | 5 | 5 | 4 | 14-13 | 20 |
| 10. ვილიარეალი | 14 | 5 | 3 | 6 | 22-19 | 18 |
| 11. ოსასუნა | 14 | 4 | 4 | 6 | 14-17 | 16 |
| 12. ტენერიფე | 14 | 4 | 2 | 8 | 14-27 | 14 |
| 13. ვალიადოლიდი | 14 | 2 | 7 | 5 | 20-25 | 13 |
| 14. ატლეტიკო | 14 | 3 | 4 | 7 | 20-26 | 13 |
| 15. რასინგი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-23 | 13 |
| 16. ალმერია | 14 | 3 | 4 | 7 | 15-24 | 13 |
| 17. ესპანიოლი | 14 | 3 | 4 | 7 | 8-21 | 13 |
| 18. სარაგოსა | 14 | 3 | 3 | 8 | 17-29 | 12 |
| 19. მალაგა | 14 | 1 | 6 | 7 | 15-20 | 9 |
| 20. ხერესი | 15 | 1 | 4 | 10 | 6-28 | 7 |

**ბომბარდირები:** 12 - ვილია (ვალენსია); 11 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა); 9 - მესი (ბარსელონა); 8 - იგუაინი (რეალი), ფაბიანო (სევილია), სოლდადო (ხეტაფე); 7 - ადურისი (მალიორკა), აგუერო (ატლეტიკო).

### სეგუნდა დივიზიონი

### XVI ტური

**კასტელონი-სოსიედადი 0:1**

გოლი: ლაბაკა (19)

**ვილიარეალი B-მურსია 2:1**

გოლები: 1:0 მუსაჩიო (52), 2:0 კრისტობალი (65), 2:1 ჩანდო (90)

**რაიო ვალეკანო-ნუმანსია 4:1**

გოლები: 1:0 კოკე (16), 2:0 აგანსო (30), 3:0 აგანსო (44), 3:1 ჟუნიორი (70), 4:1 პაჩონი (90)

**უელვა-კორდობა 0:0**

**ერკულესი-ხირონა 2:0**

გოლები: 1:0 დანჩულესკუ (33), 2:0 კიკო (82)

**ალბასეტე-ლევანტე 1:0**

გოლი: 1:0 სტუანი (58)

**კარტახენა-სალამანკა 3:4**

გოლები: 0:1 კიკე (22), 1:1 ტოჩე (33), 1:2 როსატო (48), 1:3 ლინარესი (69), 2:3 ტჩოტე (71), 3:3 ტატო (74), 3:4 დესპოტოვიჩი (87)

**რეალ უნიონი-უესკა 1:1**

გოლები: 1:0 ბრიტი (73), 1:1 მოისესი (85 პენ)

**სელტა-ელჩე 2:1**

გოლები: 1:0 ლაგო (53), 2:0 კატალა (72), 2:1 გენერელო (90)

**კადისი-ლას პალმასი 0:0**

გაძევება: ნანო (66. კადისი)

**ბეტისი-ხიმნასტიკი 3:0**

გოლები: 1:0 აურელიო (36), 2:0 გარსია (63), 3:0 ემანა (66)

გაძევება: მინგო (27. ხიმნასტიკი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოსიედადი | 16 | 9 | 5 | 2 | 24-15 | 32 |
| 2. ერკულესი | 16 | 8 | 6 | 2 | 21-9 | 30 |
| 3. ბეტისი | 16 | 7 | 5 | 4 | 27-16 | 26 |
| 4. კარტახენა | 16 | 7 | 5 | 4 | 24-16 | 26 |
| 5. სალამანკა | 16 | 7 | 5 | 4 | 22-20 | 26 |
| 6. რაიო | 16 | 6 | 6 | 4 | 27-18 | 24 |
| 7. ელჩე | 16 | 6 | 5 | 5 | 25-24 | 23 |
| 8. ნუმანსია | 16 | 6 | 5 | 5 | 23-23 | 23 |
| 9. კორდობა | 16 | 5 | 8 | 3 | 16-16 | 23 |
| 10. ვილიარეალი B | 16 | 6 | 5 | 5 | 20-22 | 23 |
| 11. ლევანტე | 16 | 5 | 7 | 4 | 20-18 | 22 |
| 12. ხიმნასტიკი | 16 | 6 | 4 | 6 | 14-16 | 22 |
| 13. უელვა | 16 | 6 | 3 | 7 | 15-16 | 21 |
| 14. ლას პალმასი | 16 | 4 | 7 | 5 | 13-14 | 19 |
| 15. ალბასეტე | 16 | 5 | 4 | 7 | 24-30 | 19 |
| 16. უესკა | 16 | 4 | 6 | 6 | 14-17 | 18 |
| 17. სელტა | 16 | 4 | 6 | 6 | 15-20 | 18 |
| 18. კადისი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-23 | 18 |
| 19. ხირონა | 16 | 4 | 5 | 7 | 21-24 | 17 |
| 20. უნიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-20 | 16 |
| 21. მურსია | 16 | 2 | 7 | 7 | 18-23 | 13 |
| 22. კასტელონი | 16 | 3 | 2 | 11 | 18-30 | 11 |

# ბენიტესის ბოლო ბანაობა?

## უცნაური შედეგები

სადაც სამართალია, „ჩელსის“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლოცვა და დღეგრძელობა მართებს: იმ დღეს, როდესაც პრემიერლიგის ლიდერმა შინ „ევერტონთან“ 3:3-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხა, „იუნაიტედი“ მას კი არ დაეწია და ცხრილის სათავეში გვერდით კი არ მოუსკუპდა, „ასტონ ვილასთან“ 0:1 წააგო. თან, მშობლიურ „ოლდ ტრეფორდზე“ - ამასაც დიდი მოხერხება სჭირდებოდა.

შაბათის „ლელოში“, მეთექვსმეტე ტურის ანონსში (სადაც ვვარაუდობდით, რომ პრემიერლიგის შაბათი დიდად ვერ გაგვაოცებდა) ვწერდით, რომ ბირმინგემის ამ კლუბს „ოლდ ტრეფორდზე“ 26 წელიწადი არ მოეგო და ინებეთ, **გაბრიელ აგბონლაორის** მიერ პირველ ტაიმში გატანილი თავური გოლით „ვილამ“ დიდ წარმატებას მიაღწია. მატჩის შემდეგ დამარცხებულთა თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** ESPN-თან საუბარში განაცხადა:

*„ვფიქრობ, მეორე ტაიმში ცოტა უფრო მეტს ვიმსახურებდით. შესვენებამდე მართლა ჩვენს შესაძლებლობებზე ცუდად ვითამაშეთ და მეტოქესაც, ალბათ, მართლა ეკუთვნოდა გოლის გატანა, მაგრამ შესვენების შემდეგ ჩვენ მათ გადავურბინეთ და საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, „ასტონ ვილას“ კი ჩვენს კართან ერთი ხიფათიც არ შეუქმნია. უბრალოდ, ეს იყო დღე, როდესაც ბურთს მოწინააღმდეგის კარში შევარდნა არ უნდოდა“.*

და კიდევ ერთი საინტერესო ამბავი - ფერგიუსონს არ მოეწონა, რომ თამაშს 90 წუთის მერე სამ წუთზე მეტი არ დაუმატეს.

*„თამაშისთვის წუთების დამატება მსაჯის კომპეტენცია აღარ უნდა იყოს. მეორე ტაიმი ორჯერ ტრავმის გამო შეწყდა და მკურნალობას ჯამში ორი წუთი და ოცი წამი დასჭირდა, გარდა ამისა, იყო ექვსი ცვლილება, ჩვენ კი დამატებით მხოლოდ სამი წუთი გვათამაშეს“*, - გაბრაზდა სერ ალექსი, თუმცა მას მერე, რაც ამ სეზონში, „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში მოხდა „ოლდ ტრეფორდზე“, დროის თამამად დამატებას ყველა მოერიდებოდა. თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ: იმ შეხვედრაში „იუნაიტედმა“ 4:3 მეხუთე დამატებულ დროზე გატანილი გოლის წყალობით მოიგო, რის შემდეგაც ინგლისში ატყდა ერთი ამბავი, რომ მანჩესტერში თამაში ყოველთვის მასპინძლების გამარჯვებამდე გრძელდება...

ზემოთ მოგახსენეთ, რომ „ჩელსიმ“ „ევერტონთან“ მართალია სამი გოლი გაიტანა, მაგრამ სამის გაშვებაც მოახერხა და შეხვედრას ერთადერთი ქულა გამოსტყუა. გაშვებულ გოლებს ხაზი იმიტომ გავუსვით, რომ ბოლო ოთხ შეხვედრაში იტალიელი (!) მწვრთნელის **კარლო ანჩელოტის** გუნდმა ბურთი თავისი კარის ბადიდან უკვე ათჯერ გამოიტანა. თვალში საცემი იყო, რომ „ლურჯების“ დაცვა აუტებიდან და ჯარიმა-კუთხურებიდან ჩაწოდებულ ბურთებს ვერ უმკლავდებოდა. ასე და ამგვარად, „ევერტონი“ გახდა პირველი გუნდი, რომელმაც მიმდინარე სეზონში „სტემფორდ ბრიჯიდან“ შინ ქულა წაიღო, თუმცა, თამაშის ზოგადი სურათიდან გამომდინარე, მასპინძლებს მაინც პირველივე ტაიმში უნდა მოემთავრებინათ ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ.

მატჩის შემდეგ დასავლეთლონდონელთა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა: *„ვინ თქვა, რომ ჩვენ კრიზისი გვაქვს? სულაც არა. მინდა, ობიექტური ვიყო. ჩემი ბიჭების თამაშს რომ ვუყურებდი, ძლიერ გუნდს ვხედავდი. დღეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვერ გავიმარჯვეთ, რომ სტანდარტული მდგომარეობების დროს დაცვაში შევცდით. ზოგადად კი, მთელი 90 წუთის განმავლობაში დიდი ინტენსივობითა და სანაქებო კონცენტრაციით ვიმოქმედეთ. ჩვენ ბევრი სახიფათო მომენტი შევქმენით, ანგარიში კი უიღბლობამ განაპირობა. ერთი სიტყვით, ფეხბურთელებს საყვედურს ვერ ვეტყვი. მათ, რაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთეს“.*



მანჩესტერ იუნაიტედი-ასტონ ვილა. აგბონლაორის თავური და 0:1

უცნაური შედეგები პრემიერლიგის მეთექვსმეტე ტურში მხოლოდ ამით არ ამოწურულა. არანაკლებ საინტერესო გამოდგა „ბოლტონისა“ და „მანჩესტერ სიტის“ 3:3. ამ შეხვედრაში ისტლენდელთაგან ორი გოლი **კარლოს ტევესმა** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის 66-ე წუთზე მსაჯმა **მარკ კლეტენბერგმა** სტუმრებს მოედნიდან **კრეიგ ბელამი** გაუგდო. მიზეზი სიმულაცია გახლდათ. ბელამის გაძევებამ „სიტის“ მწვრთნელი, **მარკ ჰიუზი** განარისხა:

*„კრეიგის გაძევება სასაცილო იყო. რაღ უნდა ლაპარაკი, რომ პოლ რობინსონი მას შეეხო. კრეიგი მთელი სისწრაფით გარბოდა და წონასწორობა ველარ შეიკავა, მისტერ კლეტენბერგმა კი, რატომღაც მიიჩნია, რომ ჩვენს ფეხბურთელს მისი მოტყუება უნდოდა“.*

სხვათა შორის, ის, რომ ბელამი გასაგდები არ იყო, „ბოლტონის“ თავკაცმა **გერი მეგსონმაც** არ დამალა - მსაჯს მეტისმეტი მოუვიდაო. *„მე კრეიგს იმ დროიდან ვიცნობ, პატარა ბიჭი რომ იყო და ნორვიჩში გამოდიოდა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ის არ შეცვლილა. თაღლითობას გულში ვერაფრით ჩაიდებდა“*, - განაცხადა მასპინძლების მწვრთნელმა.

რაც შეეხება ანგარიშს, ბელამის გაძევებისას ტაბლოზე „ბოლტონის“ სასარგებლოდ 3:2 ეწერა, მაგრამ ტევესმა იხსნა თავისიანები და ბოლო ცხრა შეხვედრაში მერვე ფრე მოუტანა.

>> მე-10 გვერდზე



ლივერპული-არსენალი. ჯერარდი და გალასი

### სტოკი-უიგანი 2:2

**სტოკი:** სიორენსენი, ჰუთი, შოუკროსი, ფაიე, უილკინსონი, დილაპი, უაითჰედი, დიაო (62. უილანი), ეზერინგტონი, ფულერი (83. ბიტი), თუნჯაი.

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, ბოისი (47. სინკლერი), ბრამბლი, ფიგეროა, ნზოგბია, შარნერი, დიამე, კუმასი (78. სკოტლენდი), გომესი, როდალეგა.

**გოლები:** 0:1 ბოისი (15), 1:1 თუნჯაი (37), 1:2 ფიგეროა (72), 2:2 შოუკროსი (74)

**გაფრთხილება:** 5-1; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 21-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 18-19 (2-6); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 26 728

### ბირმინგემი-ვესტ ჰემი 1:0

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი, ფერგიუსონი, ბოიერი, მაკფადენი (90. ფილიპსი), ჯერომი, ბენიტესი (90. ფეჰეი).

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბერი, ტომკინსი, გებიდონი, ილუნგა (83. ნუბლი), კოვაჩი (68. დაიერი), ნობლი, პარკერი, სტანისლასი (69. კოლისონი), დიამანტი, ფრანკო.

**გოლი:** 1:0 ბოიერი (52)

**გაძევება:** ნობლი (78. ვესტ ჰემი)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 11-7; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 16-15 (9-3); **ბურთის ფლობა:** 48%-53%.

**მაყურებელი:** 28 2003

### ბოლტონი-მანჩესტერ სიტი 3:3

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, კეჰილი, ნაითი, რობინსონი, ლი, მუამბა (80. მ.დევისი), კოენი, ტეილორი, კ. დევისი, კლასნიჩი (72. ელმანდერი).

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, რიჩარდსი, ტურე, ლესკოტი, სილვინიო, კომპანი (72. რობინიო), რაიტ-ფილიპსი (20. აირლენდი), ბელამი, ბერი, ტევესი, ადებაიორი (83. სანტა კრუზი).

**გოლები:** 1:0 კლასნიჩი (11), 1:1 ტევესი (28), 2:1 კეჰილი (43), 2:2 რიჩარდსი (45), 3:2 კლასნიჩი (53), 3:3 ტევესი (77)

**გაძევება:** ბელამი (66. მანჩესტერ სიტი)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-16 (3-6); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 22 735

### ბარნლი-ფულჰემი 1:1

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კოლდუელი, ჯორდანი, იგლზი (86. ვასკესი), ალექსანდერი, ბიკეი (78. მაკდონალდი), ბლეიკი (56. ნაჯენტი), ელიოტი, ფლეტჩერი.

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, დაფი, გრინინგი, ბეირდი, დემპსი, ნივლენდი (77. გერა), ზამორა.

**გოლები:** 0:1 ზამორა (50), 1:1 ელიოტი (60)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-12 (7-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 18 397

### ჩელსი-ევერტონი 3:3

**ჩელსი:** ჩეხი, ივანიჩი, კარვალიუ (86. ბელეტი), ტერი, ე. კოული, ბალაკი, მიკელი (88. ბორინი), ლემპარდი, ჯ. კოული (76. მალუდა), ანელკა, დროგბა.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ნილი, ჰეიტინგა, ბეინესი, პინეაარი, როდუელი, ფელანი, ბელიალეტდინოვი, ჟო (იაკუბუ 45), საა (90. აგარდი).

**გოლები:** 0:1 ჩეხი (12-საკ. კარში), 1:1 დროგბა (18), 2:1 ანელკა (23), 2:2 იაკუბუ (45), 3:2 დროგბა (59), 3:3 საა (63)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 28-14 (7-4); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 41 579

### ჰალი-ბლექბერნი 0:0

**ჰალი:** მიჰილი, მაკშეინი, ზაიატე, გარდნერი, დოუსონი, გარსია (66. ალტიდორი), ბოატენგი, მერნი (78. ოლოფინიანა), ჯიოვანი, ჰანტი, ფეგანი (78. ვენეგოორი).

**ბლექბერნი:** რობინსონი, შიმბონდა, სამბა, ნილსენი, ჟივე, ემერტონი, გრელა (41. ენდრიუსი), ნზონზი, ჰოილეტი, მაკარტი (59. კალინიჩი), დი სანტო (76. რობერტსი).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11-16 (7-5); **ბურთის ფლობა:** 47%-54%.

**მაყურებელი:** 24 124

### სანდერლენდი-პორტსმუთი 1:1

**სანდერლენდი:** ფულოპი, ნოსუორთი, ტერნერი, და სილვა, მაკარტნი, კემპბელი, კანა, ჰენდერსონი, რიდი, ბენტი (90. მოლბრანკი), ჯონსი (85. მერფი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ბენ-ჰაიმი, ქაბული, უილსონი, ჰრეიდერსონი, იებდა (77. ვებერი), ბრაუნი (83. დიოპი), ოჰარა, ჰიუზი, დინდანე, კანუ (62. პიკიონი).

**გოლები:** 1:0 ბენტი (23), 1:1 ქაბული (90)

**გაძევება:** ქაბული (90. პორტსმუთი)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-9 (4-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 37 578

### ტოტენჰემი-ვულვზი 0:1

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, ბასონგი, ასუ-ეკოტო, ლენონი, ჰადლსტოუნი, პალასიოსი (59. მოდრიჩი), კრანჩარი (78. ჯოვანი), კინი (59. კრაუჩი), დეფო.

**ვულვზი:** ჰანემანი, სტირმენი (80. იუელუმო), კრედოკი, ბერა, უორდი, ედუარდსი (60. ფოული), ჰენრი, მილიაში (70. მანსიენი), ჯერვისი, დოილი, ებანკს-ბლეიკი.

**გოლი:** 0:1 დოილი (3)

**გაფრთხილება:** 0-5; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 26-5 (7-2); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 36 012

### მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა 0:1

**მანჩესტერ იუნაიტედი:** კუშჩაკი, ფლეტჩერი, ბრაუნი, ვიდიჩი, ევრა, კარიკი, ვალენსია, პარკი (63. ბერბატოვი), ანდერსონი (68. გიბსონი), გიგზი (46. ოუენი), რუნი

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, იანგი, კუელარი, დანი, უორნოკი (63. კოლინზი), მილნერი, პეტროვი, დაუნინგი (81. რიო-კოკერი), იანგი, ჰესკი (74. კარეუ), აგბონლაორი

**გოლი:** 0:1 აგბონლაორი (21)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 6-15; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 19-8 (4-3); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 75 130

### ლივერპული-არსენალი 1:2

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი (82. დეგენი), აგერი, კარაგერი, ფაბიო აურელიო, ლუკას ლეივა, მასკერანო (66. აკვილანი), ჯერარდი, ბენაიუნი (79. ნგოგი), კაიტი, ტორესი.

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ვერმალენი, ტრაორე (87. სილვესტრი), სონგი, ფაბრეგასი, უოლკოტი (70. დიაბი), ნასრი, დენილსონი, არშავინი (90. რემსი).

**გოლები:** 1:0 კაიტი (41), 1:1 ჯონსონი (50-საკ. კარში), 1:2 არშავინი (58)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 9-9 (3-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 43 853

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 16 | 12 | 1 | 3 | 40-13 | 37 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 16 | 11 | 1 | 4 | 34-14 | 34 |
| 3. არსენალი | 15 | 10 | 1 | 4 | 40-19 | 31 |
| 4. ასტონ ვილა | 16 | 8 | 5 | 3 | 26-14 | 29 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 15 | 6 | 8 | 1 | 29-21 | 28 |
| 6. ტოტენჰემი | 16 | 8 | 3 | 5 | 35-22 | 27 |
| 7. ლივერპული | 16 | 7 | 3 | 6 | 32-22 | 24 |
| 8. ბირმინგემი | 16 | 7 | 3 | 6 | 16-16 | 24 |
| 9. ფულჰემი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-17 | 23 |
| 10. სანდერლენდი | 16 | 6 | 3 | 7 | 22-22 | 21 |
| 11. სტოკი | 16 | 5 | 6 | 5 | 15-19 | 21 |
| 12. ბლექბერნი | 16 | 5 | 4 | 7 | 16-28 | 19 |
| 13. ბარნლი | 16 | 5 | 3 | 8 | 20-34 | 18 |
| 14. უიგანი | 16 | 5 | 3 | 8 | 19-36 | 18 |
| 15. ევერტონი | 16 | 4 | 5 | 7 | 22-30 | 17 |
| 16. ჰალი | 17 | 4 | 5 | 8 | 17-34 | 17 |
| 17. ვულვზი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-28 | 16 |
| 18. ვესტ ჰემი | 16 | 3 | 5 | 8 | 24-31 | 14 |
| 19. ბოლტონი | 15 | 3 | 4 | 8 | 20-32 | 13 |
| 20. პორტსმუთი | 16 | 3 | 2 | 11 | 14-24 | 11 |

**ბომბარდირები:** 13 - დროგბა (ჩელსი); 12 - დეფო (ტოტენჰემი); 11 - რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 10 - ბენტი (სანდერლენდი), საა (ევერტონი), ტორესი (ლივერპული); 9 - აგბონლაპორი (ასტონ ვილა); 7 - კ. კოული (ვესტ ჰემი), ვან პერსი (არსენალი).

## ჩემპიონშიპი

### XXI ტური

**ბარნსლი-ნიუკასლი 2:2**

გოლები: 0:1 ნოლანი (6), 1:1 ჰელფრიდსონი (52), 1:2 ჰეირვუდი (78), 2:2 ჰესელი (87)

**ქოვენთრი-პიტერბორო 3:2**

გოლები: 1:0 ისტვუდი (34), 2:0 ისტვუდი (35), 2:1 მაკაი-სმიტი (66), 2:2 მაკაი-სმიტი (71), 3:2 ისტვუდი (72)

**დონკასტერი-ბრისტოლი 1:0**

გოლი: შარპი (12)

**იფსვიჩი-ბლექპული 3:1**

გოლები: 1:0 სტიდი (1), 2:0 კოულბეკი (45), 2:1 ივეტი (67), 3:1 მაკოული (71)

**ლესტერი-შეფილდ უენ. 3:0**

გოლები: 1:0 ჰოვარდი (8), 2:0 კინგი (25), 3:0 კინგი (73)

**პრესტონი-პლიმუთი 2:0**

გოლები: 1:0 ჩეპლოუ (10), 2:0 უოლესი (26)

**რიდინგი-სკანთორპი 1:1**

გოლები: 1:0 რასიაკი (16), 1:1 ჰუპერი (80)

**შეფილდ იუნ.-კრ. პალასი 2:0**

გოლები: 1:0 უილიამსონი (21), 2:0 ქუინი (90)

**სუონსი-ნოტინგემი 0:1**

გოლი: 0:1 მაკგოლდრიკი (35)

**უოტფორდი-დერბი 0:1**

გოლი: 0:1 პორტერი (77)

**მიდლსბრო-კარდიფ სიტი 0:1**

გოლები: 0:1 ბარკი (61)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 21 | 14 | 4 | 3 | 35-12 | 46 |
| 2. ვესტ ბრომ. | 20 | 11 | 5 | 4 | 41-19 | 38 |
| 3. კარდიფი | 21 | 11 | 3 | 7 | 38-22 | 36 |
| 4. ნოტ. ფორესტი | 21 | 9 | 9 | 3 | 29-18 | 36 |
| 5. ლესტერი | 21 | 9 | 7 | 5 | 26-23 | 34 |
| 6. სუონსი | 21 | 8 | 8 | 5 | 18-18 | 32 |
| 7. ბლექპული | 21 | 8 | 7 | 6 | 33-25 | 31 |
| 8. შეფილდ იუნ. | 21 | 8 | 7 | 6 | 32-30 | 31 |
| 9. ბრისტოლი | 21 | 7 | 9 | 5 | 25-24 | 30 |
| 10. უოტფორდი | 21 | 8 | 6 | 7 | 30-33 | 30 |
| 11. მიდლსბრო | 21 | 8 | 5 | 8 | 30-25 | 29 |
| 12. პრესტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 26-25 | 29 |
| 13. კრ. პალასი | 21 | 7 | 8 | 6 | 24-25 | 29 |
| 14. ქპრ | 20 | 7 | 7 | 6 | 33-29 | 28 |
| 15. დონკასტერი | 21 | 6 | 9 | 6 | 27-26 | 27 |
| 16. ბარნსლი | 20 | 7 | 5 | 8 | 26-32 | 26 |
| 17. დერბი | 21 | 7 | 4 | 10 | 24-31 | 25 |
| 18. სკანთორპი | 21 | 6 | 5 | 10 | 24-38 | 23 |
| 19. ქოვენთრი | 21 | 5 | 7 | 9 | 24-33 | 22 |
| 20. იფსვიჩი | 21 | 3 | 12 | 6 | 22-30 | 21 |
| 21. რიდინგი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-33 | 21 |
| 22. შეფილდ უენ. | 21 | 4 | 6 | 11 | 23-35 | 18 |
| 23. პლიმუთი | 20 | 4 | 3 | 13 | 16-32 | 15 |
| 24. პიტერბორო | 21 | 2 | 8 | 11 | 25-36 | 14 |

**ბომბარდირები:** 12 - უიტინგემი (კარდიფი); 11 - ჩოპრა (კარდიფ სიტი), ემბროუზი (კრისტალ პალასი); 10 - ჰენდერსონი (შეფილდ იუნ), ფრიატი (ლესტერი); 9 - მეინარდი (ბრისტოლი); 8 - შარპი (დონკასტერი), სიმპსონი (ქუინზ პარკი), ჯონსონი (მიდლსბრო), ბესტი (ქოვენთრი), ბოიდი (პიტერბორო), ნოლანი (ნიუკასლი).

## პირველი ლიგა

### XXI ტური

ბრაიტონი-კოლჩესტერი 1:2, ბრენტფორდი-ლიდსი 0:0, ბრისტოლი-სვინდონი 3:0, კერლისლი-უაიკომბი 1:0, ჰადერსფილდი-ჯილინგემი 2:1, ლეიტონი-მილტონი 1:2, მილუოლი-უოლსოლი 2:1, ოლდჰემი-ექსეტერი 2:0, საუთჰემპტონი-ტრანმერი 3:0, საუთენდი-ჰარტლპული 3:2, სტოკპორტი-ჩარლტონი 1:2, იეოვილი-ნორვიჩი 3:3.

## მეორე ლიგა

### XXI ტური

**ბერნეტი-ქრუ 1:2, ბრედფორდი-როტერჰემი 2:4, ბარტონი-ოლდერშოტი 6:1, ჩესტერფილდი-ჩელტენჰემი 1:0, დაგენჰემი-ბერი 3:1, ლინკოლნი-როჩდეილი 1:3, მაკლესფილდი-ჰერეფორდი 3:1, მორკეიმბი-ბურნმუთი 5:0, ნორთჰემპტონი-პორტ ვეილი 1:1, ნოთს ქაუნთი-ეკრინგტონი 1:2, შრუზბერი-გრიმსბი 0:0, თორგუეი-დარლინგტონი 5:0.**

# გრანდები ბექებზე

## მოურინიომ ჟურნალისტთან იჩხუბა


მილანი-პალერმო. მიკოლი ვერაფერით შეაჩერეს

ასეთი რამ მართლაც იშვიათად ხდება: ვერც „ინტერმა“ მოიგო, ვერც „მილანმა“ და ვერც „იუვენტუსმა“. თუმცა, „ნერაძური“ კონკურენტებისგან განსხვავებით არ დამარცხებულა და მდევრებთან სხვაობა კიდევ ერთი ქულით გაზარდა. პირველად ხელი „იუვენტუსს“ მოეცარა - **ჩირო ფერარას** გუნდი „ბარისთან“ დამარცხდა, თანაც უშანსოდ, 1:3.

შაბათიდან მოყოლებული, იტალიელი ჟურნალისტები ფერარას გათავისუფლებას ელოდებიან, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ტურინული კლუბის მესვეურებმა მთავარ მწვრთნელს სრული ნდობა გამოუცხადეს, ასეთი პათოსით გამოსვლა თვით პრეზიდენტს **ჟან კლოდ ბლანს** ჰქონდა: *„ფერარა არსად არ მიდის და კარგი იქნება, თუ მორჩება ამ თემაზე საუბარი. ჩირო მომავლის სპეციალისტია და ის გააგრძელებს მუშაობას. კარგად მესმის, რომ უკანასკნელი შედეგები სიხარულის საბაბს არ იძლევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ გადამჭრელი ზომები მივიღოთ. ერთი სიტყვით, ფერარა რჩება, მისი ნდობის ლიმიტი საკმაოდ მაღალია“.*

შეხვედრის მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ - მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მასპინძლებმა სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს სამი ქულა. „ბარი“ ბევრად უფრო გააზრებულ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდა, რაც სამ გატანილ გოლში აისახა. აქვე აღვნიშნოთ - რომ არა **ჯანლუიჯი ბუფონის** ოსტატობა, მასპინძლებს მინიმუმ ხუთი ბურთის სხვაობით შეეძლოთ მოგება. „იუვენტუსი“ დღემდე შოკშია, გუნდმა ვერ მოინელა „ბაიერნთან“ განცდილი მწარე მარცხი და ამის შესახებ ჯერ კიდევ შეხვედრამდე ისაუბრა ფერარამ. ნამატჩევს ტურინელთა თავკაცმა ძალა მოიკრიბა და მედიის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ გაესაუბრა: *„ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნამ ჩემს ფეხბურთელებზე ძალიან ცუდად იმოქმედა. მათ მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს, მაქსიმალურად მოინდომეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. სადღაც მესმის კიდეც, დღემდე დათრგუნულები არიან იმით, რაც „ბაიერნთან“ დაპირისპირებაში დაგვემართა. კომპლიმენტები „ბარის“, გუნდს, რომელიც ჩემზე ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. სწორედ ასე უნდა თამაშობდეს გუნდი კლასით ძლიერ მეტოქესთან. მათ ეს სამი ქულა დაიმსახურეს“.*

„ბარის“ კომპლიმენტები, მაგრამ რა ეშველება „იუვენტუსს“, ძნელი სათქმელია. გუნდში ყველა რგოლი მოშლილია: დაცვა შეუთანხმებლად მოქმედებს, უკანახაზელებს უჩვეულოდ ბევრი წუნი მოსდით. უსუსურად გამოიყურება ნახევარდაცვაც, რაც მიუნხენის „ბაიერნთანაც“ გამოჩნდა და „ბარისთანაც“. შეტევის წინა ხაზზე ერთადერთი ნათელი წერტილი **დავიდ ტრეზეგე** გახლავთ, მაგრამ ამ ფეხბურთელის იმედზე რომ დიდ ხანს ყოფნა არ შეიძლება, ესეც ყველამ ვიცით. თავად ფერარა ჯერჯერობით არ ტყდება და აცხადებს, ვითარებას მალე გამოვასწორებთო. აღდგომა და ხვალეო, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

„ატალანტა“-“ინტერის“ დაპირისპირება იმით გახლდათ გამორჩეული, რომ ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი შეხვედრას ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს. დისკვალიფიცირებული **ჟოზე მოურინიო** უჩვეულოდ მშვიდი გახლდათ, აი **ანტონიო კონტე** კი ემოციურობით გამოირჩა, მას მუდმივი სატელეფონო კავშირი ჰქონდა სამწვრთნელო შტაბის წევრებთან.

პირველი ტაიმი „ინტერის“ გამოდგა. ვერ ვიტყვით, ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენო, მაგრამ თამაშის სადავეები რომ ხელთ ეპყრათ, ცხადზე ცხადია. რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა, თუმცა საწადელს მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს. 25-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც საჯარიმო მოედანში ბურთი **დიეგო მილიტომ** მიიღო - არგენტინელმა ფორვარდმა მოკლე მანძილზე ორი ფეხბურთელის მოტყუება შეძლო და მეტოქეს შესანიშნავი გოლი გაუტანა.

ცხადი იყო, რომ თამაშში გარდატეხის შესატანად ანტონიო კონტეს რაიმე უნდა მოეფიქრებინა. ცვლილებებს მიმართა, რამაც 100%-ით გაუმართლა. შეხვედრის დასრულებამდე ათიოდე წუთი იყო დარჩენილი, როდესაც გამათანაბრებელი გოლი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გამოჭედეს. **კაზერტას** შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, **ტირიბოკიმ** ბურთი ეფექტურად მიიღო და ზუსტადაც დაარტყა, 1:1. თუმცა, სანამ მასპინძლები გამათანაბრებელ გოლს გაიტანდნენ, იქამდე „ინტერი“ კაცნაკლული დარჩა. დიახ, მსაჯმა **უესლი სნეიდერს** არ აპატია უხეშობა და ჰოლანდიელი ნახევამცველი მოედნიდან გააძევა. შეხვედრის დარჩენილი წუთები „ატალანტას“ უპირატესობით წარიმართა, თუმცა გატანის ყველაზე რეალური შანსი ინტერელ **ტიაგო მოტას** ჰქონდა. ბრაზილიელმა შუახაზელმა ახლო მანძილიდან დაარტყა მასპინძელთა კარის მიმართულებით და რომ არა კიპერის სასწაულებრივი რეაქცია, სტუმრები მილანში სამ ქულას გაიყოლებდნენ. „ინტერმა“ ორი ქულა დაკარგა, რაც ჟურნალისტებმა უკვე გადააბრალეს ჟოზე მოურინიოს - ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა, შემტევები უკანახაზელებზე შეცვალა და დაისაჯა კიდეცო. როგორც „ლა რეპუბლიკა“ იტყობინება, მატჩის შემდეგ მოურინიოს სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა ჟურნალისტ **ანდრეა რამაცოტისთან** (ამაზე მომდევნო ნომერში გიამბობთ).

თავის მხრივ ლიდერთან მიახლოების შანსი გაატანა ქარს მეორე მილანურმა გრანდმა. „როსონერიმ“ საკუ-

>> მე-10 გვერდზე


ბარი-იუვენტუსი. მატჩის საკვანძო მომენტი. დიეგომ პენალტი ააცილა

### კალიარი-ნაპოლი 3:3

**კალიარი:** მარკეტი 6.5 - პიზანო 5.5 (66. დესენა 6), ლოპესი 5.5, კანინი 5.5, აგოსტინი 5.5 - ბიონდინი 6.5, პაროლა 5.5, ლაძარი 6 - კოსუ 6.5 (89. ჟედა 7) - ნენე 5 (59. ლარივეი 7), მატრი 6.5.

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6 - გრავა 6, პ. კანავარო 5.5, არონიკა 5.5 - მაჯო 6, პაციენცა 6.5 (90. ბოლიაჩინო 7), გარგანო 5.5, სუნიგა 6 (86. დატოლო) - ლავეცი 6, ჰამშიკი 7 - კვალიარელა 6 (82. დენისი 6.5).

**გოლები:** 0:1 ლავეცი (21), 0:2 პაციენცა (65), 1:2 ლარივეი (75), 2:2 მატრი (80), 3:2 ჟედა (89), 3:3 ბოლიაჩინო (90)

**გაძევება:** ლავეცი (90. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 1-11; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 8-16 (4-8); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 10 000

### ბარი-იუვენტუსი 3:1

**ბარი:** ჟილე 7 - ა. მაზიელო 6.5, დიამუტენი 7, ბონუჩი 7, სტელინი 6.5 - ე. ალვარესი 6.5, დონატი 7, ალმირონი 7.5, რივასი 6 (62. კამატა 6) - მეჯორინი 7 (66. გაცი 6), პ. ბარეტო 6.5 (60. გრეკო 6).

**იუვენტუსი:** ბუფონი 6 - კასერესი 6, ლეგროტალიე 5, ფ. კანავარო 4.5, მოლინარო 6 (66. გროსო 6) - მარკიზიო 5, პოულსენი 6, ტიაგო მენდეში 5 (74. კამორანეზი/86. ჯოვინკო) - დიეგო 4 - ამაური 5, ტრეზეგე 5.5.

**გოლები:** 1:0 მეჯორინი (7), 1:1 ტრეზეგე (23), 2:1 პ. ბარეტო (44-პენ), 3:1 ალმირონი (81)

*68-ე წუთზე დიეგომ ვერ გაიტანა პენალტი (მიზანს მილმა)*

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 10-28 (5-8); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 52 000

### ატალანტა-ინტერი 1:1

**ატალანტა:** ფ. კოპოლა 7 - დარიჩი 5.5, ბიანკო 6, თ. მანფრედინი 6.5, ბელინი 6 (76. მადონა 6.5) - დე აშენტისი 6 - პინტუ 6 (62. ტირიბოკი 7), პადოინი 5.5, გუარენტე 6 (80. კაზერტა 6.5), ჩერავოლო 6 - აკვაფრესკა 5.5.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6 - მაიკონი 5.5, კორდობა 6.5, ლუსიო 5.5, კივუ 6 - ხ. ძანეტი 6, კამბიასო 6.5 - სნეიდერი 5 - ეტო'ო 6.5, მილიტო 7 (77. ტიაგო მოტა 6), ბალოტელი 5.5 (67. სტანკოვიჩი 6).

**გოლები:** 0:1 მილიტო (15), 1:1 ტირიბოკი (81)

**გაძევება:** სნეიდერი (65. ინტერი)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 8-16 (2-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 000

### მილანი-პალერმო 0:2

**მილანი:** დიდა 5.5 - ძამბროტა 5.5, ნესტა 6, ფავალი 6, ანტონინი 6 - ამბროზინი 6 (77. ფლამინი 6), პირლო 5.5 - ზეედორფი 6.5 (69. ფ. ინძაგი 6) - აბატე 6 (51. პატო 5), ბორიელო 5.5, რონალდინიო 6.5.

**პალერმო:** სირიგუ 6.5 - კასანი 6, კიაერი 6.5, ბოვო 6.5, ბალცარეტი 5.5 - ნოჩერინო 6, ლივერანი 6, ბრეშანო 6.5 - სიმპლისიუ 6 (60. პასტორე 5.5) - კავანი 5.5 (90. გოიანი), მიკოლი 7.5 (68. ბუდანი 6).

**გოლები:** 0:1 მიკოლი (49), 0:2 ბრეშანო (62)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 24-16 (6-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 39 293

### პარმა-ბოლონია 2:1

**პარმა:** მირანტე 6.5 - პაჩი 6, პანუჩი 6.5, ა. ლუკარელი 6 - ძაკარდო 6.5, ჯემაილი 6.5 (78. პალოსკი), მორონე 6, გალოპა 7, კასტელინი 6 - ბიაბიანი 6.5 (88. ლუნარდინი), ლანცაფამე 5.5 (46. ამორუზო 6).

**ბოლონია:** ვივიანო 7.5 - რაჯი 5.5, ბრიტოსი 5, ბომბარდინი 6, ლანა 5 - კ. ძენონი 5.5, გუანა 6, მუდინგაი 6.5 - ადაილტონი 6 (78. ვალიანი) - სალაიეტა 5.5 (78. ოსვალდო), დი ვაიო 5.5 (83. ვიჯანი).

**გოლები:** 0:1 მუდინგაი (43), 1:1 პანუჩი (57), 2:1 ამორუზო (86)

**გაძევება:** ბრიტოსი (71. ბოლონია)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 20-9 (7-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 17 353

### კიევო-ფიორენტინა 2:1

**კიევო:** სორენტინო 6 - სარდო 7 (33. მალაგო 6), მორერო 6.5, იეპესი 6.5, მანტოვანი 6.5 - არიატი 6 (89. მანდელი), პინცი 7, ლუსიანო 6.5 - რიგონი 6.5 - აბრუსკატო 6.5 (74. გრანოკე 6), პელისიერი 6.

**ფიორენტინა:** ავრამოვი 6.5 - კომოტო 5 (51. კასტილიო 5.5), დაინელი 5, კროლდრუპი 5, პასკუალი 5 - დონადელი 5.5 (33. დე სილვესტრი 5.5), მონტოლივო 7 - მარკიონი 5.5 (85. იორგენსენი), სანტანა 6, ვარგასი 6 - ჯილარდინო 5.5.

**გოლები:** 0:1 მონტოლივო (5), 1:1 პინცი (12), 2:1 სარდო (24)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 11-21; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 14-13 (7-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 11 000

### ლაციო-ჯენოა 1:0

**ლაციო:** მუსლერა 6.5 - სივილია 6.5, სტენდარდო 6, რადუ 6.5 - ლიხტშტაინერი 7 (85. სკალონი), ბროკი (18. დელ ნერო 7), ფირმანი 6.5, კოლაროვი 7 - მეგნი 6 - როკი 6, სარატე 6.

**ჯენოა:** სკარპი 6.5 - ბიავა 5.5, მორეტი 5, ბოკეტი 4.5 - მ. როსი 6, იურიჩი 6, მილანეტო 6 (35. საპატერი 5), კრიშიტო 5.5 - მესტო 5.5 (46. პალასიო 6), სკული 5.5, პალადინო 5.5 (67. პაპასტატოპულოსი 6).

**გოლი:** 1:0 კოლაროვი (39)

**გაძევება:** ბოკეტი (66. ჯენოა)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 20-25; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10-8 (2-1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 25 000

### სიენა-უდინეზე 2:1

**სიენა:** კურჩი 6.5 - როზი 6.5, ტერცი 6, ბრანდაუ 6, დელ გროსო 6.5 - იაროლიმი 6 (90. იაიალო), ჟენევიე 6.5, ეკდალი 6 - რეჟინალდო 6 (75. გეზალი 6.5), პაოლუჩი 6 (71. კალაიო 6), მაკარონე 7.

**უდინეზე:** პანდანოვიჩი 6.5 - ბაშტა 6.5, კოდა 5.5, საპატა 6.5, დომიცი 6 - ინლერი 5.5, სამარკო 5.5 (68. კორადი 6), ასამოა 6 - ისლა 5 (68. გ. დ'აგოსტინო 6), ფლორო ფლორესი 5, რომერო 5.5 (73. ლოდი).

**გოლები:** 1:0 მაკარონე (66), 2:0 გეზალი (90), 2:1 გ. დ'აგოსტინო (90)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 22-21; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 19-19 (9-6); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 9 000

### კატანია-ლივორნო 0:1

**კატანია:** ანდუხარი 5.5 - პ. ალვარესი 6, ტერლიცი 5.5, სილვესტრი 5.5, კაპუანო 6 (89. სპოლი) - კარბონი 5.5, ბიაჯანტი 6 - ლამა 6 (63. პ. ლედესმა 5.5), მასკარა 4.5, მარტინესი 7 - მორიმოტო 5.5 (59. პლასმატი 6.5).

**ლივორნო:** დე ლუჩია 6 - პერტიკონე 6, კნეჟევიჩი 6.5, მილიონიკო 6 (72. დინისი 6) - რაიმონდი 6, ა. ფილიპინი 6.5, ბერგვოლდი 6.5, პიერი 5.5 - პულცეტი 5.5 (76. მარკინი), კანდრევა 6 (90. მოცარტი) - დანილევიჩუსი 6.5.

**გოლი:** 0:1 დანილევიჩუსი (88)

**გაძევება:** მასკარა (84. კატანია)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 16-14 (3-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 11 763

### სამპდორია-რომა 0:0

**სამპდორია:** კასტელაცი 6.5 - სტანკევიჩუსი 6, გასტალდელო 5.5, ლუკინი 6.5, ციგლერი 6 - პოლი 5.5 (74. ტისონე), პალომბო 6, მანინი 6 - ბელუჩი 5.5 (65. აკარდი 6) - პაცინი 6 (90. პოცი), კასანო 6.5.

**რომა:** ჟულიო სერჟიო 6.5 - კასეტი 6.5, ბურდისო 6, ჟუანი 5.5, რიისე 6.5 - დე როსი 6, ბრიგი 5.5 - ტადეი 6 (90. გუბერტი), პეროტა 6, ვუჩინიჩი 6 (84. ბაპტიშტა), ტოტი 6.5.

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 21-22; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 7-15 (1-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 35-14 | 36 |
| 2. მილანი | 16 | 9 | 4 | 3 | 23-17 | 31 |
| 3. იუვენტუსი | 16 | 9 | 3 | 4 | 29-19 | 30 |
| 4. პარმა | 16 | 8 | 4 | 4 | 22-20 | 28 |
| 5. რომა | 16 | 7 | 4 | 5 | 25-22 | 25 |
| 6. სამპდორია | 16 | 7 | 4 | 5 | 20-22 | 25 |
| 7. ბარი | 16 | 6 | 6 | 4 | 19-15 | 24 |
| 8. კიევო | 16 | 7 | 3 | 6 | 20-17 | 24 |
| 9. ფიორენტინა | 16 | 7 | 3 | 6 | 18-15 | 24 |
| 10. ჯენოა | 16 | 7 | 3 | 6 | 28-27 | 24 |
| 11. ნაპოლი | 16 | 6 | 6 | 4 | 24-24 | 24 |
| 12. კალიარი | 16 | 7 | 2 | 7 | 25-21 | 23 |
| 13. პალერმო | 16 | 6 | 5 | 5 | 21-20 | 23 |
| 14. უდინეზე | 16 | 5 | 3 | 8 | 19-21 | 18 |
| 15. ლაციო | 16 | 3 | 7 | 6 | 10-15 | 16 |
| 16. ბოლონია | 16 | 4 | 4 | 8 | 17-24 | 16 |
| 17. ლივორნო | 16 | 4 | 3 | 9 | 7-18 | 15 |
| 18. ატალანტა | 16 | 3 | 4 | 9 | 15-25 | 13 |
| 19. სიენა | 16 | 3 | 3 | 10 | 17-27 | 12 |
| 20. კატანია | 16 | 1 | 6 | 9 | 14-25 | 9 |

**ბომბარდირები:** 11 - დი ნატალე (უდინეზე); 10 - მილიტო (ინტერი); 9 - ტოტი (რომა); 8 - მატრი (კალიარი), პაცინი (სამპდორია); 7 - ეტო'ო (ინტერი), ჯილარდინო (ფიორენტინა), ჰამშიკი (ნაპოლი), პატო (მილანი), ტრეზეგე (იუვენტუსი); 6 - მიკოლი (პალერმო), ნენე (კალიარი), ტირიბოკი (ატალანტა).

## სერია B

### XVIII ტური

**პადოვა-ჩეზენა 1:0**
გოლი: 1:0 სონჩინი (82)

**მოდენა-მანტოვა 1:1**
გოლები: 1:0 კატელანი (42), 1:1 მალატესტა (74)

**პიაჩენცა-გროსეტო 0:1**
გოლი: 0:1 პინილია (84)

**ემპოლი-ვიჩენცა 1:0**
გოლი: 1:0 ედერი (84-პენ)

**კროტონე-გალიპოლი 4:2**
გოლები: 1:0 გაბიონეტა (3-პენ), 1:1 ჯინესტრა (15), 2:1 ბეატი (28), 3:1 ლეგატი (37), 4:1 მორლეო (53-პენ), 4:2 დი ჯენარო (78)
გაძევება: გალეოტო (76. კროტონე)

**ლეჩე-ასკოლი 0:0**
გაძევება: ვივესი (41. ლეჩე)

**სალერნიტანა-ალბინოლეფე 1:1**
გოლები: 0:1 პერიკო (43), 1:1 სტენდარდო (45)
გაძევება: პასონი (82. ალბინოლეფე)

**ფროზინონე-ჩიტადელა 2:1**
გოლები: 1:0 ბასო (62-პენ), 1:1 იუნკო (63), 2:1 სანტორუვო (90)

**ანკონა-ბრეშა 2:0**
გოლები: 1:0 მირამონტესი (55), 2:0 დე ფალკო (67)

**ტორინო-სასუოლო 0:1**
გოლები: 0:1 ნოსელი (77)

**რეჯინა-ტრიესტინა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეჩე | 18 | 10 | 4 | 4 | 30-20 | 34 |
| 2. ანკონა | 18 | 10 | 3 | 5 | 29-17 | 33 |
| 3. სასუოლო | 18 | 8 | 7 | 3 | 28-16 | 31 |
| 4. ემპოლი | 18 | 9 | 4 | 5 | 27-21 | 31 |
| 5. ჩეზენა | 18 | 7 | 8 | 3 | 22-10 | 29 |
| 6. მოდენა | 18 | 8 | 4 | 6 | 19-18 | 28 |
| 7. ფროზინონე | 18 | 8 | 4 | 6 | 25-26 | 28 |
| 8. ტორინო | 18 | 7 | 5 | 6 | 23-16 | 26 |
| 9. გროსეტო | 18 | 6 | 8 | 4 | 26-25 | 26 |
| 10. პადოვა | 18 | 6 | 7 | 5 | 22-19 | 25 |
| 11. ვიჩენცა | 18 | 5 | 9 | 4 | 18-16 | 24 |
| 12. კროტონე (-2) | 18 | 6 | 8 | 4 | 19-19 | 24 |
| 13. ტრიესტინა | 17 | 6 | 6 | 5 | 18-18 | 24 |
| 14. ბრეშა | 18 | 6 | 4 | 8 | 20-24 | 22 |
| 15. გალიპოლი | 18 | 5 | 7 | 6 | 17-22 | 22 |
| 16. ჩიტადელა | 18 | 5 | 6 | 7 | 23-23 | 21 |
| 17. რეჯინა | 17 | 5 | 4 | 8 | 20-25 | 19 |
| 18. ალბინოლეფე | 18 | 3 | 8 | 7 | 21-30 | 17 |
| 19. პიაჩენცა | 18 | 4 | 5 | 9 | 14-23 | 17 |
| 20. ასკოლი | 18 | 3 | 7 | 8 | 20-31 | 16 |
| 21. მანტოვა | 18 | 2 | 9 | 7 | 17-23 | 15 |
| 22. სალერნიტანა | 18 | 2 | 5 | 11 | 15-31 | 11 |

**ბომბარდირები:** 12 - რ. ბიანკი (ტორინო), მასტრონუნციო (ანკონა); 10 - კარაჩოლო (ბრეშა); 9 - ედერი (ემპოლი), პინილია (გროსეტო); 8 - ანტენუჩი (ასკოლი), კორვია (ლეჩე), ნოსელი (სასუოლო); 7 - არდემანი (ჩიტადელა), ჩელინი (ალბინოლეფე), იუნკო (ჩიტადელა).

## ლეგა პრო 1/A

### XVII ტური

კრემონეზე-ვარეზე 4:1, არეცო-ალესანდრია 3:0, პაგანეზე-ნოვარა 1:2, ბენევენტო-ვიარეჯო 2:2, მონცა-ფოლინე 2:2, ლეკო-კომო 0:1, სორენტო-პერგოკრემა 0:0, ლუმეცანე-პრო პატრია 1:1, ფოლინიო-პერუჯა 1:2.

## ლეგა პრო 1/B

### XVII ტური

პესკარა-რეალ მარჩანიზე 2:0, რავენა-ანდრია 3:1, ტერნანა-რეჯანა 0:1, კავეზე-ვირტუს ლანჩანო 0:2, სპალ-ფოჯა 0:0, პორტოგრუარო-ვერონა 0:0, რიმინი-ჯულიანოვა 2:1, პეშინა-პოტენცა 3:2, ტარანტო-კოზენცა დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივიცა გოლიჩი

## მუსიკოსთა შეწყვეტილი სიმღერა და საგიჟეთი ბორუსია-პარკზე

მორჩა, ეს ისევ ის „ბაიერნია", რომლისგანაც მეტოქის დანდობას აღარ უნდა ველოდეთ და თამამად ვიტყვით, რომ ასეთ „ბაიერნს" ახლა მხოლოდ ზამთრის არდადეგები თუ შეაჩერებს. „იუვენტუსთან" მოგების შემდეგ, მიუნხენელებს მადა გაეხსნათ და შაბათს „ბოხუმსაც" გადაუარბინეს - 5:1. თანაც, ნახეთ: რეკორდმაისტერი უკვე მხოლოდ ორი ქულითაა ჩამორჩება ლიდერ „ლევერკუზენს", რომელმაც პარასკევს აუტსაიდერ „ჰერტასთან" ოდენ 2:2 ითამაშა. შესაბამისად, პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, **იუპ ჰაინკესი** და მისი შეგირდები „ბაიერნის" სუნთქვას ძალიან ახლოს გრძნობენ.

*„ეს იყო ბრწყინვალე კვირა და მინდა, რომ ასეთი კვირები ძალიან ხშირად გვქონდეს. 4:1 ტურინში, 5:1 ბოხუმში - რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ახლა ლიდერს მხოლოდ ორი ქულითა ჩამოვრჩებით და მოუთმენლად ველით იმას, რომ „ლევერკუზენს" ფეხი მომავალ ტურშიც დაუცდება,"* - განაცხადა **ლუის ვან გაალმა** მატჩის შემდეგ.

რეკორდმაისტერის ბრწყინვალე კვირა, თამამად ვიტყვით, პირველ რიგში **ივიცა ოლიჩის** დამსახურებაა, რომელსაც მიუნხენელმა ქომაგებმა ახალი მეტსახელი მოუფიქრეს: „გოლიჩი". ხორვატ ფორვარდთან ერთად, გოლების გატანა **მარიო გომესმაც** გაიხსენა და პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვან გაალმა ეს დუეტი უკვე კარგად შეათამაშა. ოლიჩმა ტურინშიც ბრწყინვალეთ ითამაშა. გომესს კი, ზოგადად ბოლო 4 თამაშში 4 გოლი აქვს გატანილი. *„საქმე იმაშია, რომ ჩვენ ფეხბურთის თამაშით ისევ სიამოვნებას ვიღებთ. ივიცა კი ნამდვილი გიჟია. ხანდახან მგონია, რომ ყველაზე მაგარი ფეხბურთელია, ვინც კი ოდესმე მოედანზე მინახავს,"* - ამბობს მარიო, რომელსაც „ბაიერნის" შეფები უკვე აქებენ. ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**:

*„ახლა უკვე ყველა რწმუნდება, რომ გომესში 30 მილიონი ტყუილად არ გადაგვიხდია. კარგია, რომ ჩვენი თავდამსხმელები გოლებს იტანენ. ამით მათ თავდაჯერება ემატებათ."*

პრეზიდენტი **ული ჰიონესი** კი ამბობს, შემოდგომის ჩემპიონობის იმედი არასდროს დამიკარგავს და ახლაც ვფიქრობ, რომ შობა-ახალ წელს ლიდერის რანგში შევხვდებითო. „ბაიერნს" მხოლოდ და მხოლოდ ერთი თვე დასჭირდა იმისათვის, რომ მერვე ადგილიდან ლიდერებში აენაცვლა. შეგახსენებთ, რომ ნელინახევარია, რაც რეკორდმაისტერი ბუნდესლიგის სათავეში არ ყოფილა.

ბრემენის „ვერდერს" ბოლო 23 მატჩი (ბუნდესლიგაში, გერმანიის თასზე, ევროპის ლიგაში) არ ჰქონდა წაგებული, მაგრამ როცა გადაეყრები გუნდს, რომელსაც **ფელიქს მაგათი** წვრთნის, იქ ყველა სერია თუ სერიალი მთავრდება! „შალკემ" „ვეზერშტადიონზე" მშრალად, პრაქტიკულად და მყარად მოიგო - 2:0. მაგათმა კი „ვერდერი" და მისი თავკაცი **თომას შააფი** განაიარაღა, რის შემდეგაც გელზენკირხენელები მეორე ადგილზე აღზევდნენ. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ფელიქსი ისევ იმაზე ლაპარაკობს, რომ მისი გუნდის მიზანი ხუთეულში მოხვედრაა და რომ „შალკეს" გაუმართლა კიდეც, რადგან ბრემენელები მთლად კარგ ხასიათზე არ იყვნენ და ა.შ. მაგრამ ასე იყო შარშანაც, თანაც მთელი სეზონის განმავლობაში, როცა მაგათი „ვოლფსბურგს" წვრთნიდა და თქვენ იცით, რომ დღეს გერმანიის მოქმედი ჩემპიონი სწორედ „ვოლფსბურგია".

*„ჩვენ და ჩვენს გულშემატკივრებს ჩემპიონობაზე მხოლოდ ოცნება შეგვიძლია, აი, „ბაიერნს" და „ლევერკუზენს" კი აქვთ იმის უფლება, რომ „ვერცხლის სინზე" ისაუბრონ,"* - როგორც ყოველთვის, წინდახედულია მაგათი.

შეგახსენებთ, რომ „შალკემ" გერმანიის ჩემპიონობა უკანასკნელად 51 წლის წინ მოიპოვა. დღეს მაგათს ძალიან ახალგაზრდა გუნდი ჰყავს (საშუალო ასაკი 22.7 წელი) და ამ გუნდმა ბრემენში ბრწყინვალედ არა, მაგრამ სტაბილურად ითამაშა და წარმატებას მიაღწია. ფელიქსმა ბრემენელებს ექვსი (!) ჩამშლელი ყაიდის ფეხბურთელი დაუყენა და შეტევის მოყვარული „მუსიკოსები" ამით განაიარაღა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ შალკელები სულ დაცვაში იდგნენ. წინა ხაზში მათი მხრიდან **კევინ კურანი** გამოირჩეოდა. ამ უკანასკნელმა ერთი თვითონ გაიტანა, ერთი კი **იან მორავეკს** გაატანინა. ტენდენცია: ამ სეზონის მატჩებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ როცა „შალკე" ანგარიშს ხსნის, მერე ერთ ქულასაც აღარ კარგავს! კურანი: *„დაცვაში კარგად ვიდექით და ჩვენს შანსს ველოდებოდით. შანსები მოგვეცა და გამოვიყენეთ. სულ ეს იყო."*

ბრემენელები კი 23-მატჩიანი წაუგებელი სერიის შეწყვეტის გამო ძალიან გაბრაზდნენ. ბოსმა **კლაუს ალოფსმა** თქვა, „ბილბაოსთან" და „ჰამბურგთანაც" თუ ასე ვითამაშებთ, ორივე მატჩს წავაგებთო. ფრინგსი: *„შალკემ" უფრო გამოამჟღავნა ბრძოლის უნარი, ვიდრე ჩვენ. ამიტომაც დავმარცხდით."*

მიონხენგლადბახის „ბორუსია-პარკზე" ნამდვილი საგიჟეთი იყო. „ჰანოვერის" ფეხბურთელებმა სამი ავტოგოლი გაიტანეს და ასეთი რამ ბუნდესლიგის ისტორიას აქამდე არ ახსოვს. საბოლოო ჯამში კი, „ბორუსიამ" 5:3 მოიგო. დასკვნა: ამაზე უფრო გიჟური თამაში იშვიათად გვინახავს. არცაა გასაკვირი, „ჰანოვერის" მთავარი მწვრთნელი **ანდრეას ბერგმანი** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე შეხვედრას იუმორით რომ მიუდგა, ექვსი გოლი გავიტანეთ და წავაგეთ, ეს თამაში არასდროს დამავიწყდებაო. მატჩის ტრაგიკული პერსონა **ქარიმ ჰაგი** გახდა. ტუნისელმა მცველმა ერთბაშად ორი ავტოგოლი მიითვალა. სამიდან, ყველაზე კურიოზული ავტოგოლი კოტ დ'ივუარის ნაკრების ფეხბურთელმა **კონსტანტ ჯაპკამ** გაიტანა, რომელმაც მეკარე **ფლორიან ფრომლოვიტცს** ისეთი დაურტყა, სტაჟიან თავდამსხმელს შეშურდებოდა. „წითლების" მეორე კოტ დ'ივუარელმა, თავდამსხმელმა **ია კონანმა** ასევე დუბლი შეასრულა, ოღონდ კორექტული, მაგრამ საფინალო სასტვენი არ გაუგონია - 84-ე წუთზე გააძევეს. მატჩის შემდეგ საინტერესოდ იხუმრა მიონხენგლადბახელთა მენეჯერმა **მაქს ებერლმა**, რომელმაც თქვა, გერმანიის საფეხბურთო კავშირში ალბათ ეჭვი გაუჩნდათ, რომ ეს მატჩი მანიპულირებული იყოო. *„მაგრამ დღეს იმდენად კურიოზული გოლები გავიდა, რომ ასეთ რამეს ფეხბურთელი განგებ ვერ გააკეთებს,"* - დასძინა მან.

შაბათს დამტკიცდა, რომ **მლადენ პეტრიჩი** „ჰამბურგისთვის" უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. თვითონ განსაჯეთ: ხორვატმა თავდამსხმელმა ტრავმა 4 ოქტომბერს მიიღო და მას მერე ჩრდილოგერმანელებმა შვიდი თამაშიდან ვერც ერთი ვერ მოიგეს. შაბათს კი, ტრავმამოშუშებულმა პეტრიჩმა პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და „ჰამბურგმა" მოუგებელი სერია შეწყვიტა: 4:0 ნიურნბერგში. თვითონ პეტრიჩს გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ, **ელერო ელიამ** შეასრულა დუბლი და ამ უკანასკნელს ერთ ეპიზოდში ცარიელ კართან მდგომი პეტრიჩისთვის უნდა მიეცა პასი, მაგრამ თვითონ გადაწყვიტა დარტყმა. პეტრიჩი: *„რომ არ გაეტანა, ალბათ მოვკლავდი!"* „ჰამბურგიდან" შესანიშნავად ითამაშა ახალგაზრდა თურქმა ფორვარდმა **თორუნმაც** (19 წლის, გოლი და პასი). ჰამბურგელთა თავკაცმა **ბრუნო ლაბადიამ** გუნდის ლიდერი **პიოტრ ტროხოვსკი** თორუნის გამო სათადარიგოთა სკამზე დასვა. გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა **მარსელ იანსენმაც**, რომელიც ახლა ძალიან კარგ ფორმაშია. „ნიურნბერგს" კი უკვე ცუდად აქვს საქმე. ფრანკებმა ბოლო სამ თამაშში ცხრა გოლი გაუშვეს და ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე დამკვიდრდა. გაათავისუფლებენ თუ არა ფრანკები მთავარ მწვრთნელ **მიხაელ იონინგს**? პრეზიდენტი **ფრანც შეფერი**: *„ფაქტია, რომ თუ მომდევნო ტურში კიოლნში ვერ მოვიგებთ, შობა-ახალ წელს კი არ ვიზეიმებთ, მაგიდას შემოვუსხდებით და ვიმსჯელებთ, როგორ გამოვასწოროთ ვითარება."*

„ჰოფენჰაიმმა" და „აინტრახტმა" ქულები გაიყვეს (1:1) - შარშანდელი შემოდგომის ჩემპიონი „ჰოფე" წელს პირველ წრეს საუკეთესო ხუთეულს მიღმა ამთავრებს. „კიოლნმა" კი ისევ ჩინური კედელი ააშენა, ამჯერად „ფრაიბურგთან" და ისევ ვერ გაიტანა გოლი: 0:0 „ბადენოვა-შტადიონზე".

გუშინ „შტუტგარტის" დამრიგებლის რანგში, **კრისტიან გროსის** ბუნდესლიგური დებიუტიც შედგა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგისგან განსხვავებით (3:1 „უნირეასთან"), შვაბებმა „მაინცს" ვერ მოუგეს. არადა, ათვალწუნებული **პაველ პოგრებნიაკის** გოლით იგებდნენ და კარნავალელებმა მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხეს წონასწორობის აღდგენა, ისიც პენალტით, რომელიც „შტუტგარტის" მეკარე იენს ლემანის უპატიებელ საქციელს მოჰყვა. ლემანმა გუნდი დაალალატა - ერთის მხრივ პენალტი წამოიკიდა და თანაც, წითელი ბარათი აუფრიალეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

18 დეკემბერი. შალკე-მაინცი. 19 დეკემბერი. **ბაიერნი-ჰერტა, ბორუსია (დ)-ფრაიბურგი, ლევერკუზენი-ბორუსია (მ), ჰანოვერი-ბოხუმი, აინტრახტი-ვოლფსბურგი, შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი.** 20 დეკემბერი. **ჰამბურგი-ვერდერი, კიოლნი-ნიურნბერგი.**


ივიცა ოლიჩმა ბოხუმს დუბლი შეუსრულა

### ჰერტა–ლევერკუზენი 2:2

**ჰერტა (4-4-1-1):** დრობნი 2 - პიუჩეკი 3, კაკა 4.5, ფონ ბერგენი 3, პეიჩინოვიჩი 3.5 - კაჩარი 3.5, ლუსტენბერგერი 3 - ებერტი 3.5, სისერო 2.5 - რაფაელი 3 - რამოსი 1.5.

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** ადლერი 3.5 - შვააბი 3.5 (46. კაპლანი 3), რაინარტცი 4.5, ჰიიპია 4.5, კადლეცი 4 - ვიდალი 5 (87. ჟდებელი), კასტრო 3.5 - ბარნეტა 3, კროოსი 2.5 - კისლინგი 3, დერდიოკი 5 (67. ჰელმესი 4.5).

**გოლები:** 1:0 რამოსი (8), 1:1 კროოსი (76), 1:2 კაპლანი (90), 2:2 რამოსი (92)

**გაძევება:** კაჩარი (77. ჰერტა)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 8(3)-10(5); **ჯარიმა:** 23-20; **კუთხური:** 2-10; **ბურთის ფლობა:** 41%-60%.

**მაყურებელი:** 40 474

### ნიურნბერგი–ჰამბურგი 0:4

**ნიურნბერგი (4-1-3-1-1):** შტეფანი 3.5 - დიკმაიერი 5.5, ვოლფი 5, მარო 5, პინოლა 5.5 - ნორდტვეიტი 5.5 - ფრანტცი 5.5 (65. ჩუპო-მოტინგი 4), მინტალი 5 (65. ხარისტეასი 4.5), კლუგე 4 - აიგლერი 4.5 - ბუნიაკუ 4.5.

**ჰამბურგი (4-2-2-2):** როსტი 3 - დემელი 3.5, ჟ. ბოატენგი 3, მატიისენი 2.5, აოგო 3 - რინკონი 3, იაროლიმი 3 (80. ტავარესი) - ელია 1.5 (75. ბერგი), იანსენი 1.5 - პეტრიჩი 3.5, თორუნი 2 (75. ტროხოვსკი).

**გოლები:** 0:1 ელია (47), 0:2 იანსენი (60), 0:3 თორუნი (66), 0:4 ელია (74)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 9(3)-17(8); **ჯარიმა:** 20-15; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 44 865

### ჰოფენჰაიმი–აინტრახტი 1:1

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-2):** ჰილდებრანდი 4.5 - იბერტსბერგერი 4.5 (87. ტერაცინო), შიმუნიჩი 4, კომპერი 3.5, აიხნერი 4 - ვაისი 4 (64. კარლოს ედუარდო 3.5), ლუის გუსტავო 5 - ობასი 5 (79. ვუკჩევიჩი), სალიჰოვიჩი 3 - იბიშევიჩი 4.5, ბა 4.

**აინტრახტი (4-2-3-1):** ნიკოლოვი 3 - იუნგი 3, კრისი 3, რუსი 4, კიოლერი 4 - ტებერი 3 (92. პროისი), შვეგლერი 2 - პ. ოხსი 4, ა. მაიერი 4.5, ქორქმაზი 3.5 (84. ტიჩ-რივერო) - ლიბეროპულოსი 4.5.

**გოლები:** 1:0 სალიჰოვიჩი (9-პენ), 1:1 შვეგლერი (61)

**გაფრთხილება:** 3-0; **დარტყმა:** 19(6)-15(2); **ჯარიმა:** 25-14; **კუთხური:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 30 150

### ბოხუმი–ბაიერნი 1:5

**ბოხუმი (4-2-2-2):** ჰეერვაგენი 3 - კონჩა 5, მალტრიტცი 4.5, მავრაი 5.5, ფუხსი 4.5 - დაბროვსკი 5, პფერტცელი 5 - ფრაიერი 5.5 (35. აზაუაგი 5.5), დედიჩი 4.5 (77. ჰაშემიანი) - პროკოფი 4.5, შესტაკი 4.5 (77. ეპალე).

**ბაიერნი (4-2-2-2):** ბუტი 4 - ლამი 2, ვან ბუიტენი 3 (64. ბრენო 3.5), დემიკელისი 4, ბადშტუბერი 2.5 - ვან ბომელი 3, შვაინშტაიგერი 2.5 (57. რობენი 3) - თ. მიულერი 2 (84. ტიმოშჩუკი), პრანიჩი 2 - გომესი 2, ოლიჩი 1.5.

**გოლები:** 0:1 გომესი (23), 0:2 მავრაი (33-საკ. კარში), 0:3 ოლიჩი (43), 0:4 ოლიჩი (50), 0:5 პრანიჩი (56), 1:5 ფუხსი (76)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 8(3)-23(10); **ჯარიმა:** 12-10; **კუთხური:** 2-9; **ბურთის ფლობა:** 25%-75%.

**მაყურებელი:** 30 748

### ბორუსია (მ)–ჰანოვერი 5:3

**ბორუსია მ (4-2-2-2):** ბეილი 3.5 - ლეველსი 3, ბრაუერსი 4.5, დანტე 3, ჟორე 5 - მარქსი 3, ბრედლი 2.5 - როისი 3.5, არანგო 3 (90. კლაინე) - მატმური 2.5, ფრენდი 2 (85. კოლაუტი).

**ჰანოვერი (4-1-2-1-2):** ფრომლოვიტცი 5 - ჩერუნდოლო 3.5 (70. შლაუდრაფი), ჰაგი 5.5, კ. შულცი 3.5, რაუში 4.5 (58. ჰანკე 4) - ბალიტში 4 - პინტუ 3, როზენტალი 3.5 (23. ჯაპკა 5) - ბრუგინკი 4 - შტაინერი 5, ია კონანი 3.5.

**გოლები:** 1:0 ჰაგი (14-საკ. კარში), 2:0 ფრენდი (22), 2:1 ია კონანი (36), 3:1 ჯაპკა (58-საკ. კარში), 4:1 ბრედლი (68), 4:2 ია კონანი (69), 4:3 კ. შულცი (87), 5:3 ჰაგი (93-საკ. კარში)

**გაძევება:** ია კონანი (84. ჰანოვერი)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 17(6)-22(5); **ჯარიმა:** 17-16; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 43 528

### ფრაიბურგი–კიოლნი 0:0

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** პუპლინი 2.5 - დუტრი ჩა 4.5, ბუტშერი 3, ბასტიანსი 3.5, მენდი 4 - ბანოვიჩი 4, მაკიადი 4 - აბდესადკი 5, იეგერი 5 (61. კალიგიური 4.5) - რაიზინგერი 5 (70. ბეხმანი 3.5), იდრისუ 4.5.

**კიოლნი (4-1-2-2-1):** მონდრაგონი 2.5 - შორხი 4.5, ჟერომელი 2.5, მოჰამადი 3, ერეთი 4.5 (64. ბრეჩკო 4) - პეცონი 4 - პეტიტი 4.5, მანიშე 5 - ჩიჰი 4.5 (81. ფრაისი), პოდოლსკი 3 - ნოვაკოვიჩი 5.

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 12(4)-11(3); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 000

### ვერდერი–შალკე 0:2

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე 3.5 - ფრიტცი 4, მერტეზაკერი 4, ნალდო 5, ბოიონიში 4.5 - ფრინგსი 5 (75. როზენბერგი) - დ. იენსენი 4.5 (55. ბოროვსკი 4.5), ჰანტი 5 - იოზილი 4 - მარინი 4.5, უგო ალმეიდა 5 (63. პისარო 4.5).

**შალკე (4-2-3-1):** ნოიერი 3 - სამბრანო 2.5, ჰოვედესი 2.5, ვესტერმანი 2.5, შმიტცი 3.5 - რაფინია 2.5, მატიპი 3.5 - ფარფანი 3 (90. ჰანცელი), რაკიტიჩი 3.5 (70. მორავეკი), ჰოლტბი 2.5 (56. სანჩესი 3.5) - კურანი 1.5.

**გოლები:** 0:1 კურანი (47), 0:2 მორავეკი (72)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 9(2)-8(3); **ჯარიმა:** 13-30; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 37 000

### მაინცი–შტუტგარტი 1:1

**მაინცი (4-2-3-1):** ჰ. მიულერი - ფ. ჰელერი, ბუნგერტი, ნოვესკი, ლიოვი - კარჰანი (82. ჰიკა), სოტო - ჰოოგლანდი, ივანშიტცი (82. ბალიაკი), შიურლე (65. პოლანსკი) - ბონსე.

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი - ჩელოცი, ნიდერმაიერი, დელპიერი, ბოკა - ტრეში, ხედირა - გებჰარდტი (89. ულრაიხი), ჰლები (74. რუდი) - მარიკა (69. შიბერი), პოგრებნიაკი.

**გოლები:** 0:1 პოგრებნიაკი (11), 1:1 პოლანსკი (90-პენ)

**გაძევება:** ლემანი (88. შტუტგარტი)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 13(5)-7(3); **ჯარიმა:** 15-16; **კუთხური:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 20 300

### ვოლფსბურგი–ბორუსია (დ) 1:3

**ვოლფსბურგი (4-1-2-2-1):** ბენალიო - რიტერი, რ. კოშტა, ბარძალი, მ. შეფერი (21. ჯონსონი) - ჟოსუე - ჰასებე, გენტნერი (44. პეკარიკი) - მიშიმოვიჩი, კალენბერგი (22. გრაფიტე) - ჯეკო.

**ბორუსია დ. (4-2-2-2):** ვაიდენფელერი - ოვომოიელა, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, გროსკროიტცი (92. ფელიპე სანტანა) - ზიდანი (62. ვალდესი), ბარიოსი (86. შტიპერმანი).

**გოლები:** 0:1 ბარიოსი (8), 0:2 ბარიოსი (10), 0:3 ოვომოიელა (37), 1:3 გრაფიტე (37)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15(2)-11(6); **ჯარიმა:** 20-20; **კუთხური:** 9-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 16 | 8 | 8 | 0 | 32-11 | 32 |
| 2. შალკე | 16 | 9 | 4 | 3 | 25-13 | 31 |
| 3. ბაიერნი | 16 | 8 | 6 | 2 | 29-13 | 30 |
| 4. ვერდერი | 16 | 7 | 7 | 2 | 31-14 | 28 |
| 5. ჰამბურგი | 16 | 7 | 7 | 2 | 32-18 | 28 |
| 6. ბორუსია (დ) | 16 | 7 | 6 | 3 | 22-17 | 27 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 16 | 7 | 4 | 5 | 26-14 | 25 |
| 8. მაინცი | 16 | 6 | 6 | 4 | 21-21 | 24 |
| 9. ვოლფსბურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 30-30 | 23 |
| 10. აინტრახტი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-22 | 23 |
| 11. ბორუსია (მ) | 16 | 6 | 3 | 7 | 22-26 | 21 |
| 12. ფრაიბურგი | 16 | 5 | 3 | 8 | 19-32 | 18 |
| 13. ჰანოვერი | 16 | 4 | 5 | 7 | 19-24 | 17 |
| 14. კიოლნი | 16 | 3 | 6 | 7 | 7-15 | 15 |
| 15. შტუტგარტი | 16 | 2 | 7 | 7 | 13-22 | 13 |
| 16. ბოხუმი | 16 | 3 | 4 | 9 | 15-31 | 13 |
| 17. ნიურნბერგი | 16 | 3 | 3 | 10 | 12-29 | 12 |
| 18. ჰერტა | 16 | 1 | 3 | 12 | 11-34 | 6 |

**ბომბარდირები:** 12 - კისლინგი (ლევერკუზენი); 8 - ბარიოსი (ბორუსია დ), კურანი (შალკე); 7 - გომესი (ბაიერნი); 6 - ბუნიაკუ (ნიურნბერგი), ჯეკო (ვოლფსბურგი), იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი), ივანშიტცი (მაინცი), მიშიმოვიჩი (ვოლფსბურგი), იოზილი (ვერდერი), პისარო (ვერდერი), ია კონანი (ჰანოვერი).

### II ბუნდესლიგა

### XVI ტური

**კარლსრუე-დუისბურგი 0:1**

გოლი: 0:1 გრლიჩი (22)

**ალემანია-პადერბორნი 1:1**

გოლები: 1:0 კასპერი (42), 1:1 მანო (66-პენ)

**კაიზერსლაუტერნი-კობლენცი 3:0**

გოლები: 1:0 ნემეცი (16), 2:0 იენდრიშეკი (57), 3:0 ლაკიჩი (79)

**მიუნხენ 1860-აუგსბურგი 1:0**

გოლი: 1:0 ლუდვიგი (5)

**ფრანკფურტი-ალენი 0:0**

**არმინია-უნიონი 1:1**

გოლები: 1:0 კუჩერა (57), 1:1 პაიტცი (76)

**ზტ. პაული-ფიურტი 2:2**

გოლები: 1:0 ტაკიი (41), 2:0 ჰენინგსი (66), 2:1 ალაგუი (82), 2:2 გასემი-ნობახტი (92)

**ფორტუნა-ობერჰაუზენი 2:0**

გოლები: 1:0 ჰაიდინგერი (27), 2:0 ჰარნიკი (34)

**კოტბუსი-ჰანზა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 16 | 12 | 3 | 1 | 26-9 | 39 |
| 2. ზტ. პაული | 16 | 10 | 3 | 3 | 40-18 | 33 |
| 3. ფორტუნა | 16 | 9 | 3 | 4 | 27-16 | 30 |
| 4. არმინია | 16 | 9 | 2 | 5 | 25-14 | 29 |
| 5. დუისბურგი | 16 | 8 | 4 | 4 | 29-23 | 28 |
| 6. აუგსბურგი | 16 | 6 | 7 | 3 | 31-25 | 25 |
| 8. უნიონი | 16 | 7 | 4 | 5 | 25-23 | 25 |
| 9. პადერბორნი | 16 | 5 | 6 | 5 | 22-22 | 21 |
| 10. მიუნხენ 1860 | 16 | 6 | 3 | 7 | 18-19 | 21 |
| 11. კარლსრუე | 16 | 6 | 3 | 7 | 21-23 | 21 |
| 12. ალემანია | 16 | 5 | 5 | 6 | 14-18 | 20 |
| 13. ობერჰაუზენი | 16 | 6 | 2 | 8 | 16-27 | 20 |
| 14. კოტბუსი | 15 | 5 | 4 | 6 | 23-24 | 19 |
| 15. ფიურტი | 16 | 6 | 1 | 9 | 27-29 | 19 |
| 16. ჰანზა | 15 | 6 | 0 | 9 | 18-23 | 18 |
| 17. კობლენცი | 16 | 3 | 3 | 10 | 13-29 | 12 |
| 18. ფრანკფურტი | 16 | 2 | 4 | 10 | 11-29 | 10 |
| 19. ალენი | 16 | 1 | 5 | 10 | 10-25 | 8 |

**ბომბარდირები:** 14 - თურკი (აუგსბურგი); 10 - ებერსი (ზტ. პაული); 9 - ფედერიკო (არმინია); 7 - ალაგუი (ფიურტი), ჰარნიკი (ფორტუნა), იოვანოვიჩი (ფორტუნა), შ. კუქი (კობლენცი), ნოოთე (ფიურტი).

### III ბუნდესლიგა

**ვეენი-კარლ-ცაისი 1:1, ბორუსია (დ)II-ბურგჰაუზენი 3:0, აუე-ოფენბახი 4:2, კილი-რეგენსბურგი 1:0, ოსნაბრიუკი-ბრაუნშვაიგი 1:0, ერფურტი-ვერდერი II 1:1, ზანდჰაუზენი-უნტერჰახინგი 3:1, შტუტგარტი II-დრეზდენი 2:2, ვუპერტალი-ჰაიდენჰაიმი 1:2.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

### ინგლისი

#### FA Trophy

| | |
|---|---|
| კემბრიჯი-ლუტონი | 3:1 |
| მეტლოკი-კიდერმინსტერი | 0:2 |
| ვოქსოლი-კინგსი | 3:0 |
| მენსფილდი-ტამუორტი | 0:2 |
| ბლაითი-ილკესტონი | 2:0 |
| უელინგი-ისტბურნი | 0:1 |
| ბიშოპი-მეიდენჰედი | 1:2 |
| ჩელმსფორდი-ტრურო | 2:2 |
| სტივენეიჯი-ებსფლიტი | 2:0 |
| უიმბლდონი-ბორეჰემი | 2:1 |
| ჰემპტონი-ლიუესი | 0:0 |
| რაშდენი-ბილერიკეი | 1:0 |
| უორკინგტონი-ნანიტონი | 2:1 |
| ოქსფორდი-ჰეისი | 1:0 |
| უოკინგი-ფორესტ გრინი | 1:0 |
| უეიმაუთი-სალისბერი | 0:1 |
| ფარნბორო-ნიუპორტი | 1:3 |
| კერშალტონი-ნორთვუდი | 1:1 |
| უორჩესტერი-გრეისი | 3:1 |
| გეიტშიდი-ჰაროგეიტი | 1:1 |
| კორბი-ფარსლი | 2:0 |
| გისელი-რედიჩი | 1:0 |
| ჰინკლი-იორკი | 0:0 |
| რექსჰემი-ალტრინჩემი | 0:0 |
| კეტერინგი-ბაროუ | 0:1 |
| ნენტვიჩი-სტალიბრიჯი | 0:3 |
| საუთპორტი-გეისნბრო | 2:2 |
| ჰავანტი-დოვერი | 2:3 |
| ბეშლი-ქროული | 2:3 |
| ერსელი-ჩიპენჰემი | 1:1 |

### საფრანგეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ლე მანი-ვალანსი | 2:1 |
| ლანსი-ნიცა | 2:0 |
| მარსელი-ბულონი | 2:0 |
| ნანსი-რენი | 1:2 |
| ლორიანი-ოსერი | 0:0 |
| მონაკო-ლილი | 0:4 |
| პსჟ-სტ. ეტიენი | 3:0 |
| სოშო-გრენობლი | 1:0 |
| ტულუზა-მონპელიე | 0:1 |
| ლიონი-ბორდო | 0:1 |

### საფრანგეთი თასი

#### I რაუნდი

| | |
|---|---|
| მარკი-კომპიენი | 2:2 პენ. 2:4 |
| ანჟერსი-ექსელსიორი | 5:0 |
| ლა გრან მოტი-მარინანი | 1:0 |
| შოლე-სომური | 2:2 პენ. 4:5 |
| ვერსალი-დიჟონი | 1:0 |
| ნიმი-პო | 1:1 პენ. 2:4 |
| ლილა-კაენი | 0:1 |
| სტ. იუენი-იზორი | 1:1 პენ. 3:2 |
| ტრუა-სელონგეი | 2:1 |
| კანი-ლუზენაკი | 3:0 |
| აგენი-კალვი | 0:0 პენ. 5:4 |
| ევიანი-ფორი | 4:0 |
| პონტივი-პლუვორნი | 5:1 |
| პასი-კევილი | 0:2 დ.დ. |
| სედანი-მუამი | 3:1 |
| სტ. დიზიე-ორლეანი | 0:0 პენ. 5:4 |
| ტური-მონტკო | 2:1 |
| ვესული-მარინი | 4:1 |
| ვილეფრანში-ანონეი | 2:1 |
| სტ. ლუი-ბეზანსონი | 4:0 |
| რაონი-ბრესანი | 6:1 |
| ლავალი-ლე პუარი | 4:0 |
| პლაბენეკი-კონკარნო | 2:0 |
| ტიერი-ნიორი | 3:1 |
| შარტრი-ვანდე | 1:2 |
| რომორანტენი-ვანი | 0:2 |
| კამბრე-ობერვილიე | 0:1 |
| ნევერი-ბოვე | 1:4 |
| ბალმა-აიაჩო | 1:3 |
| როდე-ლუკონი | 3:1 |
| ამიენი-ავიონი | 2:1 დ. დ. |
| შერბური-ავრანში | 0:3 |
| ბოშამი-სტ. პემოლე | 1:1 პენ. 4:3 |
| ერი-სეკლინი | 0:1 |
| ფრესნუა-სტ. კვენტინი | 0:1 |
| ლა ფერტე-ტრელისა | 0:1 |
| ლატი-ბანოლი | 1:0 |
| ფეიტია-შორეი | 2:3 |
| კოლმარი-მეცი | 2:2 პენ. 4:2 |
| რენი-ბრესტი | 1:2 დ. დ. |
| მულუზი-ლა შაპელი | 4:1 |
| ლოონი-მარკეტი | 1:2 |
| სტრასბური-ტიონვილი | 3:0 |

### ჰოლანდია

XVII ტური

| | |
|---|---|
| აიაქსი-ნიიმეგენი | 3:0 |
| ვენლო-ვაალვიკი | 3:0 |
| ტვენტე-ბრედა | 3:1 |
| ჰერენვეენი-ფეიენოორდი | 0:2 |
| ეინდჰოვენი-ალკმაარი | 1:0 |
| დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 1:4 |
| ვიტესი-უტრეხტი | 2:2 |
| ვილემი-როდა | 1:3 |
| სპარტა-გრონინგენი | 2:4 |

#### II დივიზიონი

XXI ტური

მაასტრიხტი-გრააფსხაპი 1:3; აპელდოორნი-ჰელმონდი 0:0; ექსელსიორი-ემენი 4:1; ფორტუნა-დენ ბოში 1:0; იგლზი-ეინდჰოვენი II 2:3; ტელსტარი-დორდრეჰტი 1:3; ტოპ ოსი-როსენდაალი 0:1; ვეენდამი-ცვოლე 2:1; ომნივორლდი-კამბური 1:5; ვოლენდამი-ჰაარლემი 5:0.

### უნგრეთის თასი

| | |
|---|---|
| დებრეცენი-მტკ | 2:0 |

### ბელგია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ვესტერლო-ანდერლეხტი | 0:2 |
| ბრიუგე-მეხელენი | 1:1 |
| ბეერსხოტი-შარლერუა | 0:0 |
| მუსკრონი-ლოკერენი | 0:5 |
| სტ. ტრუიდენი-კორტრიიკი | 0:2 |
| სტანდარდი-რუზელარე | 0:1 |
| ვარეგემი-სერკლი | 1:0 |
| გენტი-გენკი | 2:1 |

#### II დივიზიონი

XVIII ტური

ოსტენდე-ბერგენი 0:1; ეუპენი-ბრიუსელი 2:1; დენდერი-სტანდარდი (ვ) 1:3; ლომელი-ტინენი 2:0; ტუბეკე-ტურნე 0:0; ტურნჰაუტი-ბევერენი 0:0; ვაასლანდი-ლიერსი 1:3; ჰევერლე-ანტვერპენი 1:1; ბორინაჟი-ლიეჟი 0:0.

### პორტუგალია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ფერეირა-ნასიონალი | 2:1 |
| სპორტინგი-ლეირია | 0:1 |
| ოლჰანენსე-ბენფიკა | 2:2 |
| აკადემიკა-ლეიქსოეში | 2:0 |
| მარიტიმუ-რიუ ავე | 0:1 |
| ბრაგა-ნავალი | 0:0 |
| პორტუ-სეტუბალი | 2:0 |
| ბელენენსეში-გიმარაეში | დღეს |

#### II დივიზიონი

XIII ტური

პორტიმონენსე-ფეირენსე 1:0; ავეში-ეშტორილი 0:1; პენაფიელი-ბეირა მარი 0:2; კარეგადო-შავეში 1:2; კოვილია-ოლივეირენსე 1:1; ფატიმა-ვარზიმი 0:0; ჟილ ვისენტე-ფრეამუნდე 1:1; სანტა კლარა-ტროფენსე 3:1.

### შოტლანდია

XV ტური

| | |
|---|---|
| მოზერველი-სელტიკი | 2:3 |
| აბერდინი-ჰამილტონი | 1:2 |
| ჰარტსი-დანდი იუნ | 0:0 |
| კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| რეინჯერსი-სტ. ჯონსტონი | 3:0 |
| სტ. მირენი-ფალკირკი | 1:1 |

#### I დივიზიონი

XVII ტური

ეირდრი-პარტიკი 2:5; დანფერმლაინი-როსი 3:3; დანდი-ეირი 3:1; მორტონი-ქუინი 1:2; ინვერნესი-რეითი 1:0.

#### II დივიზიონი

XVII ტური

ალოა-ბრეჩინი 2:1; არბროა-სტირლინგი 3:4; დამბარტონი-ისტ ფაიფი 0:3; პიტერჰედი-კოუდენბითი 0:2; სტენჰაუზმური-კლაიდი 1:0.

#### III დივიზიონი

XVI ტური

ალბიონი-ელჯინი 1:1; ბერუიკი-ისტ სტირლინგი 0:1; ლივინგსტონი-ფორფარი 1:2; მონროუზი-ანენი 0:0; სტრანრარი-ქუინზ პარკი 1:1.

### ავსტრია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-აუსტრია (კ) | 1:0 |
| კაპფენბერგი-მატერსბურგი | 2:2 |
| რაპიდი-რიდი | 2:1 |
| ვინერი-ლინცერი | 4:0 |
| შტურმი-აუსტრია (ვ) | 2:2 |

### კვიპროსი

XIII ტური

| | |
|---|---|
| აეკ-აელ | 1:0 |
| აპოლონი-აპოპ | 1:0 |
| ანორთოსისი-ენოსისი | 2:0 |
| ომონია-აპოელ | 1:1 |
| აეპ-ერმისი | 3:3 |
| დოქსა-ნეა სალამისი | 0:0 |
| ეთნიკოსი-არისი | დღეს |

### საბერძნეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| არისი-ასტერასი | 0:1 |
| იანინა-ერგოტელისი | 1:0 |
| ირაკლისი-პანათინაიკოსი | 0:1 |
| ატრომიტოსი-ქსანტი | 1:0 |
| ლარისა-პანიონიოსი | 2:2 |
| კავალა-პაოკ | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-პანთრაკიკოსი | 3:0 |
| აეკ-ლევადია | 3:2 |

#### II დივიზიონი

XIII ტური

ეთნიკოსი (ა)-ანაგენისი 2:0; დიაგორასი-იონიკოსი 4:1; აგროტიკოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) 3:0; დოხა-ილისიაკოსი 2:0; ილიუპოლი-პანსერაიკოსი 0:0; კერკირა-ეთნიკოსი (ვ) 3:1; პანაიტოლიკოსი-როდოსი 1:0; პიერიკოსი-კალამატა 1:1; ოფიტრასივულოსი დღეს.

### შვეიცარიის თასი

#### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ლუცერნი-სტ. გალენი | 1:4 |
| ბაზელი-ბილი | 3:1 |
| კრინსი-თუნი | 2:1 |
| ლოზანა-იანგ ბოიზი | 4:1 |

### სლოვენია

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| კოპერი-პუბლიკუმი | 4:0 |
| მარიბორი-ინტერბლოკი | 1:0 |

### თურქეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ანთალია-გალათასარაი | 2:3 |
| ფენერბაჩე-ანკარაგიუჯუ | 3:2 |
| ბურსა-ანკარა | 3:0 |
| დიარბაქირი-კასიმფაშა | 2:2 |
| გენჩლერი-გაზიანთეფი | 1:1 |
| ბუიუქშეჰირი-კაისერი | 1:2 |
| სივასი-ესქიშეჰირი | 2:1 |
| დენიზლი-ტრაბზონი | 0:1 |
| მანისა-ბეშიქთაში | 1:1 |

#### II დივიზიონი

XVI ტური

ბოლუ-ქარაბუქი 1:1; ალთაი-დარდანელი 3:2; ბუკა-რიზე 6:1; ბბ გაზიანთეფი-ერჩიესი 3:0; გირეშუნი-ქონია 3:2; ჰაჩეთეფე-ქარსიაქა 4:1; ქოჯაელი-მერსინი 1:0; სამსუნი-ქართალი 2:0; ადანა-ორდუ დღეს.

### უელსი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ტნს-ებერისთვითი | 4:0 |
| ბალა თაუნი-პორტ ტელბოტი | 1:1 |
| ქერსოუსი-ჰევერფორდვესტი | 0:2 |
| სეფნი-კარმართენი | 0:1 |
| ნიუთაუნი-ბანგორი | 2:5 |
| პორტმედოგი-ქონეასი | 0:1 |
| რილი-უელშპული | 4:1 |
| ლანელი-პრესტატინი | 4:1 |
| ნითი-ეირბასი | 0:0 |

### ისრაელი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:2 |
| ჰაპოელი (ა)-მაკაბი (ფ-თ) | 2:0 |
| ჰაპოელი (რ)-ჰაპოელი (რ-გ) | 0:1 |
| მაკაბი (ა-ნ)-ბეითარი | 0:1 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (ჰ) | 0:4 |
| ბნეი სახნინი-მაკაბი (ნ) | 0:3 |
| ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (თ-ა) | გადაიდო |
| მაკაბი (თ-ა)-აშდოდი | დღეს |

### პოლონეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| პიასტი-რუხი | 1:2 |
| ვისლა-ზაგლებე | 1:0 |
| ლეჩია-კრაკოვია | 1:0 |
| ლეხი-კორონა | 2:0 |
| პოლონია (ბ)-ოდრა | 1:1 |
| შლიონსკი-პოლონია (ვ) | 1:0 |
| იაგელონია-ბელხატოვი | 2:1 |
| ლეგია-არკა | 1:0 |

### რუმინეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| პანდური-უნირეა (ა) | 2:0 |
| გლორია-რაპიდი | 1:1 |
| ოცელული-უნივერსიტატეა | 1:0 |
| კლუჟი-ჩახლაული | 2:0 |
| სტიაუა-ინტერნაციონალი | 3:2 |
| გაზ მეთანი-ასტრა | 0:0 |
| ბრაშოვი-ტიმიშოარა | 1:0 |
| დინამო-ვასლუი | 1:1 |
| უნირეა (უ)-პოლიტეხნიკა | დღეს |

### სერბეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-ჩუკარიჩკი | 2:1 |
| მეტალაკი-რად | 1:1 |
| მლადი-პარტიზანი | 1:1 |
| იავორი-ჰაიდუკი | 1:1 |
| ნაპრედაკი-ვოივოდინა | 2:0 |
| ოფკ-ბორჩა | 0:2 |
| ცრვენა ზვეზდა-სპარტაკი | 5:2 |
| სარტიდი-იაგოდინა | 2:0 |

### უკრაინა

XVII ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-ჩერნომორეცი | 2:0 |
| ზორია-ობოლონი | 2:0 |
| შახტარი-ილიჩოვეცი | 2:1 |
| მეტალისტი-დნიპრო | 3:2 |
| ვორსკლა-ზაკარპატია | 2:0 |
| კრივბასი-მეტალურგი (ზ) | 1:3 |
| მეტალურგი (დ)-კარპატი | 1:0 |
| ტავრია-დინამო | 2:3 |

### არგენტინა

XIX ტური

| | |
|---|---|
| არგ. ხუნიორსი-ურაკანი | 5:1 |
| ლანუსი-ინდეპენდიენტე | 0:0 |
| ბოკა ხუნიორსი-ბანფილდი | 2:0 |
| ნიუელსი-სან ლორენსო | 0:2 |
| რასინგი-ჩაკარიტა | გვ. დასრულდა |
| ტიგრე-რივერ პლეიტი | გვ. დასრულდა |
| ველესი-როსარიო | გვ. დასრულდა |
| ატლეტიკო-ხიმნასია | დღეს |
| გოდოი-არსენალი | დღეს |

### ურუგვაი

XV ტური

| | |
|---|---|
| ათენასი-პენიაროლი | 0:5 |
| რამპლა-დანუბიო | 2:0 |
| ტაკუარემბო-სერო ლარგო | 3:0 |
| სენტრალი-ფენიქსი | 1:0 |
| სერიტო-ნასიონალი | 2:5 |
| დეფენსორი-ლივერპული | 2:2 |
| რასინგი-სერო | 3:3 |
| რივერ პლეიტი-მონტევიდეო | 2:1 |

### მს. ჩემპიონატი

#### საკლუბო

1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ოკლენდი-ატლანტე | 0:3 |

## ესპანეთი. ლა ლიგა. XIV ტური

მე-6 გვერდიდან

**მაურისიო პოჩეტინიო:** „ბარსა" მსოფლიოს საუკეთესო გუნდთაგანია. ბედმა რამდენჯერმე არ გაგვიღიმა, თორემ ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია. მე მჯერა ჩემი ფეხბურთელების, ბაენა კი აცხადებს, რომ პენალტი არ ყოფილა, რა დაინახა რეფერიმ, გაურკვეველია".

მატჩის შემდეგ **ჟოან ლაპორტა** აღშფოთებული იყო „ესპანიოლის" ხელმძღვანელობის „ბავშვური" საქციელით. თურმე „ესპანიოლის" ბოსები ლანჩზე არ მისულან: *„ბარსელონა" ყოველთვის ცდილობდა ორ გუნდს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას"*, - განაცხადა ლაპორტამ, რომელმაც საკუთარ რეზიდენციაზე „დამოუკიდებელი კატალონიის" დროშა გადმოკიდა.

**იკერ მუნიაინი** ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, მაგრამ ის უკვე ბილბაოს „ატლეტიკის" მთავარ იმედად ითვლება. შეცვლაზე შესული იკერის ბრწყინვალე თამაშის წყალობით ბასკებმა სარაგოსაში 2:1 იმარჯვეს. მატჩში ანგარიში საათის გასვლის მერე გაიხსნა, მუნიანმა ფლანგზე ყველა შემხვედრი მოატყუა, დიდებულად ჩააწოდა და ბურთი მცველ **მიკელ სან ხოსეს** თავზე დაასვა - 0:1. შემდეგ მუნიაინის დაწყებული სწრაფი კონტრშეტევა **სუსაეტამ** მეორე გოლად აქცია. „სარაგოსას" მცველ **დიოგოს** შორეული და ბრწყინვალე დარტყმა ოდენ პრესტიჟისა გამოდგა - 1:2.

თამაში ახალი დასრულებული იყო, რომ „სარაგოსას" ხელმძღვანელობამ მწვრთნელ **მარსელინოს** მოხსნა გამოაცხადა. საგანგებო პრესკონფერენციაზე გუნდის პრეზიდენტმა **ედუარდო ბანდრესმა** შემდეგი განაცხადა: *„ფეხბურთში ბევრი რამ სუბიექტური შეფასებებით ფასდება და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ არის ერთი ძალზე ობიექტური კრიტერიუმი - შედეგი"*. მარსელინო გარსია ტორალი 44 წლის სპეციალისტია, ფეხბურთელობისას ის „სპორტინგსა" და „ლევანტეში" გამოდიოდა. მარსელინო წვრთნიდა სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდულ ნაკრებს, გასულ სეზონში კი მან „სარაგოსა" პრიმერა დივიზიონში დააბრუნა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

#### მომდევნო ტური

**19 დეკემბერი. ბილბაო-ოსასუნა, სევილია-ხეტაფე, რეალი-სარაგოსა. 20 დეკემბერი. ვალიადოლიდი-სპორტინგი, ტენერიფე-ატლეტიკო, ვილიარეალი-რასინგი, ესპანიოლი-ალმერია, მალაგა-მალიორკა, დეპორტივო-ვალენსია.**

## ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

მე-7 გვერდიდან

უცნაური გახლდათ „ტოტენჰემ ჰოთსპურის" საშინაო მარცხი „ვულვზთან" საკუთარ „უაით ჰართ ლეინზე". გუნდს, რომელმაც ამ სეზონში პრემიერლიგის ტოპ-ოთხეულში შესვლა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვება განიზრახა, **კევინ დოილმა** მე-3 წუთზევე გაუტანა. **მიკ მაკარტის** ფეხბურთელებმა შეხვედრის დასაწყისში მოპოვებული უპირატესობის შესანარჩუნებლად თავი მთელი შეხვედრის განმავლობაში გმირულად დაიცვეს. მათი ამოცანა სეზონის გადარჩენა და პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, ამ მიზნისთვის კი „უაით ჰართ ლეინზე" მოპოვებული ქულა მნიშვნელოვანია, რადგან ახალ წლამდე საბრალოებს „მანჩესტერ იუნაიტედთან", „მანჩესტერ სიტისთან" და „ლივერპულთან" აქვთ სათამაშო.

„სფურზისა" და „ვულვზის" შეხვედრაში ერთი ძალიან უსიამოვნო ინციდენტიც მოხდა: ლონდონელთა მცველმა **ბენუა ასუ-ეკოტომ** მატჩის შემდეგ მოწინააღმდეგის მავან გულშემატკივართან იჩხუბა. თვითმხილველები ამბობენ, რომ სტადიონის გვირაბის შესასვლელთან ვულვერჰემპტონელმა ფანმა კამერუნელს შეაგინა, მან კი პასუხად კისერში ჩასცხო. შესაძლოა, საქმე პოლიციამ გამოიძიოს.

ორ-ორი გოლი გაუტანეს ერთმანეთს „სტოკმა" და „უიგანმა". ამ შეხვედრაში „სტოკი" ორჯერ გახლდათ ჩამორჩენილი და მდგომარეობა ორჯერვე გამოასწორა, ხოლო მესამედ და საბოლოოდ რომ არ ჩამორჩა, თავის მეკარეს, **თომას სიორენსენს** უნდა უმადლოდეს. სიორენსენმა უიგანელ **უგო როდალეგას** 88-ე წუთზე პენალტი აუღო. ბირმინგემელმა **ლი ბოიერმა** თავის ყოფილ გუნდს, „ვესტ ჰემს" გაუტანა და ეს გოლი შეხვედრაში ერთადერთი აღმოჩნდა. „ბარნლიმ" და „ფულჰემმა" თითო გოლი გაცვალეს. „ფულჰემიდან" გოლი საკუთარ ქომაგებთან ნაჩხუბარმა **ბობი ზამორამ** გაიტანა. ზამორას ზედიზედ მეორე თამაშია გოლი გააქვს. ასევე, 1:1 დასრულდა „სანდერლენდის" და „პორტსმუთის" თამაში. „პორტსმუთის" მცველმა **იონ ქაბულმა** ანგარიში მსაჯის მიერ ნამატებულ მესამე წუთზე გაათანაბრა. „ჰალ სიტიმ" და „ბლექბერნ როვერსმა" კი აბდაუბდა შეხვედრა 0:0 დაასრულეს.

გუშინ ტურის მთავარ მატჩში „ლივერპული" შინ „არსენალთან" დამარცხდა და ლოგიკური იქნება, ვთქვათ, რომ შეიძლება, ეს **რაფა ბენიტესის** ბოლო მერსისაიდული „ბანაობაც" ყოფილიყო. ვეჭვობთ, კლუბის მეპატრონეებმა, რომელთაც ესპანელ სპეციალისტთან დიდად დალაგებული ურთიერთობა აქამდეც არ ჰქონიათ, რაფას ამდენი წარუმატებლობა აპატიონ...

არადა, ლივერპულელებმა მატჩი ისე დაიწყეს და ისეთი პირველი ტაიმი ითამაშეს, ასეთი ცუდი ბოლო ნამდვილად არ ჩანდა. თან პუბლიკაც ტრადიციულად შემართული იყო - „ენფილდზე" შეკრებილმა საზოგადოებამ მატჩის წინ ლეგენდარული **ბილ შენკლის** „ლივერპულში" დანიშვნიდან 50-ე წლისთავიც აღნიშნა...

როგორც ვთქვით, პირველ ნახევარში მასპინძლებს თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა მხოლოდ ტაიმის მიწურულს მიაღწიეს სანადელს - მეკარე **ალმუნია** გამოსვლისას შეცდა და **კუიტმა** ახლო მანძილიდან ბურთი კარში შეაგორა.

ფეხბურთის დაუწერელი კანონია ასეთი - კარგი მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებსო. ჰოდა, სწორედ ეს გააკეთა **არსენ ვენგერმა**. თუმცა ციხე შიგნიდან გატყდა და „მეთოფეებს" მასპინძლებმაც „შეაშველეს" ხელი - შესვენების შემდეგ სრული 5 წუთიც არ იყო გასული, როცა **ჯონსონმა ნასრის** ფლანგური გადაცემის მოგერიება ვერ შეძლო და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა - 1:1. გავიდა 8 წუთი და **არშავინმა** დაახლოებით 15 მეტრიდან მეკარე **რეინა** ადგილზე გააშეშა - ოსტატური დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა და ბადეში გაეხვა.

**ილია ბაბუნაშვილი**

#### მომდევნო ტური

**15 დეკემბერი. სანდერლენდი-ასტონ ვილა, ბირმინგემი-ბლექბერნი, ბოლტონი-ვესტ ჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი-ვულვზი. 16 დეკემბერი. ბარნლი-არსენალი, ჩელსი-პორტსმუთი, ლივერპული-უიგანი, ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი.**

## იტალია. სერია A. XVI ტური

მე-8 გვერდიდან

თარ კედლებში „პალერმო" მიიღო და მოულოდნელად 0:2 დამარცხდა. შეხვედრა მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა ეს უპირატესობა ტერიტორიულს არ გასცდენია. **ლეონარდოს** გუნდის შეტევებს იპროვიზაცია და სისწრაფე აკლდა, რაც სიცილიელთა მცველებს ამოცანას უადვილებდა. ლეონარდო ცალკე სალაპარაკო თემაა - მოულოდნელად, სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენა **ალეშანდრე პატო** და მისი პოზიცია **ინაციო აბატეს** მიანდო. გარდა ამისა, **კახა კალაძე** დატოვა სათადარიგოთა სკამზე და **ალესანდრო ნესტას** 37 წლის **ჯუზეპე ფავალი** შეუწყვილა. თუ რა შედეგი გამოიღო ამ ყველაფერმა, კარგად ხედავთ - სტუმრებმა ორი უპასუხო გოლი მიართვეს მრისხანე მეტოქეს და სიცილიაში სამი ქულით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ. ესეც **დელიო როსი** და მისი „პალერმო" - გუნდმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილში მეცამეტე პოზიციაზე აინაცვლა. გოლები კი მართლაც შესანიშნავი გამოვიდა: **მიკოლიმ** შორი მანძილიდან, მოჭრილი დარტყმით დალაშქრა **ნელსონ დიდას** კარი, **ბრეშანომ** კი გრძელი შეტევა დააგვირგვინა, რომელიც იმავე მიკოლიმ წამოიწყო ფლანგზე განავარდებით.

მატჩის შემდეგ ლეონარდომ აღიარა, რომ მეტოქე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა: *„ძალიან მომეწონა „პალერმოს" თამაში, ფაქტია, რომ მათ დაიმსახურეს გამარჯვება. ისინი ჩვენზე უკეთესად აღმოჩნდნენ მომზადებულნი როგორც ფიზიკურ, ისე ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტში. ჩვენი დღე არ იყო, თუმცა რას ვიზამთ, ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. გავარჩევთ შეხვედრას და ხარვეზებს აუცილებლად აღმოვფხვრით"*.

მორიგი მატჩი მოიგო ჩემპიონატის მთავარმა აღმოჩენა „პარმამ". პარმეზანელებმა საკუთარ კედლებში „ბოლონია" დაამარცხეს, არადა შეხვედრის მსვლელობისას აგებდნენ. გამათანაბრებელი გოლი უბერებელმა **კრისტინ პანუჩიმ** გაიტანა, გამარჯვების მომტანი კი **ამორუზომ**. მარცხი განიცადა „ლივერპულის" ბეჭებზე დამდებმა „ფიორენტინამ". **ჩეზარე პრანდელის** გუნდი მოულოდნელად ვერონაში დამარცხდა, სადაც ადგილობრივ „კიევოს" ვერაფერი დააკლო. და აქვე, ისიც ვთქვათ, რომ ძალიან დიდი პაუზის შემდეგ, გამარჯვება იზეიმა რომის „ლაციომ". „ბიანკოჩელესტემ" „ჯენოა" იმსხვერპლა.

**ლაშა ნიკლაური**

#### მომდევნო ტური

**19 დეკემბერი. ბოლონია-ატალანტა, ფიორენტინა-მილანი. 20 დეკემბერი. ლივორნო-სამპდორია, ნაპოლი-კიევო, პალერმო-სიენა, იუვენტუსი-კატანია, უდინეზე-კალიარი, ჯენოა-ბარი, რომა-პარმა, ინტერი-ლაციო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურობა



იასონ აბრამაშვილი

# პეთ თრიკი კი არა, უკვე პოკერი!

21 წლის **იასონ აბრამაშვილმა** ოთხ დღეში ოთხი საერთაშორისო შეჯიბრება მოიგო! ასეთი რამ აქამდე არც მას და არც მის რომელიმე თანამემამულეს გაუკეთებია. იტალიის კურორტ ბორმიოში „სითიზენის" ეგიდით ორი გიგანტური სლალომი და ორი სლალომი გაიმართა. სასიხარულოა, რომ ყველა სტარტი ქართველმა სპორტსმენმა მოიგო. სამი შეჯიბრების შესახებ უკვე ვწერდით, გაგაცნობთ 12 დეკემბერს გამართული სლალომის პერიპეტიებს.

150-ზე მეტი მონაწილიდან ორივე ცდა მხოლოდ 72-მა ჩაამთავრა. იასონმა ყველას ორი ცდის ჯამში 1:23,23 წუთი შედეგით აჯობა. მან მეორე ადგილზე გასულ ვეტერან ებრაელ **მიხაილ რენჟინს** 2 წამით (!) აჯობა, მესამეზე რუსი **ვლადისლავ ნოვიკოვი** გავიდა. **ვახტანგ თედიაშვილსა** და **კოტე ვახტანგიშვილს** პირველივე ცდაზე მოეცარათ ხელი.

16 წლის **ჯაბა გელაშვილმა** ავსტრიულ მატრეიში FIS-ის ტურნირში მიიღო მონაწილეობა. პირველ სუპერგიგანტში ქართველმა 109-ე ადგილი დაიკავა, მეორეში - 133-ე. მისმა თანატოლმა **დიმიტრი გედევანიშვილმა** კანადაში ჩრდილოეთ ამერიკის თასზე იასპარეზა. ჩვენებურმა სწრაფდაშვებაში სცადა ბედი (იშვიათად, რომ ქართველი სპორტსმენი სწრაფდაშვებაში გამოვიდეს). გედევანიშვილი პირველ შეჯიბრებაში 87-ე ადგილზე გავიდა, მეორეში - 91-ზე. დიმიტრიმ უკეთ სუპერგიგანტში იასპარეზა, სადაც 81-ე ადგილი დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# მელია ქალებში პირველია

იტალიის ქალაქ მილანში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 15 ქვეყნის 75 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის — 12 დიდოსტატი და 8 საერთაშორისო ოსტატი. შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა ბათუმელი **სალომე მელია**.

ცხრა შესაძლებლიდან 6,5-6,5 ქულით პირველი-მეექვსე ადგილები გაინაწილეს **ვადიმ შიშკინმა** (უკრაინა), **სინიცა დრაჟიჩმა** (სერბეთი), **ანდრეი სუმეცმა** (უკრაინა), **ვლადიმირ მალანიუკმა** (უკრაინა), **მიროლიუბ ლალიჩმა** (სერბეთი) და **ივან ფარაგომ** (ხორვატეთი). ქართველი დიდოსტატი მათ ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეშვიდე-მეათე ადგილები გაიყო, ქალთა შორის კი პირველი ადგილი ერგო.

**ვაჟა დანელია**

# ზოგჯერ შვიდიანიც არ ამართლებს

გასულ უქმეებზე ირანის ქალაქ ურმიაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე მეექვსე და მეშვიდე ტურების პარტიები გათამაშდა.

გაცნობებთ ჩვენებურთა შედეგებს: VI ტური. **კონსტანტინე შანავა-ჰრაირ სიმონიანი** 0,5:0,5, **ლევონ ბაბუჯიანი-მალხაზ სულაშვილი** 0,5:0,5, **მოსენ შარბაფი-მერაბ გაგუნაშვილი** 0:1, **ვალერიან გაფრინდაშვილი-აჰმადინია** 0,5:0,5, **ივერი ჭილლაძე-ნიმა ჰუსეინზადეჰი** 1:0; VII ტური. **მერაბ გაგუნაშვილი-ფარიდ აბასოვი** 0:1, **ვუგარ რასულოვი-კონსტანტინე შანავა** 1:0, **ელშან მორადიაბადი-მალხაზ სულაშვილი** 1:0, **ჰრაირ სიმონიანი-ივერი ჭილლაძე** 0,5:0,5, **შოჯაათ ჯეინი-ვალერიან გაფრინდაშვილი** 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ ქართველ მოჭადრაკეებს შეჯიბრებაზე მოწინავე პოზიციები ეკავათ, მეშვიდე ტურში წარუმატებელმა თამაშმა კი ისინი ლიდერებს დააშორა. მაგალითად, პირველ ადგილზე მყოფ აზერბაიჯანელ ფარიდ აბასოვს 6,5 ქულა აქვს და ერთი ქულით უსწრებს გაფრინდაშვილსა და ჭილლაძეს, ხოლო შანავას, გაგუნაშვილსა და სულაშვილს - 1,5-1,5 ქულით. 6-6 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს აზერბაიჯანელი ვუგარ რასულოვი, ირანელები - **ჰომეინ თოუფიგი** და ელშან მორადიაბადი იყოფენ.

ბოლოსწინა, მე-8 ტურში ივერი ჭილლაძე **ავეტიკ გრიგორიანს** ეთამაშება, ვალერიან გაფრინდაშვილი - ჰრაირ სიმონიანს, მერაბ გაგუნაშვილი **სადეჰის** დაუპირისპირდება, კონსტანტინე შანავა - ნიმა ჰუსეინზადეჰს, მალხაზ სულაშვილი **მორთეზა აბედინს** შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

**ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო" დაბადებიდან 82 წელს ულოცავს სახელოვან ვეტერან მოჭიდავეს ოთარ კანდელაკს.**

ფიგურული ციგურაობა

# ელისონ რიდი საქართველოს მოქალაქეა

## აწი ნუღარაფრის მოგერიდება, ელისონ!

გაისად, 12 თებერვალს, კანადის ქალაქ ვანკუვერში საზეიმოდ გაიხსნება ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ოკეანის გაღმა სააასპარეზოდ ჩვენი ქვეყნის ოთხ წარმომადგენელს უკვე დაბევებული აქვს საგზური. ვინ დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას, ამის შესახებ გვესაუბრება ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი ჯაფარიძე, რომელიც ზამთრის თამაშებზე ჩვენს სპორტულ მისიას მესამედ უხელმძღვანელებს:



მარცხნიდან — ოთარ ჯაფარიძე, ელისონ რიდი და ირაკლი ჟორდანია

— ვანკუვერის ლიცენზია ერთ-ერთმა პირველმა **ელენე გედევანიშვილმა** მოიპოვა, რომელმაც წლეულს მარტში ლოს-ანჯელესის მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-10 ადგილი დაიკავა და ჩვენს ქვეყანას ორი საგზური მოუტანა, რაც მოციგურავეებისთვის პირველი შემთხვევაა ქართული სპორტის ისტორიაში. სამწუხაროდ, სათანადო კლასის მეორე სპორტსმენი არ გვყავს, რადგან ჩვენთან სტანდარტული საციგურაო არ არის, ხოლო უცხოეთში ათლეტთა მომზადება ძალიან ძვირი ჯდება, ამიტომ, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და სპორტის დეპარტამენტთან შეთანხმებით, ერთეულთა თანრიგში მხოლოდ გედევანიშვილი იასპარეზებს. სამაგიეროდ, მონაწილე გვეყოლება სპორტულ ცეკვებში: **ოთარ ჯაფარიძესთან** ერთად 16 წლის ამერიკელი გოგონა **ელისონ რიდი** ისრიალებს. ამ წყვილმა ვარჯიში ივნისში დაიწყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის **ევგენი პლატოვის** ხელმძღვანელობით. რას წარმოვიდგენდი, რომ ოთხ თვეში მოცეკვავეთა ისე მომზადება შეიძლებოდა, რომ ოლიმპიადის ლიცენზია დაემსახურებინათ. მონდომებამ და პროფესიონალიზმმა სათანადო შედეგი გამოიღო — გერმანიის ქალაქ ობერსდორფის ერთადერთ სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე ჯაფარიძე და რიდი საუკეთესო ხუთეულში მოხვდნენ და ვანკუვერში გამოსვლის უფლება მიიღეს. კიდევ კარგი, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კანდიდატებად მათი წარდგენა არ დაგვაგვიანდა.

გადასალახავი გვქონდა მეორე ბარიერიც: ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციას დროულად გავუგზავნეთ რიდისთვის სერტიფიკატის მოსაპოვებელი საბუთები. იქიდანაც დასტური მივიღეთ, რომლის მიხედვითაც ჯაფარიძესა და რიდს ნებისმიერ შეჯიბრებაზე შეეძლოთ გამოსვლა, მათ შორის — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, გარდა ზამთრის ოლიმპიური თამაშებისა, რადგან ოლიმპიური ქარტია ითვალისწინებს, რომ წყვილებში მოასპარეზენი აუცილებლად ერთი ქვეყნის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ოთარმა და ელისონმა ვანკუვერის ლიცენზია რომ დაიმსახურეს, ნიუ-იორკში საქართველოს კონსულის **ირაკლი ჟორდანიას** და მისი მოადგილის **ზურაბ თინიკაშვილის** დახმარებით დროულად წარვადგინეთ საბუთები და, ქვეყნის პრეზიდენტის 2009 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით, რიდს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა. 4 დეკემბერს კი ბატონმა ირაკლი ჟორდანიამ მას ნიუ-იორკში საქართველოს პასპორტი გადასცა. ასე რომ, ვანკუვერში ფიგურულ მოციგურავეებს სამი წარმომადგენელი გვეყოლება.

**— რა პერსპექტივა გვაქვს?**

— ამ მნიშვნელოვანი ფორუმისთვის ჩვენი სპორტსმენები მონდომებით ემზადებიან ამერიკაში. მოცეკვავეები, როგორც გითხარით, პლატოვის დახმარებით, ელენე გედევანიშვილს კი მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი მწვრთნელი რობინ ვაგნერი ავარჯიშებს. ჯაფარიძე და რიდი ასპარეზობის დებიუტანტები არიან, ამიტომ 24 საუკეთესოში, ანუ ფინალში მოხვედრა დიდი წარმატება იქნება. ელენემ კი წინა ოლიმპიადის შედეგი უნდა გააუმჯობესოს. ტურინში იგი, მოგეხსენებათ, მე-10 ადგილზე გავიდა.

ზამთრის თამაშებამდე ჩვენი მოციგურავეები 18-დან 25 იანვრამდე ტალინში ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს. მოცეკვავეები, ვფიქრობთ, აქაც ფინალში მოხვდებიან, ელენემ კი, სულ მცირე, თავისი საუკეთესო შედეგი უნდა გაიმეოროს, ანუ პირველ ხუთეულში უნდა მოხვდეს. მით უმეტეს, რომ წლეულს გრან-პრის გათამაშებაზე სტაბილურად იასპარეზა და მეექვსე-მეშვიდე ადგილები დაიკავა — საუკეთესო ათეულს არ გასცილებია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ასადა და ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული კოსტნერი გრან-პრის ფინალში ვერ მოხვდნენ, ფიგურულ ციგურაობაში პროგნოზები ძნელი გასაკეთებელია. თუმცა ჩვენ მაინც წარმატების იმედი გვაქვს.

**— ბატონო ირაკლი, თქვენ ზამთრის თამაშებზე ჩვენი ქვეყნის მისიის ხელმძღვანელი იქნებით, ამდენად, სხვა სახეობებზეც გექნებათ ინფორმაცია...**

— რა თქმა უნდა. სამთო თხილამურებში ორი ადგილი დავიბევეთ. ისინი ბაკურიანელმა იასონ აბრამაშვილმა მოიპოვა. მასთან ერთად ამ საგზურით ვანკუვერში ვინ გაემგზავრება, ამას მწვრთნელი მოგვიანებით გადაწყვეტს, რადგან ჯერ კიდევ გრძელდება სალიცენზიო ტურნირები და ოთხ-ხუთ სპორტსმენს წარმატების შანსი აქვს. შესაძლოა, ოლიმპიადაზე მოციგავეებიც ვიხილოთ. საამისოდ ქუმარიტაშვილი და გურეშიძე იბრძვიან.

ხშირად უსაყვედურიათ ჩვენთვის, ზამთრის თამაშებზე ქართველ ოლიმპიელთა რაოდენობა მცირეაო. ასეც არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი დიდი ფორუმებისთვის მოსამზადებლად სათანადო ბაზები არ გვაქვს, ამიტომაცაა, რომ ფიგურულად მოციგურავეები ამერიკაში ემზადებიან, მეთხილამურეები — ავსტრიაში, მოციგავეები — საფრანგეთსა და ლატვიაში. სპორტსმენთა უცხოეთში მომზადება კი, როგორც გითხარით, ძალიან ძვირია. იმედია, უახლოეს მომავალში ჩვენთან ზამთრის სახეობების ბაზებსაც მიექცევა სათანადო ყურადღება. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად სპორტსმენთა რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც გაიზრდება და საერთაშორისო სარბიელზეც წარმატებებიც იმატებს.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ორი დუელი სევასტოვასთან



ოქსანა კალაშნიკოვა

დღეს არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ დუბაიში ალ ჰაბტ+ მე-11 საერთაშორისო ტურნირი იწყება. ეს წლის უკანასკნელი საერთაშორისო შეჯიბრებაა. გათამაშების საპრიზო ფონდი 75 ათასი ამერიკული დოლარია. სეზონს ჩვენებურთაგან **ოქსანა კალაშნიკოვა** (180) დაასრულებს. ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში ოქსანას მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი ლატვიელი **ანასტასია სევასტოვა** (82) იქნება. ოქტომბერში მიღებული ტრავმის შემდეგ სევასტოვა პირველად გამოჩნდება კორტებზე, მიუხედავად ამისა, მატჩის ფავორიტი მაინც ლატვიელია, რომელიც კალაშნიკოვას 100 საფეხურით უსწრებს რეიტინგში. ოქსანა და ანასტასია თანატოლები არიან, თუმცა ერთმანეთს პირველად დაუპირისპირდებიან. შეგახსენებთ, რომ ერთი ეტაპის გადალახვაც საკმარისია, რომ კალაშნიკოვამ წელიწადი საქართველოს პირველ ჩოგნად დაასრულოს.

ოქსანა კალაშნიკოვა წყვილთა ბადეში გერმანელ **იულია გორგესთან** (78) ერთად იასპარეზებს, ქართულ-გერმანული დუეტი მე-4 ნომრად განთესეს (კალაშნიკოვა წყვილთა რეიტინგში 147-ე პოზიციაზეა). პირველ წრეში ისინი სევასტოვასა და ფრანგი **ირენა პავლოვიჩის** (303) დუეტს ეთამაშებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

კალათბურთი

საქართველოს XIX ჩემპიონატი. VI ტური

# დათოების შოუ

**12 დეკემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე**

**დინამო–სამედ/აკადემია 72:53**

13:15, 19:20, 19:9, 21:9

დინამო: ნანიტაშვილი (5ქ, 4პ), ნოზაძე (13ქ), სანაძე (9ქ, 3პ), ეძგვერაძე (12ქ, 3პ), სიგუა (11ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), ცაგარეიშვილი, გემაზაშვილი (4ქ, 9მ, 2დ, 5ფ), ჩაველაშვილი (3ქ), დეკანოიძე (9ქ, 14მ), კოპალიანი, ლონდარიძე (6ქ, 8მ, 2დ)

სამე/აკადემია: ი. ლეჟავა (2ქ), ჩქარეული (2ქ), ლომოური (15ქ, 5მ), ბოქოლიშვილი (4ქ), ბექაური (2ქ, 6მ, 4დ), მუმლაძე (7ქ, 5მ), თენეიშვილი (16ქ, 5მ, 3პ), გაბისონია (5ქ, 3ჩ), ელიაძე, ზ. მაისურაძე

მსაჯები: დ. არეშიძე, გ. მიქელაძე; კომისარი: რ. ხომერიკი

**თსუ–აგრარული 81:61**

30:16, 16:15, 19:14, 16:16

თსუ: ფანჩულიძე (12ქ, 8მ), კოხრეიძე (9ქ, 6მ, 3პ, 3ჩ), კეიდია (12ქ, 13მ), ლოსაბერიძე (4ქ, 5მ), ხეცურიანი (14ქ, 9მ, 7პ), დ. ბარბაქაძე (25ქ, 6მ), ვ. ბოლქვაძე, კუჭავა (5ქ)

საუ: ნივნივაძე (12ქ, 3პ, 6მ), გულისაბედაშვილი (5ქ, 8მ), მარხვაშვილი (19ქ), დიდია (5ქ, 5მ), ათანელიშვილი (11ქ, 7მ), ტყემელაშვილი (3ქ), გ. ბარბაქაძე (3ქ), ჩაჩიბაია (3ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი; კომისარი: მ. რატიშვილი

**ჭიათურა–ბათუმი 51:129**

16:36, 10:26, 8:24, 17:43

ჭიათურა: ფ. გურული (8ქ), გ. გურული (11ქ), ენუქიძე (8ქ, 6მ), ნიკურაძე (5ქ), დოლიძე (8ქ), სვანიძე (3ქ), გაბუნია (3ქ), მჭედლიშვილი, თავამაიშვილი (5ქ), ხაჩიური, ჯ. გურული

ბათუმი: მიქელაძე (4ქ, 5მ), ვ. მაისურაძე (13ქ, 8მ, 7პ), ლეჟავა (19ქ, 8მ, 3პ), თავართქილაძე (13ქ, 5მ, 5პ, 6ჩ), კეშელავა (24ქ, 8მ), იმნაძე (46ქ, 14მ, 6პ, 2დ), როდუმტა (10ქ, 7მ)

მსაჯები: გ. მიქელაძე, მ. ანდღულაძე; კომისარი: რ. გელოვანი

**სოხუმი–შსს 65:85**

16:19, 14:22, 19:18, 16:26

სოხუმი: ტეტელაშვილი (11ქ, 8მ, 6პ), ბ. ბერიშვილი (8ქ), კანკია (5ქ, 6მ), კობიძე (8ქ, 5მ), თვარაძე (11ქ), სულაბერიძე (10ქ, 5მ, 4პ), მეხრიშვილი, ნიკლაური (4ქ), გაბელია (8ქ, 11მ), არეშიძე

შსს: დ. ბერიშვილი (23ქ, 8მ, 5პ, 5ჩ), მიქაბერიძე, ლაფანაშვილი (5ქ, 9მ, 3პ), ფაიქრიძე (1ქ), ი. ბერიშვილი (11ქ), აბულაძე (2ქ), კორკოტაძე (2ქ), ს. შერმადინი (15ქ, 10მ), სუხიშვილი (1ქ), კვერნაძე, ნიკოლაძე (25ქ, 6მ, 4ჩ), ქადაგიძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე; კომისარი: თ. ქიქოძე

| | თ | მ | წ | სხვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 6 | 6 | 0 | 490-308 | 12 |
| 2. აგრარული | 6 | 5 | 1 | 501-418 | 11 |
| 3. თსუ | 6 | 5 | 1 | 532-477 | 11 |
| 4. შსს | 6 | 4 | 2 | 539-465 | 10 |
| 5. სოხუმი | 6 | 2 | 4 | 436-484 | 8 |
| 6. დინამო | 6 | 2 | 4 | 451-545 | 8 |
| 7. ბათუმი | 5 | 2 | 3 | 439-382 | 7 |
| 8. ავიაშენი | 5 | 2 | 3 | 421-452 | 7 |
| 9. სამედ\აკად. | 6 | 1 | 5 | 393-446 | 7 |
| 10. ბათუმი | 6 | 0 | 6 | 326-588 | 6 |

**მომდევნო ტური**

**18 დეკემბერი**

18.00 ბათუმი-სამედ/აკადემია

**19 დეკემბერი**

12.00 თსუ-ჭიათურა

14.00 შსს-ენერჯი

16.00 ავიაშენი-საუ

18.00 დინამო-სოხუმი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




საქართველოს ჩემპიონატის მე-6 ტურის შემდეგ სუპერლიგაში ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი დარჩა - „ენერჯი". აქამდე წაუგებელმა აგრარული უნივერსიტეტის გუნდმა ვერაფერი დაუპირისპირა თსუ-ს და 61:81 დამარცხდა.

პირველ პერიოდში თსუ-ს ფორვარდმა **დავით ბარბაქაძემ** რამდენიც ისროლა, იმდენი ჩააგდო და 10 წუთში 17 ქულა მიითვალა. მას თაგუნდელებმაც კარგად აუბეს მხარი და საწყისი მეოთხედი თსუ-მ 30:16 მოიგო.

მეორე პერიოდიდან აშკარად გამოჩნდა გუნდების ფსიქოლოგიური მდგომარეობა: დათო ბარბაქაძის თანაგუნდელებს პირველი ათწუთეულის დამაჯერებლად ჩატარების შემდეგ თავდაჯერება შეემატათ და სროლის სიზუსტე კიდევ უფრო გააუმჯობესეს.

საპირისპირო სიტუაციაში აღმოჩნდა „აგრარული" - წარმატებულად დაწყებულმა თამაშმა ახალგაზრდა საუ-ელებზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა. ისინი მატჩის დარჩენილ დროში ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერც განწყობა გაიუმჯობესეს და ვერც - თამაში. სწორედ ამის გამო აგრარების ნატყორცნი არაერთი იოლად ჩასაგდები ბურთი ასცდა მიზანს.

საფინალო ანგარიშიდანაც ჩანს, რომ თსუ-მ მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა: 81:61 - ქულებში, 51:34 - მოხსნებში, 19:5 - პასებში, 27:12 - რეალიზებულ ორქულიანებში...

მატჩის ბომბარდირი დავით ბარბაქაძე გახდა, რომელმაც 5-დან 3 სამქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო და 8-დან 7 ორქულიანი ჩააგდო. ამ შედეგით დათომ სერიოზული განაცხადი გააკეთა ტურის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის მოპოვებაზე. ჟურნალისტები შევთანხმდით: თუ დარჩენილ ორ მატჩში ვინმე 45-ზე მეტ ქულას არ ჩააგდებდა, ტურის საუკეთესო კალათბურთელად ბარბაქაძე უნდა დაგვესახელებინა. ნამდვილად არ გვეგონა, რომ 45-ზე მეტს ვინმე მოაგროვებდა...

■ ■ ■

...თუმცა, „ჭიათურა"—"ბათუმის" დაპირისპირებაში ერთი კაცის შოუ ვიხილეთ: **დავით იმნაძის** შეჩერება იმერლებმა ვერ შეძლეს. დათომ მატჩის დასრულებამდე 6:30 წუთით ადრე ორქულიანს საჯარიმო მიაყოლა და რეკორდი გააუმჯობესა - 39-ე ქულა ჩააგდო. მანამდე მიმდინარე სეზონის რეკორდი ბათუმელ უკანახაზელ **ბესიკ ლეჟავას** ეკუთვნოდა - 36 ქულა.

დათო იმნაძეს 41 ქულა ეწერა, როცა კიდევ ერთი ჯარიმიანი ორქულიანი ჩააგდო, თუმცა მის ნაცვლად ორი ქულა **ლაშა კეშელავას** ჩაუწერეს. საბოლოოდ, ოქმში იმნაძეს 44 ქულა კი ეწერა, მაგრამ მისი ნამდვილი მონაგარი 46 ქულას შეადგენდა. რადგან მანამდე ვთქვით, სიტყვას ვერ გადავალთ და მე-6 ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავით იმნაძე დავასახელეთ.

ტურის MVP იმნაძე პირველად გახდა. ასევე ერთხელ იყო საუკეთესო **მიხეილ ფანჩულიძე**, ხოლო MVP-ს ჯილდო ორ-ორჯერ **ჟულივეტ ტუჯანმა** და **დავით ბარბაქაძემ** მოიპოვეს.

■ ■ ■

მეოთხე მატჩში რამდენიმე ლიდერის გარეშე მოთამაშე „სოხუმმა" შსს-სთან 20 ქულის სხვაობით წააგო. სოხუმელთა რიგებს გამოაკლდა უკანახაზელი **ბექა ჩიკვილაძე**, რომელიც გასულ კვირას ესპანეთში გადავიდა.

მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა **სოსო შერმადინმა**, რომელმაც 15 ქულას 10 მოხსნა წაუმატა.

■ ■ ■

შაბათს პირველ შეხვედრაში დამაჯერებლად ითამაშა „დინამომ" - ახალგაზრდულ „აკადემიას" 72:53 აჯობა და სატურნირო ცხრილში სამი საფეხურით ზემოთ აინაცვლა. **ზაზა ცაგარეიშვილის** გუნდი ახლა „სოხუმთან" ერთად მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფს.

დინამოელთა რიგებში 13 ქულაზე მეტი არავის ჩაუგდია, რაც გუნდურ თამაშზე პირდაპირ მიგვანიშნებს.

ქართველი NBA-ში

# ზაზას სამი რეკორდი: 14 ქულა, 22 წუთი, 6 ორქულიანი




სათაურიც გვეუბნებათ, რომ „ტორონტოსთან" **ზაზა ფაჩულიამ** გამორჩეული შეხვედრა ჩაატარა. მან სეზონში ყველაზე მეტი, 14 ქულა ჩააგდო. ფაჩულიას აქამდე ყველაზე მეტი 12 ქულა ჰქონდა მითვლილი (3 ნოემბერს „პორტლენდთან"). სხვათა შორის, 14 ქულა ზაზა ფაჩულიას საუკეთესო მონაგარია 2009 წლის 20 იანვრის შემდეგ. ამ დღეს მან „ჩიკაგოს" 18 ქულა ჩაუგდო.

სათაური ასევე გვეუბნება: ამ სეზონში ზაზამ ყველაზე მეტი, 22 წუთი ითამაშა და სარეკორდო, 6 ორქულიანი ჩააგდო (7-დან).

„ატლანტას" სნაიპერი **ჯო ჯონსონი** გახდა. მან 20 ქულა ჩააგდო. თუმცა მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ყველას ზაზამ აჯობა - +21. ქართველის წარმატება ერთი-ორად დასაფასებელია იმიტომაც, რომ „ჰოქსმა" „ტორონტოსთან" სტუმრად 111:89 გაიმარჯვა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ ჯორჯიელებმა კანადელებს 146:115 აჯობეს. შაბათს კი დაამტკიცეს, რომ წლეულს მართლაც ტორონტოელებზე ძლიერები არიან.

სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში პირველია „ორლანდო" (17 მოგება 6 წაგება), მეორეა - „ატლანტა" (16 მოგება, 6 მარცხი).

**ტორონტო–ატლანტა 89:111**

ზაზა ფაჩულია: 22 წუთი, 14 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 3 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 02:22 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:37 | საჯარიმოები: 2/2 (2ძ, 22:21) |
| 00:39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| **II პერიოდი** | |
| 10:56 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:54 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 10:52 | ორქულიანი: 4ძ (33:31) |
| 10:19 | ფოლი: 1 |
| 10:16 | ფოლი: 2 |
| 07:07 | ორქულიანი: 6ძ (48:35) |
| 04:40 | ორქულიანი: 8ძ (55:41) |
| 03:01 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 01:51 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:15 | ორქულიანი: 10ძ (91:73) |
| 10:10 | ფოლი: 3 |
| 09:01 | ორქულიანი: 12ძ (98:75) |
| 06:43 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 |
| 03:25 | მოხსნა: შეტ-4, დაც-1 |
| 03:23 | ორქულიანი: 14ძ (104:86) |
| 02:23 | მოხსნა: შეტ-4, დაც-2 |
| 02:18 | პასი: 1 (ტიბი 2ძ, 108:88) |
| 02:18 | ზაზა მორისმა შეცვალა |

# ცქიტიშვილი ფუენლაბრადას სასტარტოში



სამიოდე დღის წინ ვწერდით, რომ **ნიკა ცქიტიშვილსა** და ბერძნულ „პანიონიოსს" შორის შეთანხმება შედგა - ნიკას მსურველ ესპანურ კლუბ „ფუენლაბრადას" 25 ათასი ევრო უნდა გადაეხადა და ქართველი ბერძნებისგან გათავისუფლდებოდა. „ფუენლას" ხელმძღვანელები აჩქარდნენ, თანხა მალევე გაიღეს და „გრან კანარიასთან" მატჩის წინ სკიტა განაცხადში შეიყვანეს.

ქართველმა ფორვარდმა კანარის კუნძულებზე გამართულ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, მოედანზე 18 წუთი გაატარა, 2-2 მოხსნა-პასი და 3 ქულა (2-დან 1 სამქულიანი) მიითვალა.

ნიკას თანაგუნდელებმა სტუმრად 77:70 გაიმარჯვეს. მათ მატჩის ბედი პირველივე პერიოდში გადაწყვიტეს - 30:10...

ესპანეთის ჩემპიონატში იოლი გამარჯვება მოიპოვა **ტაირონ ელისის** „კახასოლმაც" - სევილიაში „მურსია" 99:59 დაამარცხა.

ტაირონმა ოქმში არაერთი ორიანი ჩაიწერა: 22:22 წუთი, 2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 8 ქულა და 2 შედეგიანი გადაცემა.

„კახასოლი" ესპანეთის პირველობის სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა. მას 7 მოგება და 5 წაგება აქვს. „ფუენლაბრადას" ეს ციფრები შებრუნებულად უწერია - 5 მოგება, 7 წაგება. ცქიტიშვილის გუნდი მე-12 ადგილზეა.

ტრანსფერი

# ცინცაძე დონეცკში გადავიდა

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** ბერძნული „ტრიკალას" უფროსობასთან შეთანხმბით გუნდიდან რომ წამოვიდა, შაბათს გითხარით.

შაბათსვე მოგახსენეთ, რომ გიორგი უკრაინაში, კერძოდ კიევში ჩაფრინდა... თუმცა როგორც აღმოჩნდა, გიორგი კიევში სათამაშოდ ჩასულ „დონეცკში" ჩაირიცხა.

მისი აგენტის, **ლევან მიქელაძის** თქმით ხელშეკრულება გაფორმებულია და ცინცაძეს დღეიდან „დონეცკის" განაცხადში შეიყვანენ.

„ბუს" (ცინცაძის მეტსახელი) შესახებ დაწვრილებით ხვალინდელ ნომერში გესაუბრებით.

სემინარი

# მატიჩის მატჩი თბილისში




ფიბა-ევროპისა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ძალისხმევით საქართველოში პოლონეთის ყოფილი და ირანის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი **ვესელინ მატიჩი** ჩამოვიდა.

გუშინ მატიჩმა „დინამოს" დილმის ბაზაზე ქართველ მწვრთნელთათვის სემინარი ჩაატარა. ღონისძიება რამდენიმე ეტაპად გაიმართა.

დღის ბოლოს სერბი სპეციალისტი ცოტა დაღლილი ჩანდა, თუმცა გაწეული სამუშაოთი კმაყოფილებას ვერ ფარავდა: *„სემინარი საინტერესოდ წარიმართა და საქართველოში ჩამოსვლას თუ კიდევ შემომთავაზებენ, სიამოვნებით დავთანხმდები,"* - თქვა მან.

ბატონი ვესელინი 2005 წელს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატად განიხილებოდა. თუ რატომ ვერ გახდა მატიჩი მაშინ ჩვენი ეროვნული გუნდის მესაჭე, ამაზე ხვალინდელ ნომერში მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

# მარკოიშვილი VS სანიკიძე

შაბათს, სერია A-ში **ვიქტორ სანიკიძისა** და **მანუჩარ მარკოიშვილის** დაპირისპირება შედგა. მანუს „კანტუმ" ვიქტორის „ვირტუსს" უმასპინძლა და 9 ქულის სხვაობით დაამარცხა - 72:63.

მანუჩარ მარკოიშვილი სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა, მაგრამ მალევე მიიღო ორი ფოლი და მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დასვა. მანუმ საბოლოოდ 12 წუთი ითამაშა, 2 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა.

გამოცემა ბასკეტნეტისგან მანუმ 5 ბალი დაიმსახურა. ასეთივე შეფასება მიიღო „ვირტუსის" ქართველმა. ვერც ვიქტორ სანიკიძემ ითამაშა ეფექტურად - 17 წუთში 4 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა. პირველი პერიოდი „კანტუმ" 26:10 მოიგო, თუმცა მეორე ათწუთეულში „ვირტუსმა" თამაში გამოასწორა და დიდი შესვენების წინ სანიკიძის სამქულიანის შემდეგ სხვაობა ქულამდე შემცირდა - 35:36.

მეორე ტაიმში „კანტუ" გამოფხიზლდა და, როგორც გითხარით, 72:63 გაიმარჯვა.

ამ მოგებით მანუჩარის თანაგუნდელები მოგება-წაგებათა მაჩვენებლით „ვირტუსს" გაუთანაბრდნენ - 6-6 მოგება, 4-4 წაგება. ეს გუნდები სატურნირო ცხრილში მეხუთე-მეექვსე ადგილებს ინაწილებენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

კანოს ტურნირი

# კანომ ბრინჯაო გაიმეტა

საქართველოს ნაკრებმა ერთი მედლით დაამთავრა გამოსვლა ძიგორო კანოს მემორიალში - ჯილდო 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ლომერ ჟორჟოლიანმა** მოიპოვა. ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან ალსანიშნავი მძიმეწონოსან **ადამ ოქრუაშვილის** მეხუთე ადგილია, თორემ დანარჩენებიდან პირველი წრე მხოლოდ **ლევან ნიკლაურმა** (81) გაიარა.

ჟორჟოლიანი წინა კვირას საქართველოს მესამე პრიზიორი გახდა, თუმცა, ვგონებთ, ამ ტურნირს უფრო მობილიზებული შეხვდა. პირველ წრეში მეტოქეც სუსტი ერგო - ქუვეითელი **იოუსეფ ალენეზი** და ორი ვაზარით იოლად მოიპოვა წმინდა გამარჯვება. მისთვის ნამდვილი გამოცდები მეორე წრიდან დაიწყო, სადაც მეტოქედ ბრაზილიელი მსოფლიოს ექსჩემპიონი **ლუსიანო კორეა** ერგო. ჟორჟოლიანს ეს ძლიერი კონკურენტი ადრეც დაუმარცხებია, თუმცა 2007-ში ბრაზილიაში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე სწორედ მასთან დამარცხდა. ამჯერად რევანში შედგა, თანაც დაძაბულ ბრძოლაში - ჩვენებურმა მეტოქე სამჯერ გააფრთხილებინა. უტიტულო, მაგრამ ანგარიშგასაწევი მოწინააღმდეგე დახვდა ნახევარფინალის შესასვლელ კართან - გერმანელი **დინო პფაიფერი**. ის ჯერ დიდი ტიტულებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ არც ახალბედა ეთქმის, ამ ტურნირზე კი ჰოლანდიელი **დანი მეეუვსენი** და ფრანგი **ტიერი ფაბრის** მომგები მასპინძელი **ტოშიჰირო იმაი** გააგდო. წინა შეხვედრის დარად, ჟორჟოლიანისთვის ეს ორთაბრძოლაც ურთულესი გამოდგა - ორი გაფრთხილებით მოიპოვა მომგებიანი იუკო და ნახევარფინალშიც გავიდა. აქ მის წინ კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი და ჩვენთვის კარგად ნაცნობი მეტოქე წარდგა - კორეელი **ჰე-ტაე ჰვანგი**. ქომაგებს ალბათ, შეხსენებაც არ გჭირდებათ - 2003 წელს ოსაკაში გამართული მსოფლიოს პირველობის ფინალში სწორედ მან მოუგო **ზურაბ ზვიადაურს**, თუმცა შეხვედრის შუაწელამდე ვაზარ-იუკოს აგებდა. ოღონდ ეს 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოხდა, დღეს კი ორივე 100-შია გადასული. რაკილა კანოს ტურნირი „დიდი მუზარადის" რანგისაა, აქ კი დამამშვიდებელი წრე არ იმართება, ჟორჟოლიანმა ავტომატურად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, ჰვანგი კი ჩემპიონი გახდა. ფინალში მასპინძელთა ჯილა, მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი და წონის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფავორიტი **ტაკამასა ანაი** დაამარცხა. ანაი ფინალამდე სულ იპონებით მივიდა, თუმცა არც მეტოქეები ჰყოლია ძლიერები. ერთადერთი სახელოვანი მხოლოდ ახალგაზრდებში მიჯრით ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჩეხი **ლუკაშ კრპალეკი** იყო, რომელსაც ნახევარფინალში სძლია. ამ დონის ტურნირზე ბრინჯაო კრპალეკისთვის კარგი შედეგია. მით უფრო, ერთი-ორ მეტნაკლებად მნიშვნელოვან ფალავანს მოუგო.

ადამ ოქრუაშვილმა ორი ბრძოლა მოიგო და ორივე წმინდად - ლატვიელ **ვლადიმირს ოსნაჩსთან** და რუს **დმიტრი სტერხოვთან**, მერე კი ქართველებისთვის საკმაოდ უხერხულ მეტოქესთან, ოლიმპიადის უზბეკ ვიცე-ჩემპიონსა და მსოფლიოს სამგზის ბრინჯაოს პრიზიორ **აბდულო ტანგრიევთან** ორი ვაზარით წააგო. აქ შედარებით უცნობმა მასპინძელმა **კაზუჰიკო ტაკაჰაშიმ** იპირველა, რომელმაც ფინალში ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თანამემამულე **კეიჯი სუძუკი** დააიპონა. ეტყობა, სუძუკის დრო თანდათან მიდის - ნახევარფინალში ტანგრიევი კი გააკრა ბეჭებზე, მაგრამ მანამდე ახალგაზრდა თანაგუნდელ **ჰიროკი ტოჩიამას** მხოლოდ გაფრთხილებით გასცდა. ძალზე ძნელია იმის თქმა, გადაიბარებს თუ არა ლიდერის სადავეებს იაპონიის ნაკრებში ტაკაჰაში, რადგან ამჯერად არ უჭიდავიათ ოლიმპიურ ჩემპიონ **სატოში იშის**, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ **იასუიუკი მუნეტას**, მსოფლიოს პრიზიორ **იოჰეი ტაკაის** და არც სხვებს, მაგალითად, თუნდაც იგივე **შინია კატაბუჩის**, რომელიც ბოლო თვეებში ურიგოდ არ ჭიდაობს (სამგზის მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **კოსეი ინუემ** კი, ვგონებთ, საერთოდ დაანება თავი ჭიდაობას). ასეთი კონკურენტების გარეშე ძნელია რაიმეს მტკიცება, თუმცა ტაკაჰაში მართლაც კარგად გამოვიდა. ბევრისთვის მოულოდნელად, მას პირველ შეხვედრაში კი გაუჭირდა სლოვენიელ **მატიას სერაჯთან**, მაგრამ მერე ზედიზედ დააიპონა ჰოლანდიელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ხრიმ ვუიხსტერსი**, კუბელი მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **ოსკარ ბრისონი** და ფინალში სუძუკი ბეჭებზე დასცა, ნახევარფინალში ესტონელ ევროპის ჩემპიონ **მარტინ პადარის** კი ვაზარით მოუგო.

ლევან ნიკლაურმა (81) ლატვიელ **აიგარს მილენბერგს** წმინდად აჯობა, უზბეკ **შოკირ მუმინოვთან** კი ყველა სახის გდებაზე წამოეგო და წააგო. ამავე წონაში **დავით კუპრაშვილი** პირველივე შეხვედრაში ოთხი გაფრთხილებით მოხსნეს იაპონელ **კაცუში მაცუმოტოსთან**. ასევე პირველივე ბრძოლებში იპონებით დამარცხდნენ **ნოდარ მეტრეველი** (100) გერმანელ **ბენჟამინ ბერლასთან** და მძიმეწონოსანი **იოსებ მსხალაძე** ბრაზილიელ **ვალტერ სანტოსთან**.

ამ შედეგით ჩვენმა ვაჟთა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მეხუთე ადგილი გაიყო ბრაზილიასთან, ტურნირი კი აზიელთა საშინაო საქმედ იქცა. უფრო სწორად - იაპონელებისა, რომლებმაც ოთხი ოქრო მოიპოვეს. ორი ჩემპიონი ჰყავს სამხრეთ კორეას, მეშვიდე ოქრო კი ევროპაში მიდის. „ბებერი კონტინენტიდან" ყველაზე მეტად ბრიტანელმა ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა **ეუან ბურტონმა** (81) ივარგა. აღსანიშნავია, რომ კორეელთა ორივე გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონია - ჰვანგი და აწ უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **კი-ჩუნ ვანგი** (73), რომელიც პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორიცაა. იაპონელთა ჩემპიონებიდან მსოფლიოს მესამე პრიზიორ **ტაკაში ონოს** გამოვარჩევ, რომელმაც ის მედალი 81-ში მოიპოვა, ახლა კი 90-ში იასპარეზა.

დღეს ტოკიოშივე ტრადიციული ერთობლივი ვარჯიშები იწყება, თუმცა ჩვენები არ რჩებიან და სამშობლოში მოფრინავენ. მიზეზი უფულობაა, თორემ ერთობლივი წვრთნები ძალიან კი წაადგებოდათ.

**კვარცხლბეკი. ვაჟები.**

60კგ: 1. მასააკი ფუკუოკა, 2. ჰიროაკი ჰიროაკა, 3. ჰიროფუმი იამამოტო (სამივე - იაპონია) და ჯინ მინ იანგი (კორეა).

66კგ: 1. მასაში ებინუმა (იაპონია), 2. ჯოო-ჯინ კიმი (კორეა), 3. ჯუნპეი მორიშიტა (იაპონია) და ჯეონ-ჰვანგ ანი (კორეა).

73კგ: 1. კი-ჩუნ ვანგი (კორეა), 2. იასუჰირო ავანო, 3. იუკი მიშიამა (ორივე - იაპონია) და ნიკოლას ტრიტონი (კანადა).

81კგ: 1. ეუან ბურტონი (ბრიტანეთი), 2. ჯაე-ბუმ კიმი (კორეა), 3. ლეანდრო გილეირო (ბრაზილია) და კაცუში მაცუმოტო (იაპონია).

90კგ: 1. ტაკაში ონო, 2. დაიკი მიშიამა, 3. იუია იოშიდა (სამივე - იაპონია) და დილშოდ ჩორიევი (უზბეკეთი).

100კგ: 1. ჰე-ტაე ჰვანგი (კორეა), 2. ტაკამასა ანაი (იაპონია), 3. ლომერ ჟორჟოლიანი (საქართველო) და ლუკაშ კრპალერკი (ჩეხეთი).

+100კგ: 1. კაცუჰიკო ტაკაჰაში, 2. კეიჯი სუძუკი (ორივე იაპონია), 3. მარტინ პადარი (ესტონეთი) და აბდულო ტანგრიევი (უზბეკეთი).

ირაკლი თავაძე

რაგბი

ლეგიონერები

# ექვსიდან ოთხი იბრძვის



საფრანგეთის ელიტურ პირველ დივიზიონში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდებმა ევროთასების გათამაშების პირველი წრის ბოლო მატჩები გამართეს. ყველაზე პრესტიჟულ „ჰეინეკენის თასზე" ორი „ქართული გუნდიდან" პლეი ოფში გასვლის შანსი ერთს, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" აქვს.

„ვულკანებმა" მესამე ტურის შეხვედრაში საკუთარ მოედანზე ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ლესტერ ტაიგერზი" დაამარცხეს - 40:30 და სატურნირო ცხრილში ახლა მეორე ადგილზე არიან. ზირაქიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს.

„კლერმონი" მომდევნო შეხვედრას კვირის თავზე სტუმრად ისევ „ლესტერ ტაიგერზთან" გამართავს. ამ მატჩის შედეგმა შესაძლოა C ჯგუფში ყველაფერს მოჰფინოს ნათელი. ამასობაში სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა უელსური „ოსფრიზი", რომელმაც სტუმრად გაანადგურა იტალიური „ვიადანა" - 62:7.

**C ჯგუფი: ვიადანა (იტ)-ოსფრიზი (უელ) 7:62, კლერმონი (საფ)-ლესტერ ტაიგერზი (ინგ) 40:30**

**სატურნირო მდგომარეობა: ოსფრიზი - 11 ქულა, კლერმონი - 11, ლესტერ-ტაიგერზი - 8, ვიადანა - 0,**

F ჯგუფში სამიდან სამივე შეხვედრა წააგო **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" და, ფაქტობრივად, პლეი ოფში გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგა. მესამე ტურში ბრიველები საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ „ლონდონ აირიშთან" - 3:36. ხინჩაგიშვილი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო.

ამავე ჯგუფში ლიდერმა, ირლანდიურმა „ლენსტერმა" სტუმრად დაამარცხა უელსური „ჰლანეჰლი" - 32:7.

**F ჯგუფი: ბრივი (საფ)-ლონდონ აირიში (ინგ) 3:36, ჰლანეჰლი (უელ) ლენსტერი (ირ) 7:32.**

**სატურნირო მდგომარეობა: ლენსტერი - 10 ქულა, ლონდონ აირიში - 10, ჰლანეჰლი - 8, ბრივი - 0.**

„ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში პირველი წრის შემდეგ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან დაუმარცხებლად **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" ასპარეზობს. ჩვენებურის გუნდი C ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს. ტულონელებმა მესამე ტურის შეხვედრაში შინ იტალიური „როვიგო" გაანადგურეს - 73:3. ქუბრიაშვილი განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში საკუთარ მოედანზე წააგო ინგლისურ „სარასენზთან" **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრამ" - 9:23. გიორგაძეს არ უთამაშია. მარცხის მიუხედავად, კასტრელები პლეი ოფში გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებენ.

**C ჯგუფი: კასტრი (საფ)-სარასენზი (ინგ) 9:23, ტულონი (საფ)-როვიგო (იტ) 73:3.**

**სატურნირო მდგომარეობა: ტულონი - 13 ქულა, სარასენზი - 9, კასტრი - 5, როვიგო - 0.**

B ჯგუფში მეორე ადგილზეა **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე", რომელმაც შინ გათამაშების დებიუტანტს, მადრიდის „ოლიმპუსს" მოუგო - 57:24. ჩხაიძემ სრულად ითამაშა. გორგოძე 66-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი 27-ე წუთზე ლელო გაიტანა. 54-ე წუთზე მამუკა გაასინბინეს.

ჯგუფის ლიდერმა ირლანდიურმა „ქონოთმა" სტუმრად მოუგო ინგლისურ „ვორსტერს" - 26:21.

**B ჯგუფი: მონპელიე (საფ)-ოლიმპუსი (ესპ) 57:24, ვორსტერი (ინგ)-ქონოთი (ირლ) 21:26.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ქონოთი - 13 ქულა, მონპელიე - 10, ვორსტერი - 7, ოლიმპუსი - 0.**

E ჯგუფში **ბექა შეყლაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონტობანმა" სტუმრად წააგო ინგლისში ჯგუფის ლიდერ "ნიუკასლთან" - 6:17, თუმცა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილს მაინც ინარჩუნებს. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო. შველიძე 50-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა ფრანგულმა „ალბიმ", რომელმაც სტუმრად სძლია იტალიურ „პადოვას" - 35:16.

**E ჯგუფი: ნიუკასლი (ინგ)-მონტობანი (საფ) 17:6, პადოვა (იტ)-ალბი (საფ) 16:35.**

**სატურნირო მდგომარეობა: ნიუკასლი - 14 ქულა, მონტობანი - 8, ალბი - 5, პადოვა - 1.**

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში მე-14 ტურის მატჩები გაიმართა. მორიგი გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილს ისევ სათავეში უდგას **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენი". აჟენელებმა სტუმრად ითამაშეს მესამეადგილოსანთან, **გურამ კავთიძის** „ლიონთან" და მინიმალური სხვაობით - 10:9 მოიგეს. ფეიქრიშვილი თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო. კავთიძე განაცხადში არ იყო.

საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა „კოლომიესთან" **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა" - 28:21. მაგრაქველიძე თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო.

**II დივიზიონი**

**XIV ტური: მონ დე მარსანი - პო 18:14, ტარბი - კოლომიე 28:21, ნარბონი - ლა როშელი 16:13, ლიონი - აჟენი 9:10, ოში - ექსი 35:14, ბორდო - დაქსი 17:16, ლანამეზანი - ორიაკი 9:19.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. აჟენი - 52 ქულა, 2. ნარბონი - 45, 3. ლიონი - 44, 4. ოიონაქსი - 43, 5. ლა როშელი - 36, 6. გრენობლი - 35, 7. ორიაკი - 34, 8. ბორდო - 33, 9. მონ დე მარსანი - 32, 10. დაქსი - 30, 11. ტარბი - 30, 12. პო - 29, 13. ოში - 27, 14. კოლომიე - 19, 15. ექსი - 18, 16. ლანამეზანი - 9.**

ბესიკ ჯანგავაძე

ჭიდაობა

# თასი აღდგა, კლუბების ჯერი დადგა

კონსტიტუციის ქუჩაზე, თბილისის უძველეს სპორტდარბაზში, დედაქალაქის მერიის თასის გათამაშება გაიმართა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

თავისუფალ ჭიდაობაში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის (1995-1996 წლებში დაბადებულები) თასი და პირველი ადგილი ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრის გუნდმა მოიპოვა (მწვრთნელები: **თამაზ ბენდიანიშვილი, ჯონი ლორია** და **შურა მაისურაძე**). მეორე ადგილზე გავიდა „ცერცვაძის კლუბი", მესამეზე - „ხაბელოვის კლუბი."

უფროს ასაკში (1993-1994 წლებში დაბადებულები) თასი „ცერცვაძის კლუბს" ხვდა წილად (მწვრთნელები: **თენგიზ ლამბაშიძე** და **ამირან მაისურაძე**). მეორეზე გავიდა ოლიმპიური მზადების ცენტრი, მესამეზე — თბილისის „მართვე".

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორივე ასაკობრივ ჯგუფში თასს და საპრიზო ადგილებს ერთი და იგივე გუნდები დაეუფლნენ. პირველი იყო ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრი (მწვრთნელები: **კობა კიკაძე, ვაჟა თინიკაშვილი** და **ვაჟა კრავეიშვილი**), მეორე - სპორტკლუბი „ოლიმპიელი 777", მესამე — თბილისის მერიის გივი კარტოზიას სახელობის ოლიმპიური მზადების მთავარი ცენტრის ფილიალი.

სასიხარულოა, რომ მერიის სპორტის სამსახურმა (უფროსი **ზაზა დოლიძე**) აღადგინა ძველი და კარგი ტრადიცია — თასის გათამაშება. გუნდური ტურნირი ყოველთვის დიდ ინტერესს და ვნებათაღელვას იწვევს. ასე იყო ამჯერადაც.

გვესაუბრება ამ საინტერესო შეჯიბრების მთავარი მსაჯი **ვლადიმერ იაშვილი.**

— თბილისის მერიამ ჭიდაობის ორივე სახეობაში 15 მწვრთნელს დაუნიშნა ხელფასი. დიდი მადლობა ამისთვის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ **მამუკა ქაცარავას.** ამასთან, გარემონტდა რამდენიმე საჭიდაო ბაზა.

დიდი სტიმულია თასებთან და მედლებთან ერთად ფულადი ჯილდოც, რომელიც გადაეცათ გამარჯვებულ ჭაბუკ ფალავნებს და მათ მწვრთნელებს. თუ ასე გაგრძელდა, შედეგები მოიმატებს...

მერიის გადაწყვეტილებით, ახალი წლიდან ის მწვრთნელები, რომლებსაც ეყოლებათ აღსაზრდელი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახიდან, თითოეულ მათგანზე მიიღებენ დამატებით ანაზღაურებას. მერია მხარში უდგას სპორტსმენებსა და მწვრთნელებს გადაუდებელი მკურნალობისა და ოპერაციებისას. ეროვნულ ფედერაციას ფინანსურად ეხმარება საერთაშორისო ტურნირების მოწყობასა და სპორტსმენთა საზღვარგარეთ მივლინებაში.

ჭაბუკთა თასის გათამაშებამდე მერიის ინიციატივით ჩატარდა ბავშვთა ჭიდაობის ფესტივალი.

არის პრობლემებიც. მაგალითად, ამგვარ ტურნირებზე არ გვყოფნის მსაჯთა რაოდენობა. უნდა აღდგეს თბილისის რაიონებს შორის პირველობები, დაინიშნონ სპორტის კოორდინატორები. მეტი აქტიურობა მართებთ საქალაქო ფედერაციებს.

მსოფლიოში სპორტის ხერხემალი საზოგადოებრივი სპორტკლუბებია, რომლებიც თვითდაფინანსებაზე არიან. სამწუხაროდ, ჩვენ 99 პროცენტით ისევ სახელმწიფოს კეთილ ნებაზე ვართ დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, უნდა გადავიდეთ კლუბურ სისტემაზე.

ჩვენთან არსებობს რამდენიმე სპორტკლუბი, მაგრამ რისი მაქნისია ასეთი კლუბი, თუ მწვრთნელს ჯამაგირს ვერ მისცემს, სპორტსმენებს სპორტულ აღჭურვილობას ვერ შეუძენს ან შეჯიბრზე ვერ გაგზავნის, ან საკუთარი სპორტბაზები არ ექნება?! ერთი სიტყვით, სპორტკლუბმა უნდა იმუშაოს.

ესაუბრა
გაბრიელ ბარჯაძე

www.sport.gov.ge
DEPARTMENT OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA
www.sport.gov.ge

## უცხოური სპორტი

**ფორმულა 1**



# ბილდი: შუმახერი მერსედესს შეუთანხმდა

გერმანული გაზეთი „ბილდი" ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 40 წლის **მიხაელ შუმახერმა** ზეპირ შეთანხმებას მიაღწია „მერსედეს გრან-პრისთან". მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს გერმანულ საჯინიბოსთან და გაისად მსოფლიოს ჩემპიონატში დაბრუნდება.

თუმცა, როგორც „ბილდი" წერს, ხელშეკრულების გაფორმება ექიმების გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. რაც შეეხება კონტრაქტის ფინანსურ მხარეს, შუმი 2010 წელს 3.5 მილიონ ევროს მიიღებს.

*„კონტრაქტზე ხელის მოწერა უბრალო ფორმალობაა,* - განუცხადა ჟურნალისტებს ინკოგნიტო წყარომ. - *ბოლო შემოწმებამ აჩვენა, რომ შუმახერი კარგ ფორმაშია, მოუთმენლად ელის რბოლებში დაბრუნებას და როს ბრაუნთან ახალ თანამშრომლობას".*

„წითელი ბარონის" პრესატაშემ ამ ცნობის კომენტირებისგან თავი შეიკავა, შუმახერის მენეჯერმა **ვილი ვებერმა** კი განაცხადა, რომ ისეთივე გაურკვევლობაშია, როგორც პრესა.

*„არაფერი ვიცი. არავის შევხვედრივარ და „მერსედესთანაც" არ მქონია კონტაქტი",* - ასე უპასუხა ჟურნალისტებს ვებერმა.

# კალენდარი დამტკიცებულია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ფორმულა 1-ის 2010 წლის ჩემპიონატის დამტკიცებული კალენდარი გამოაქვეყნა. წინა ვარიანტთან შედარებით, ეტაპების განრიგში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ადრე დაგეგმილი იყო სეზონის ბრაზილიაში დასრულება, მაგრამ ჩემპიონატის ბოლო ეტაპი აბუ დაბიში გადაიტანეს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ არ გადაიკვეთოს ფორმულა 1-ის ეტაპისა და ბრაზილიაში პრეზიდენტის არჩევნების თარიღები.

საბოლოო, საგაისო კალენდარმა ასეთი სახე მიიღო.

14 მარტი - ბაჰრეინი (ბაჰრეინი)
28 მარტი - ავსტრალია (ალბერტ პარკი)
4 აპრილი - მალაიზია (სეპანგი)
18 აპრილი - ჩინეთი (შანხაი)
9 მაისი - ესპანეთი (კატალონია)
16 მაისი - მონაკო (მონტე კარლო)
30 მაისი - თურქეთი (ისტანბულ პარკი)
13 ივნისი - კანადა (ჟილ ვილნევი)
27 ივნისი - ევროპა (ვალენსია სტრიტი)
11 ივლისი - ბრიტანეთი (სილვერსტოუნი)
27 ივლისი - გერმანია (ნიურნბურგრინგი)
1 აგვისტო - უნგრეთი (ჰუნგარორინგი)
29 აგვისტო - ბელგია (სპა)
12 სექტემბერი - იტალია (მონცა)
26 სექტემბერი - სინგაპური (მარინა ბეი)
10 ოქტომბერი - იაპონია (სუზუკა)
24 ოქტომბერი - კორეა (სეული)
7 ნოემბერი - ბრაზილია (ინტერლაგუში)
14 ნოემბერი - აბუ დაბი (იას მარინა)

# ლოტუსში ტრული და რაიკონენი იქნებიან

დაუდასტურებელი ინფორმაციით, „ტოიოტას" ყოფილმა პილოტმა **იარნო ტრულიმ** სამწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა დებიუტანტ „ლოტუსთან". ოფიციალური ინფორმაცია სავარაუდოდ დღეს გამოცხადდება.

ხელშეკრულების თანახმად, ტრულის 2010 წლის სეზონის დასრულების შემდეგ შეეძლება კონტრაქტის გაწყვეტა. იტალიელისთვის „ლოტუსი" მეექვსე გუნდი იქნება კარიერაში. 13 წლის განმავლობაში ტრული „მინარდის", „პროსტის", „ჯორდანის", „რენოსა" და „ტოიოტას" მანქანის საჭესთან მჯდარა.

გუშინ სააგენტო „როიტერმა" „ლოტუსის" შემადგენლობასთან დაკავშირებით მეორე ინფორმაცია გაავრცელა. სავარაუდოდ, იარნოს მეწყვილე იქნება „მაკლარენის ყოფილი წევრი **ჰეიკი კოვალაინენი**. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ამ გუნდში მოხვედრაზე უარი განაცხადა **ტაკუმა სატომ**. *„სატო ნამდვილად არ მოხვდება „ლოტუსში",* - განაცხადა იაპონელის მენეჯერმა.

■ ■ ■

საგაისო ჩემპიონატის კიდევ ერთმა ახალმა გუნდმა - „ვირჯინმა" დააკომპლექტა შემადგენლობა. ადრე ამ საჯინიბოს „ტოიოტას" ყოფილი წევრი **ტიმო გლოკი** შეუერთდა. ახლა კი ირკვევა, რომ 2010 წელს გერმანელის პარტნიორი გახდება „რენოს" ყოფილი სათადარიგო პილოტი **ლუკას დე გრასი**. ბრაზილიელს კარიერის გაგრძელების ორი ვარიანტი ჰქონდა - დარჩენილიყო „რენოში" ან „ვირჯინში" ეცადა ძალები. საბოლოოდ გე გრასიმ დებიუტანტი აირჩია.

*„ჩემი ოცნება ასრულდა. კარგად ვარ მომზადებული, რადგან ორი წელი „რენოს" სარეზერვო პილოტი ვიყავი,* - განაცხადა ბრაზილიელმა. - *ჩემი მიზანი სერიოზული შედეგების მიღწევა და ფორმულა 1-ში დამკვიდრებაა".*

**კალათბურთი**

# FIBA-მ საგზურები დაარიგა

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ის ოთხი ნაკრები დაასახელა, რომლებმაც ე.წ. უაილდ-ქარდი და შესაბამისად, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატში თამაშის უფლება მიიღეს. FIBA-ის გადაწყვეტილებით, ვაკანტური საგზურის მფლობელები გახდნენ გერმანიის, ლიტვის, რუსეთისა და ლიბანის ნაკრებები.

შეგახსენებთ, რომ წელს გამართულ ევრობასკეტზე გერმანია, ლიტვა და რუსეთი პირველი ექვსეულის მიღმა დარჩნენ და ამის გამო მოუწიათ ამ გზით მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრამ.

ფინალური ეტაპის წილისყრა დღეს გაიმართება. 24-გუნდიანი შემადგენლობა ასე გამოიყურება:

ევროპა - თურქეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, სერბეთი, ხორვატია, სლოვენია, ლიტვა, გერმანია, რუსეთი; ამერიკა - აშშ, ბრაზილია, არგენტინა, პუერტო რიკო, კანადა; აფრიკა - ანგოლა, ტუნისი, კოტ დ'ივუარი; აზია - ჩინეთი, იორდანია, ირანი, ლიბანი; ოკეანეთი - ავსტრალია, ახალი ზელანდია.

წილისყრის შედეგად 24 გუნდი ოთხ ქვეჯგუფში განაწილდება.

პლანეტის პირველობა 2010 წელს თურქეთში გაიმართება. მსოფლიოს ჩემპიონატი 28 აგვისტოს დაიწყება, ფინალის გამართვა კი 12 სექტემბერს არის დაგეგმილი. მატჩებს ოთხი ქალაქი უმასპინძლებს - ანკარა, ქაისერი სტამბოლი და იზმირი.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**11 დეკემბერი**

**ლეიკერსი-მინესოტა 104:92**
33:24, 23:30, 30:14, 18:24
ლ: ბრაიანტი 20+5 პასი, გასოლი 17+20 მოხსნა+7 პასი, არტესტი 16+5 პასი, ოდომი 13, ბინუმი 12+8 მოხსნა.
მ: ჯეფერსონი 24+13 მოხსნა, სეშენსი 15+5 პასი, ფლინი 10, ლავი 7+19 მოხსნა.

**ფილადელფია-ჰიუსტონი 91:96**
29:19, 22:29, 13:28, 27:20
ფ: იგუოდალა 20, აივერსონი 20, ბრენდი 19+10 მოხსნა, იანგი 15+11 მოხსნა, დალემბერი 7+14 მოხსნა.
ჰ: ლენდრი 20+7 მოხსნა, ბრუქსი 19, ბადინგერი 15, სკოლა 14+11 მოხსნა, არიზა 13+12 მოხსნა, ლოური 11.

**ტორონტო-ატლანტა 89:111**
27:29, 21:32, 23:28, 18:22
ტ: ბარნიანი 17, ბოში 14+10 მოხსნა, ჯეკი 13, თურქოგლუ 12+7 მოხსნა+8 პასი, უიმსი 10.
ა: ჯონსონი 20, ევანსი 15, კროუფორდი 15, ფაჩულია 14+6 მოხსნა, ტიგი 11+7 მოხსნა, ჰორფორდი 10+8 მოხსნა.

**მაიამი-დალასი 93:106**
18:30, 28:23, 27:31, 20:22
მ: უეიდი 28+11 მოხსნა+5 პასი, ჰასლემი 22+10 მოხსნა, ბიზლი 16+11 მოხსნა, ჩალმერსი 11.
დ: ნოვიცკი 25, დამპიე 20+17 მოხსნა, ტერი 16, ბარეა 12+10 მოხსნა, მერიონი 12.

**ჩიკაგო-გ. სტეიტი 96:91 (ო)**
26:28, 18:23, 25:19, 28:17, 9:4
ჩ: დენგი 21+6 პასი, ნოა 18+14 მოხსნა, როუზი 15, მილერი 12+13 მოხსნა, სალმონსი 11.
გ-ს: ელისი 27+5 პასი, მაგეტი 14+10 მოხსნა, მოროუ 12.

**მემფისი-ოკლაჰომა 94:102**
18:29, 24:27, 28:10, 36:24
მ: კონლი 20+8 მოხსნა, რენდოლფი 19+20 მოხსნა, მაიო 18, გეი 16, გასოლი 12+9 მოხსნა.
ო: დურანტი 32+10 მოხსნა, უესტბრუკი 23+7 მოხსნა, კრსტიჩი 15+8 მოხსნა, გრინი 11.

**ინდიანა-ნიუ ჯერსი 107:91**
27:21, 33:30, 27:23, 20:17
ი: ჰენსბრო 21+7 მოხსნა, ჰიბერტი 20+9 მოხსნა, მერფი 15+12 მოხსნა, დანლივი 15, რაში 10+8 მოხსნა, ფორდი 10+5 პასი.
ნ-ჯ: ლოპესი 25+14 მოხსნა, ჰარისი 18, ელსტონი 17, ლი 14.

**კლივლენდი-პორტლენდი 104:99**
26:23, 19:31, 31:22, 28:23
კ: ჯეიმსი 33+7 მოხსნა+7 პასი, ვარეჟიო 22+10 მოხსნა, ო'ნილი 14+11 მოხსნა, უილიამსი 14+10 პასი.
პ: როი 23, ოლდრიჯი 22, მილერი 20, ჰოვარდი 15, უებსტერი 13.

**ნიუ ორლეანი-ნიუ იორკი 96:113**
30:21, 32:32, 17:28, 17:32
ნ-ო: უესტი 20+7 მოხსნა, სტოიაკოვიჩი 16, პოლ 13+13 პასი, ოკაფორი 12, ტორნტონი 10.
ნ-ი: ჰარინგტონი 28+7 მოხსნა, დუჰონი 22+9 პასი, ჩენდლერი 20, ლი 17+14 მოხსნა, გალინარი 12+11 მოხსნა.

**სან ანტონიო-შარლოტი 104:85**
29:19, 30:23, 13:29, 32:14
ს-ა: ჯინობილი 22, დანკანი 17+9 მოხსნა+6 პასი, ჯეფერსონი 17, ჰილი 12.
შ: ჯექსონი 23+4 ჩაჭრა, უოლასი 18, დიაო 10.

**ფინიქსი-ორლანდო 106:103**
33:22, 28:30, 24:29, 21:22
ფ: სტაუდმაიერი 28+10 მოხსნა, ნეში 20+7 მოხსნა+18 პასი, დადლი 19, რიჩარდსონი 16, ჰილი 12.
ო: ლუისი 24, პიეტრუსი 23+8 მოხსნა, ჯონსონი 11, ჰოვარდი 10+18 მოხსნა.

**12 დეკემბერი**

**ვაშინგტონი-ინდიანა 113:114**
38:36, 14:30, 38:21, 23:27
ვ: ჯეიმისონი 31+7 მოხსნა, ბატლერი 23, არენასი 22+10 მოხსნა+11 პასი, ბოიკინსი 14, იანგი 10.
ი: მერფი 28+12 მოხსნა, დანლივი 24+5 პასი, ჰენსბრო 19, ფორდი 12, ჯონსი 11, რაში 10.

**დეტროიტი-გ. სტეიტი 104:95**
24:30, 25:25, 22:12, 33:28
დ: სტაკი 29+7 პასი, ვილანუევა 24+9 მოხსნა, ჰემილტონი 18, მაქსიელი 10+8 მოხსნა.
გ-ს: ელისი 29+7 მოხსნა, მაგეტი 23, კარი 19+4 ჩაჭრა, უოტსონი 13+6 პასი.

**ჩიკაგო-ბოსტონი 80:106**
26:29, 20:25, 17:29, 17:23
ჩ: როუზი 19, დენგი 17, გიბსონი 12+11 მოხსნა, მილერი 11, ჰარგო 11.
ბ: რონდო 16+14 პასი+7 მოხსნა, უოლასი 15, პაუსი 15, პირსი 14, გარნეტი 12+10 მოხსნა, პერკინსი 10, ალენი 10.

**დალასი-შარლოტი 98:97 (ო)**
26:20, 17:26, 19:24, 23:15, 13:12
დ: ნოვიცკი 36, მერიონი 15+15 მოხსნა, დამპიე 14+18 მოხსნა, ტერი 11, ბარეა 10.
შ: ჯექსონი 28+7 მოხსნა, უოლასი 23+16 მოხსნა, ფელტონი 20+8 პასი, ჩენდლერი 11.

**მილუოკი-პორტლენ. 108:101 (2ო)**
21:16, 18:28, 30:15, 18:28, 8:8, 13:6
მ: ბოგუტი 27+9 მოხსნა, რიდნური 20, ჯენინგსი 18+11 პასი, ილიასოვა 11+8 მოხსნა, რედი 11.
პ: ოლდრიჯი 31+11 მოხსნა, როი 23+6 პასი+8 მოხსნა, უებსტერი 16.

**დენვერი-ფინიქსი 105:99**
29:26, 18:34, 30:17, 28:22
დ: ენტონი 32+8 მოხსნა, ბილაპსი 24+8 პასი, ნენე 15+4 ჩაჭრა, მარტინი 12+9 მოხსნა.
ფ: ნეში 28+7 პასი, სტაუდმაიერი 13+8 მოხსნა, ჰილი 13, ამუნდსონი 12+11 მოხსნა+4 დაფარება, ფრაი 11, დადლი 10.

**იუტა-ლეიკერსი 102:94**
25:25, 34:28, 21:18, 22:23
ი: უილიამსი 21+11 პასი, ბრიუერი 19+8 მოხსნა, მეტიუზი 19+6 პასი, ბუზერი 12+8 მოხსნა+7 პასი, მილსეპი 12, ოქური 10.
ლ: გასოლი 16+20 მოხსნა+5 პასი, ბრაიანტი 16+5 პასი, არტესტი 16, ფიშერი 15, ბინუმი 13.

**საკრამენტო-მინესოტა 120:100**
35:32, 29:25, 33:20, 23:23
ს: ტომპსონი 23+12 მოხსნა, ევანსი 18+5 პასი, უდრიხი 16+7 მოხსნა, კასპი 14, ნოჩიონი 14.
მ: ჯეფერსონი 26+11 მოხსნა, ბრიუერი 16, ლავი 14+12 მოხსნა, სეშენსი 14.

**ამბები**

## რომამ მწვრთნელი გაუშვა

ევროლიგის ბინადარ „რომას" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ფერნანდო ჯენტილე**. დედაქალაქური კლუბის გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ „რომამ" იტალიის ჩემპიონატსა და ევროლიგაზე ბოლო ექვსი შეხვედრა წააგო, თანაც კალათბურთელებს საერთოდ არ ეტყობათ პროგრესი.

დროებით „რომას" მწვრთნელის მოვალეობებს **ჯენარო დი კარლო** შეასრულებს. ჯენტილეს სავარაუდო შემცვლელად კი **იასმინ რეპეშას** ასახელებენ. ეს გახლავთ ყველაზე წარმატებული მწვრთნელი „რომას" უახლოეს ისტორიაში.

## მაკედონიას ახალი მწვრთნელი ჰყავს

ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს მაკედონიის ნაკრებს. **იოვიჩ არსიჩის** ადგილი დაიკავა **მარინ დოკუზოვსკიმ**, რომელიც ამ გუნდს 2001 წელს წვრთნიდა, ასე რომ, ეს მისი მეორე მოსვლაა ნაკრებში. ბოლო დროს ეს სპეციალისტი „რაბოტნიჩკის" ედგა სათავეში და ამ გუნდს მაკედონიის ჩემპიონის ტიტული მოაგებინა.

საერთოდ, დოკუზოვსკიმ ბულგარეთში მუშაობით გაითქვა სახელი, სადაც 2004 წელს გადაბარგდა. მაშინ ის „ლუკოილ-აკადემიკას" მწვრთნელის ასისტენტი იყო, შემდეგ მთავარი მწვრთნელი გახდა. მისი ხელმძღვანელობით „ლუკოილმა" ორჯერ ზედიზედ მოიგო ბულგარეთის ჩემპიონატი და წარმატებით თამაშობდა ევროპაში.

## მაიამი აროიოს იშორებს

„მაიამი ჰიტი" პუერტო რიკოს ნაკრების ლიდერის **კარლოს აროიოს** გაშვებას აპირებს. ამ მცველს ფლორიდულ კლუბთან არაგარანტირებული კონტრაქტი აქვს და ამიტომაც ხელშეკრულების გაწყვეტას ნებისმიერ მომენტში ელიან.

„მაიამიმ" ბოლო ორი თამაში აროიოს გარეშე ჩაატარა და სწორედ ამის გამო ფიქრობენ, რომ კლუბი სულ მალე შეელევა ამ მცველს.

ამ სეზონში კარლოსმა 18 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 4.6 ქულა დააგროვა.

## კალდერონი თამაშგარეშია

„ტორონტო რეპტორზის" ესპანელი ლეგიონერი **ხოსე კალდერონი**, შესაძლოა, კარგა ხნით გამოაკლდეს თავის გუნდს. კანადელთა გამთამაშებელმა მხოლოდ შვიდი წუთი ითამაშა „ატლანტა ჰოქსის" წინააღმდეგ, რის შემდეგაც ბარძაყის ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. კალდერონმა ანალოგიური ტრავმის გამო ადრე რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა, ახლა კი დაზიანება გაიმიზეზა. საექიმო შემოწმებამ აჩვენა, რომ ტრავმა სერიოზულია და კალდერონს კარგა ხნით მოუწევს დასვენება. ზუსტი ვადა დღეს გახდება ცნობილი.

ამ სეზონში ესპანელმა ლეგიონერმა 23 მატჩის გამართვა მოასწრო და საშუალოდ 11.7 ქულითა და 6.2 შედეგიანი პასით დაეხმარა თავის გუნდს.

**რაგბი**

# ექვს ერს ჩემპიონი გახსნის

გამოქვეყნდა 2010 წლის სეზონში ექვსი ერის თასის გათამაშების კალენდარი. სასტარტო შეხვედრაში ტურნირის მოქმედი ჩემპიონი ირლანდია საკუთარ მოედანზე მიიღებს იტალიის ნაკრებს, გათამაშება კი პარიზში საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებთა მატჩით დასრულდება.

სხვათა შორის, ირლანდიის ნაკრებს საკმაოდ რთული კალენდარი ერგო, რადგან საფრანგეთთანაც და ინგლისთანაც სტუმრად ჩაატარებს მატჩებს.

ექვსი ერის თასის კალენდარი:

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**I ტური**
**6 თებერვალი**
ირლანდია-იტალია (დუბლინი)
ინგლისი-უელსი (თვიქნემი)
**7 თებერვალი**
შოტლანდია-საფრანგეთი (ედინბურგი)
**II ტური**
**13 თებერვალი**
უელსი-შოტლანდია (კარდიფი)
საფრანგეთი-ირლანდია (პარიზი)
**14 თებერვალი**
იტალია-ინგლისი (რომი)
**III ტური**
**26 თებერვალი**
უელსი-საფრანგეთი (კარდიფი)
**27 თებერვალი**
იტალია-შოტლანდია (რომი)
ინგლისი-ირლანდია (თვიქნემი)
**IV ტური**
**13 მარტი**
ირლანდია-უელსი (დუბლინი)
შოტლანდია-ინგლისი (ედინბურგი)
**14 მარტი**
საფრანგეთი-იტალია (პარიზი)
**V ტური**
**20 მარტი**
უელსი-იტალია (კარდიფი)
ირლანდია-შოტლანდია (დუბლინი)
საფრანგეთი-ინგლისი (პარიზი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

გოლფი

# ვუდსი სპორტიდან წავიდა

ლეგენდარულმა ამერიკელმა გოლფისტმა **ტაიგერ ვუდსმა** გამოაცხადა, რომ გაურკვეველი ვადით მიდის დიდი სპორტიდან.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარმა სპორტსმენმა ეს გადაწყვეტილება ოჯახში შექმნილი პრობლემების გამო მიიღო. როგორც იცით, ვუდსი მეუღლემ ღალატში ამხილა, ჟურნალისტებმა კი ათი ქალის გვარი გამოაქვეყნეს, რომლებთანაც გოლფისტს სხვადასხვა დროს რომანი ჰქონდა.

ვუდსის განცხადებით, ის ძალიან ნანობს ჩადენილ ხაქციელს და მეუღლეს პატიებას სთხოვს. ტაიგერი, თქმით, სპორტიდან წასვლის შემდეგ შეეცდება უკეთესი ქმარი, მამა და უბრალოდ, კარგი ადამიანი გახდეს.

*„კარგად ვაცნობიერებ იმას, რომ ჩემმა საქციელმა ტკივილი და იმედგაცრუება მოუტანა უამრავ ადამიანს, პირველ რიგში კი ჩემს ცოლსა და შვილებს. ახლა მაქსიმალურად უნდა მოვინდომო, რათა უკეთ შევასრულო ქმრისა და მამის მოვალეობები“*, - ამბობს ვუდსი.

ტაიგერის სპორტიდან წასვლას უკვე გამოეხმაურა მისი ერთ-ერთი ძირითადი სპონსორი - კომპანია Gillette.

*„იმის გამო, რომ ტაიგერი გაურკვეველი ვადით იღებს პაუზას, ჩვენ შევზღუდავთ მის როლს ფირმის მარკეტინგულ პროგრამებში“*, - იტყობინება ფირმის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# გოლოვინი და კანიასი მიდიან

როგორც ჩანს, ფრანგი ჩოგბურთელი **ტატიანა გოლოვინი** ზურგის ქრონიკული ტრავმის გამო აღარ გააგრძელებს კარიერას. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ამ ნიჭიერ ჩოგბურთელს ისეთი ავადმყოფობა აღმოუჩინეს, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება.

*„ასეთმა დიაგნოზმა შოკში ჩამაგდო,* - განაცხადა რუსული წარმოშობის ფრანგმა. - *მაქვს თუ არა კორტზე დაბრუნების შანსი? ექიმები ჯერჯერობით ვარჯიშის უფლებას არ მაძლევენ, მაგრამ მცირე ალბათობა მაინც არსებობს, რომ დროთა განმავლობაში ტკივილი გამივლის. თუ მაინც მომიხდა ჩოგბურთიდან წასვლა, სხვა პროფესიის პოვნა მომიწევს. დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ ეს რაიმე ჰუმანიტარული მიმართულება იქნება“.*

მანამდე კი გოგონა დიდ დროს ატარებს ბოიფრენდთან - „არსენალის“ ფეხბურთელ **სამირ ნასრისთან**.

■ ■ ■

კარიერის დასრულება აქვს განზრახული კიდევ ერთ ცნობილ ჩოგბურთელს. არგენტინელმა **გილერმო კანიასმა** გაზეთ Ole-ს განუცხადა - *„90-პროცენტიანი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ პროფესიულ კარიერას დავასრულებ“*. 32 წლის ჩოგბურთელს მაჯის ქრონიკული ტრავმა არ აძლევს სრული ძალით თამაშის საშუალებას.

კანიასს ჩაფიქრებული აქვს მომავალი წლის თებერვალში ბუენოს აირესში ATP-ის ტურნირზე მონაწილეობის მიღება და გულშემატკივრებთან გამოთხოვება. ჩოგბურთელმა ასევე არ გამორიცხა ჩოგბურთში მწვრთნელის რანგში დაბრუნება.

სხვადასხვა

**სამთო-სათხილამურო სპორტი**

## კოსტელიჩი საოპერაციოა

ცნობილი ხორვატი მოთხილამურე **ივიცა კოსტელიჩი** დაახლოებით ოთხი კვირით ჩამოსცილდა აქტიურ სპორტს. ამის შესახებ ხორვატთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბი იტყობინება.

მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონმა მუხლის ტრავმა გასულ უქმეებზე საფრანგეთის ვალ დ'იზერში გამართული ეტაპის დროს მიიღო. ხორვატს უახლოეს დღეებში შვეიცარიის ქალაქ ბაზელის ერთ-ერთ კლინიკაში ართროსკოპიული ოპერაცია გაუკეთდება.

**ჩოგბურთი**

## ანენმა მესამე მოიგო

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ჟუსტინ ანენმა** ახალი სეზონის წინ მესამე საჩვენებელი შეხვედრა ჩაატარა და კვლავ გამარჯვებულმა დატოვა კორტი. ამჯერად ბელგიელი ჩოგბურთელის მეტოქე რუსი **ნადია პეტროვა** იყო. მატჩი ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში ჩატარდა.

მსოფლიოს მე-20 ჩოგანმა პეტროვამ მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა ანენს, მაგრამ ტაი-ბრეიკზე მაინც მოუწია დანებებამ - 4:7. მეორე სეტში კი რუსმა მხოლოდ ორი გეიმი აიღო. საბოლოო ანგარიშია - 7:6(4), 6:2 ჟუსტინის სასარგებლოდ.

შეგახსენებთ, რომ ბელგიელი 18-თვიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა დიდ ჩოგბურთში. გასულ კვირას მან შარლერუაში საჩვენებელ ტურნირში ითამაშა და ფინალში იტალიელი **ფლავია პენეტა** დაამარცხა.

## მოია ავსტრალიის ლიაზე ითამაშებს

როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი, ესპანური ჩოგბურთის ვეტერანი **კარლოს მოია** ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს აპირებს. 33 წლის ჩოგბურთელმა გასულ სეზონში ფეხზე ოპერაცია გადაიტანა და ახლა სერიოზულად ფიქრობს „დიდი სლემის“ ტურნირში მონაწილეობაზე.

მანამდე კი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ძალებს ბუენოს აირესის საჩვენებელ ტურნირში მოსინჯავს, რომელიც ამ კვირას იწყება. სხვათა შორის, არგენტინის დედაქალაქში ვიხილავთ **დავიდ ნალბანდიანს**. არგენტინელს, მოიას მსგავსად, დიდი ხანია არ უთამაშია ტრავმის გამო და მისთვის ეს პირველი სტარტი იქნება სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**11 დეკემბერი**

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 2:4**

0:1, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ლეოპოლდი-4 (ჰორტონი-18, უეისი-12), 0:2 ფროლიკი-8 (ბალარდი-9, უეისი-13), 0:3 მატიასი-2 (რაინპრეხტი-14, დვორაკი-5), 1:3 როლსტონი-11 (ელიაში-9, ლანგენბრუნერი-21), 2:3 მაკამონდი-1 (პიკარაინენი-2), 2:4 ფროლიკი-9 (ჰორტონი-19, ალენი-4).

**ვაშინგტონი-კაროლინა 4:3 (ო)**

0:2, 2:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ტლუსტი-1 (ბ. სუტერი-5, კოსტოპულოსი-2), 0:2 ე. სტაალი-4 (კოსტოპულოსი-3, ა. უორდი-6), 1:2 სიომინი-12 (ოვეჩკინი-13, შულტცი-6), 2:2 სიომინი-13 (ბექსტრიომი-26), 3:2 ფლიშმანი-11 (მ. პერო-5, ერსკინი-2), 3:3 გლისონი-5, 4:3 მ. გრინი-6 (ბექსტრიომი-27, ოვეჩკინი-14).

**ბაფალო-ჩიკაგო 2:1**

0:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ვანეკი-9 (მიერსი-13, ტიმ კონოლი-16), 2:0 მაკარტური-9 (კენედი-6), 2:1 შარპი-9 (პ. კეინი-20, ჰაილმარსონი-6).

**დეტროიტი-ანაჰაიმი 3:2 (ო)**

0:0, 0:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ს. კოივუ-5 (სექსტონი-1, რაიანი-10), 0:2 სექსტონი-3 (ბრუკბანკი-1, ს. კოივუ-10), 1:2 ჰოლმსტრიომი-12 (ლეინო-3, დაციუკი-15), 2:2 ბერტუცი-5 (ლებდა-5, ზეტერბერგი-21), 3:2 ბერტუცი-6 (ბ. სტიუარტი-5, ზეტერბერგი-22).

**სტ. ლუისი-ედმონტონი 3:5**

1:0, 2:1, 0:4

**გოლები:** 1:0 ბეკსი-5 (ოში-10, ე. ჯონსონი-16), 2:0 ოში-5 (კარია-6, ე. ჯონსონი-17), 3:0 ბეკსი-6 (ტკაჩუკი-10), 3:1 ბრული-8 (პენერი-16), 3:2 ბრული-9 (სემ განიე-13, პენერი-17), 3:3 სემ განიე-7 (პენერი-18, ბრული-12), 3:4 ჰორკოფი-7 (ნილსონი-7, ვიშნოვსკი-16), 3:5 პენერი-18.

**კოლორადო-ტამპა ბეი 2:1 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 დაუნი-6 (ლეკავალიე-20, სენტ ლუისი-27), 1:1 ვოლსკი-12 (პ. მჩასტნი-25, უილსონი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** ვოლსკი (კოლორადო).

**კალგარი-მინესოტა 1:2 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ა. ჯონსონი-1 (გლენკროსი-8, ბოიდი-7), 1:1 შეპარდი-2 (ბნიდი-7, ჰავლატი-10), 1:2 ჰავლატი-3 (ჟიდლიცკი-15, ზენონი-5).

**სან ხოსე-დალასი 2:3 (ბ)**

2:1, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 რიბეირო-9 (დეილი-4), 1:1 ჰიტლი-20 (ჯ. ტორნტონი-36, დ. ბოილი-20), 2:1 რ. ბლეიკი-2 (ჰიტლი-16, მალორტა-6), 2:2 ბ. რიჩარდსი-10 (ლ. ერიქსონი-17, რობიდასი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ბ. რიჩარდსი (დალასი), სეტოგუჩი (სან ხოსე), ნისკანენი (დალასი).

**12 დეკემბერი**

**ტორონტო-ვაშინგტონი 6:3**

0:2, 3:1, 3:0

**გოლები:** 0:1 ოვეჩკინი-21 (მ. გრინი-26, ფლიშმანი-8), 0:2 ბექსტრიომი-9 (ოვეჩკინი-15, იურჩინა-4), 1:2 სტაიანი-10 (კესელი-7), 2:2 კესელი-11 (ტ. კაბერლე-29, გრაბოვსკი-16), 2:3 ბექსტრიომი-10 (ოვეჩკინი-16, სიომინი-15), 3:3 ჰაგმანი-15 (გრაბოვსკი-17, კესელი-8), 4:3 სტაიანი-11 (ბოშემენი-11, პონიკაროვსკი-10), 5:3 სტამპნიაკი-8 (სტაიანი-14), 6:3 პონიკაროვსკი-12 (ი. უაიტი-12).

**ოტავა-კაროლინა 4:2**

1:0, 1:2, 2:0

**გოლები:** 1:0 კოვალიოვი-5 (ფოლინო-6, ფიშერი-13), 1:1 რეი უიტნი-9 (პიტკანენი-12, ტ. რუუტუ-12), 2:1 სპეცა-4 (ფილიპსი-7, ალფრედსონი-20), 2:2 რეი უიტნი-10 (ე. სტაალი-11, ჰარისონი-3), 3:2 კოვალიოვი-6 (კარლსონი-5, კუბა-11), 4:2 კოვალიოვი-7 (ფოლინო-7).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 4:1**

3:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბერგფორსი-10 (როლსტონი-7, ბროდერი-1), 2:0 ბერგფორსი-11 (ზაიაცი-17, პარიზე-20), 3:0 ელიაში-5 (ჟარკოვი-4), 3:1 ჟირუ-6 (პრონგერი-16, მ. კარლი-14), 4:1 ელიაში-6 (როლსტონი-8, ზაიაცი-18).

**აილენდერსი-ბოსტონი 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 შრემპფი-1 (მოულსონი-10, ოკსოპო-16), 1:1 რაიდერი-8 (კრეისი-12, ფერენსი-3), 1:2 კრეისი-5 (რაიდერი-6, სობოტკა-3), 2:2 მოულსონი-15 (ტავარესი-12, ოკსპო-17), 3:2 ნილსენი-4 (კომო-5, შტრაიტი-13).

**რეინჯერსი-ბაფალო 2:3**

2:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 დ. როი-7 (ვანეკი-11, მიერსი-14), 1:1 კალაპენი-6 (გაბორიკი-19, კოტალიკი-13), 2:1 გაბორიკი-22 (დელ ზოტო-13, პროსპალი-21), 2:2 კალეტა-4 (პეხტი-5, ლიდმანი-2), 2:3 კალეტა-5 (ტალინდერი-8).

**ატლანტა-მონრეალი 4:3 (ო)**

0:1, 3:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მეტროპოლიტი-7 (გომესი-12, შპაჩეკი-8), 0:2 ა. კოსტიცინი-5, 1:2 შუბერტი-2 (კუბინა-11, კ. არმსტრონგი-5), 2:2 კ. არმსტრონგი-6 (ე. კეინი-6, შუბერტი-3), 2:3 ა. კოსტიცინი-6 (პლეკანეცი-26, მ.-ა. ბერჟერონი-8), 3:3 ანტროპოვი-4 (ენსტრიომი-18, კოვალჩუკი-13), 4:3 კოვალჩუკი-17 (ვიაჩ. კოზლოვი-10, ენსტრიომი-19).

**კოლამბუსი-ანაჰაიმი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 სექსტონი-4 (ს. კოივუ-11, რაიანი-11), 0:2 რაიანი-14 (ბრუკბანკი-2, რაიან უიტნი-14), 1:2 უმბერგერი-10 (ნეში-17, ვერმეტი-16), 1:3 პერი-16 (რაიან უიტნი-15, ს. ნილდერმაიერი-16)

**პიტსბურგი-ფლორიდა 3:2 (ო)**

1:1, 1:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 რაინპრეხტი-11 (ოლეში-8, დვორაკი-6), 1:1 დუპუი-9 (ადამსი-8, გოლიგოსკი-11), 2:1 ფედოტენკო-5 (მალკინი-22, რუპი-4), 2:2 უეისი-14 (მაკეიბი-13, ჰორტონი-20), 3:2 მალკინი-9 (გონჩარი-13, კროსბი-18).

**ნეშვილი-დეტროიტი 2:3 (ო)**

0:0, 1:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ბერტუცი-7 (დ. მილერი-1, ოსგუდი-1), 0:2 დ. მილერი-3 (დაციუკი-16), 1:2 რ. ჯონსი-1 (სალივანი-13, ფრანსონი-5), 2:2 ლეგვანდი-6 (დუმონი-15, რ. ჯონსი-1), 2:3 ბერტუცი-8 (დაციუკი-17).

**ფინიქსი-სან ხოსე 2:1**

0:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ვრბატა-9 (იენდლი-9, ზ. მიხალეკი-7), 2:0 ლანგი-7 (პიატი-3), 2:1 ჰიტლი-21 (დ. ბოილი-21, ჯ. ტორნტონი-37).

**ვანკუვერი-მინესოტა 4:3**

3:2, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-7 (ჰ. სედინი-25, ბიეკსა-13), 2:0 რეიმონდი-11 (ჰ. სედინი-26, ბიეკსა-14), 2:1 ჰნიდი-1 (ჰავლატი-11, ბროძიაკი-7), 3:1 ბაროუზი-10 (დ. სედინი-11, ჰ. სედინი-27), 3:2 ზენონი-2 (ჰავლატი-12, ბროძიაკი-8), 4:2 კესლერი-7 (შნაიდერი-3, რეიმონდი-9), 4:3 ჰავლატი-4 (ბრუნეტი-18).

**ლოს ანჯელესი-დალასი 3:2 (ბ)**

0:1, 2:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ნილი-14 (ბ. რიჩარდსი-27, ლ. ერიქსონი-18), 1:1 ფროლოვი-8 (ჯასტინ უილიამსი-15), 1:2 მოდანო-5 (ლეჰტინენი-2), 2:2 კოპიტარი-16 (ო'დონელი-6, რიჩარდსონი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰანძუში (ლოს ანჯელესი).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| იაპონიის თასი | |
|---|---|
| **1/4 ფინალი** | |
| ვეგალტა-კავასაკი | 2:1 დ.დ. |
| შიმიცუ-ნიიგატა | 3:2 დ.დ. |
| კაშიმა-გამბა | 1:2 |
| ნაგოია-გიფუ | 3:0 |

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ტორონტო-ჰიუსტონი | 101:88 |
| **გერმანია** | |
| გიოტინგენი-სკაილაინერსი | 90:78 |
| ერტლანდი-დიუსელდორფი | 83:65 |
| ლუდვიგსბურგი-ფინიქსი | 95:66 |
| ბრაუნშვაიგი-ბამბერგი | 73:80 |
| გესენი-ულმი | 73:72 |
| ბრემერჰავენი-ალბა | 60:79 |
| პადერბორნი-მიტლდოიჩე | 75:70 |
| ოლდენბურგი-ტიუბინგენი | 87:61 |
| **საბერძნეთი** | |
| პანელინიოსი-აეკ | 79:70 |
| მარუსი-პანიონიოსი | 71:65 |
| ოლიმპია-ლარისა | 70:74 |
| ოლიმპიაკოსი-ტრიკალა | 107:73 |
| არისი-პერისტერი | 86:79 (ო) |
| კავალა-პანათინაიკოსი | 73:85 |
| პაოკ-ილისიაკოსი | 77:61 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-უნიკახა | 70:81 |
| ვალენსია-მანრესა | 92:74 |
| ხუვენტუდი-კახა ლაბორალი | 73:77 |
| ესტუდიანტესი-გრანადა | 77:65 |
| სევილია-მურსია | 99:59 |
| ალიკანტე-ბრუესა | 100:102 |
| ობრადოირო-რეალი | 78:68 (ო) |
| ბარსელონა-ვალიადოლიდი | 83:50 |
| გრან კანარია-ფუენლაბრადა | 70:77 |
| **იტალია** | |
| კანტუ-ვირტუსი | 72:63 |
| აველინო-მილანი | 66:73 |
| ბენეტონი-კაზერტა | 70:72 |
| ნაპოლი-ვარეზე | 81:84 |
| სკავოლინი-ფერარა | 75:70 |
| მონტეგრანარო-ბიელა | 88:82 |
| ვანოლი-სიენა | 72:92 |
| რომა-ტერამო | 61:80 |
| **საფრანგეთი** | |
| ტულონი-შალონი | 75:70 |
| ვიში-ნანსი | 74:66 |
| როანი-პუატიე | 82:62 |
| დიჟონი-გრაველენი | 81:83 |
| ორლეანი-სტრასბური | 99:71 |

**ხელბურთი**

| მსოფლიოს ჩემპიონატი | |
|---|---|
| **ქალები** | |
| გერმანია-რუსეთი | 22:34 |
| საფრანგეთი-ანგოლა | 33:24 |
| დანია-ავსტრია | 30:27 |
| რუმინეთი-ჩინეთი | 40:19 |
| ნორვეგია-კორეა | 27:28 |
| უნგრეთი-ესპანეთი | 21:21 |
| ავსტრია-გერმანია | 26:29 |
| რუსეთი-საფრანგეთი | 23:24 |
| ანგოლა-დანია | 28:23 |
| კორეა-უნგრეთი | 28:28 |
| ჩინეთი-ნორვეგია | 19:34 |
| ესპანეთი-რუმინეთი | 26:25 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ამური-სპარტაკი | 2:2 |
| სიბირი-ლოკომოტივი | 2:1 |
| მეტალურგი (ნ)-ცსკა | 4:2 |
| დინამო (რ)-დინამო (მნ) | 2:0 |
| მეტალურგი (მ)-ლადა | 3:2 |
| ტრაქტორი-აკ ბარსი | 0:0 |
| სკა-დინამო (მ) | 0:2 |
| სევერსტალი-ცსკა | 3:3 |
| ვიტიაზი-ატლანტი | 4:4 |
| ს. იულიაევი-ბარისი | 4:1 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-გრაცი | 4:2 |
| ოლიმპია-ვენა | 3:6 |
| ლინცი-ვილახი | 4:1 |
| ზაგრები-აკრონი | 7:2 |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 5:0 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 4:6 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 1:4 |
| მანჰაიმი-იზერლონი | 0:4 |
| კრეფელდი-აუგსბურგი | 5:2 |
| შტრაუბინგი-ფრანქფურტი | 2:1 შენ. |
| დიუსელდორფი-კასელი | 5:2 |
| ინგოლშტადტი-აისბარენი | 3:5 |
| **ნორვეგია** | |
| სტიორნენი-ფრისკ ასკერი | 4:4 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 3:5 |
| ვოლერენგა-მანგლერუდი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰპკ-ჰიფკ | 4:1 |
| ილვესი-ტპს | 2:4 |
| იოკერიტი-ტაპარა | 2:4 |
| კალპა-კერპეტი | 1:0 |
| ლუკო-კიეკო | 1:2 |
| სეიპა-პელიკანსი | 4:4 |
| ესეტი-იუვიასკიულა | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-პლზენი | 5:7 |
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 2:4 |
| ვიტკოვიცე-ბრნო | 2:3 |
| პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 5:0 |
| სპარტა-ზლინი | 2:5 |
| ლიბერეცი-ლიტვინოვი | 1:4 |
| ბოლესლავი-კლადნო | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| ბილი-ფრიბურგი | 3:3 |
| ამბრი პიოტა-კლოტენი | 3:3 |
| რაპერსვილი-ციურიხი | 4:0 |
| ცუგი-დავოსი | 3:2 |
| ჟენევა-ბერნი | 1:3 |
| ლუგანო-ლანგნაუ | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფრიოლუნდა | 3:5 |
| როგლე-ტიმრა | 4:1 |
| იურგორდენი-სიოდერტალე | 3:1 |
| ლინჩოპინგი-ბრიუნასი | 5:0 |
| ჰვ71-ფერიესტადი | 7:1 |
| ლულეა-მოდო | 1:1 |

TV პროგრამა

**14 დეკემბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბარი-იუვენტუსი.
09:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
11:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი.
13:15 სპორტული ცეკვები.
14:05 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-რომა.
18:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:55 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
19:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:20 სპორტული სამყარო.
20:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
23:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:15 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-კალგარი.
01:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:05 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
02:05 სპორტული სამყარო.
02:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
03:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
04:05 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ოტავა (LIVE).
06:45 სპორტული ცეკვები.
07:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-რომა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი.
09:45 კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური. ხიმკი-პანათინაიკოსი.
11:25 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-აილენდერსი.
13:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-უიგანი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-ინტერი.
16:45 სპორტული ცეკვები.
17:35 მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი. კოპენჰაგენი. დანია.
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ლევერკუზენი.
22:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-ბარსელონა.
00:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
01:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
02:30 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
03:25 სპორტული სამყარო.
03:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-უიგანი.
05:45 კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური. ხიმკი-პანათინაიკოსი.
07:25 სპორტული ცეკვები.

**EUROSPORT**

11:30 ზამთრის სპორტის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
11:35 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
12:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
14:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი. ბრიტანეთი.
15:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
16:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
18:15 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ქალები/კაცები. სპრინტი. დავოსი. შვეიცარია.
19:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
20:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
23:15 ფეხბურთი. კვირის სტუმარი. ტელეჟურნალი.
23:30 მულტისპორტი.
23:45 არმრესტლინგი.
01:10 მულტისპორტი.
01:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
02:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
03:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

კრივი. სატიტულო ბრძოლა

# კლიჩკომ კლოუნი დაამარცხა

უკრაინელმა სუპერმძიმეწონოსანმა **ვიტალი კლიჩკომ** იოლად და დამაჯერებლად შეინარჩუნა WBC-ის საჩემპიონო ტიტული. უფროსმა კლიჩკომ მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა ამერიკელი **კევინ ჯონსონი**, რომელიც რინგზე კლოუნადით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე ოსტატობით. თუმცა ჯონსონის გუნდს მაინც აქვს სიამაყის საბაბი - ის მეორე მოკრივეა ისტორიაში, ვინც ვიტალის 12 რაუნდი გაუძლო.

ამ ბრძოლის წინა ისტორია საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. კევინ ჯონსონმა აგრესიული ტაქტიკა აირჩია. ის არ ერიდებოდა შეურაცხყოფას და ყველა ინტერვიუში ამბობდა, რომ კრივში კლიჩკოების ეპოქა მალე დასრულდება.

*„ჩემთვის ეს ბრძოლა ერთ მიზანს ემსახურება - სუპერმძიმე წონა ძმები კლიჩკოებისგან უნდა გაიწმინდოს, - ამბობდა ამერიკელი. - და იმას, რაც ადრე ვერავინ შეძლო, მე გავაკეთებ. საჩემპიონო ქამრების ადგილი ამერიკაშია. მსოფლიოს შევძრავ იმით, რომ კლიჩკოს ნოკაუტში გავგზავნი. ამისთვის ცხრა რაუნდი მეყოფა. კრივის ისტორიაში მხოლოდ ორი ადამიანი შეძლებდა ჩემს დამარცხებას - მუჰამედ ალი და ლარი ჰოლმსი“.*

გარდა ამისა, ჯონსონს რატომღაც არ მოეწონა ჩემპიონის გარეგნობა და ის ფრანკენშტეინს შეადარა.

ვიტალი კარგა ხანი ითმენდა მეტოქის ასეთ ფრაზებს, მაგრამ ბრძოლის წინ ერთხელ მაინც დაუბრუნა ვალი ჯონსონს: *„კევინ, არ დაგავიწყდეს ბრძოლისთვის განკუთვნილი ჰონორარიდან 10 პროცენტის ცალკე გადადება. ეს თანხა ბრძოლის შემდეგ მკურნალობისთვის გამოგადგება“.*

და აი, დადგა ურთიერთობის რინგზე გარკვევის დრო. ვიტალი, როგორც ყოველთვის, თავში დარწმუნებული იყო, თუმცა ამერიკელიც მშვიდად გამოიყურებოდა.

შეხვედრის დასაწყისი მთლიანად კლიჩკოს უპირატესობით აღინიშნა. მან ინიციატივა მოიპოვა და თანდათან მიზანში მოხვედრა დაიწყო. ამ დროს ჯონსონი ძალიან უცნაურად იქცეოდა. საპასუხო დარტყმების ნაცვლად, მან გაუგებარი შოუ მოაწყო და ამით უკრაინელის წყობიდან გამოყვანა სცადა. ის თავს უშვერდა მეტოქეს და შეტევისთვის აქეზებდა. შემდეგ ბაგირებს აწყდებოდა და ყრუ დაცვაში მიდიოდა.

მეორე და მესამე რაუნდები პირველისგან დიდად არ განსხვავდებოდა. იგივე ცირკი ამერიკელის შესრულებით და კლიჩკოს დამაჯერებელი წინსვლა. ამის წყალობით ვიტალი თანდათან ამდიდრებდა ქულათა მარაგს. ერთადერთი რამ იყო გაურკვეველი - თუ ჯონსონს მეტოქის ყურადღების მოდუნება და შემდეგ შეტევაზე გადასვლა უნდოდა, მაშინ უფრო აქტიურად უნდა ემოქმედა. ის კი, უბრალოდ, ერთ ადგილზე იდგა და მხოლოდ თავს იცავდა.

მეოთხე რაუნდში კლიჩკო კიდევ უფრო გააქტიურდა. მეტოქე კი თავის სტილსა და ტაქტიკას არ ცვლიდა. ჯონსონმა ერთ რამეს მაინც მიაღწია - უკრაინელს მარჯვენა თვალთან პატარა ჭრილობა გაუჩნდა, მაგრამ საშიში არაფერი იყო.

ბრძოლის შუაში ბერნის დარბაზში შეკრებილმა პუბლიკამ სტვენა დაიწყო. ეს იყო ყველაზე ადეკვატური რეაქცია რინგზე მიმდინარე ბრძოლის მსვლელობაზე. ჩემპიონი უტევდა, მაგრამ მის დარტყმებს ძალა და სიზუსტე აკლდა, პრეტენდენტმა გაიხსენა, რომ მასაც შეუძლია დარტყმა, თუმცა ეს დიდი იშვიათობა იყო.

თავიდან ისე ჩანდა, რომ ჯონსონი კლიჩკოს დაღლას ელოდებოდა და შემდეგ შეუტევდა მეტოქეს. მაგრამ ამისთვის ამერიკელს უფრო მეტად უნდა შეეწუხებინა მოწინააღმდეგე და დაცვაში არ უნდა ჩამდგარიყო. როცა ყველა ელოდა, რომ კევინი შეტევაზე გადავიდოდა, სწორედ ამ დროს გაირკვა, რომ ჯონსონს მეტოქის წინააღმდეგ არანაირი არგუმენტი არ გააჩნდა. ის დაბალი კლასის მოკრივეა, რომლისთვისაც რინგზე მთავარი ამოცანა შემდეგში მდგომარეობს - მეტოქეს მისი საუკეთესო თვისების გამოვლენის საშუალება არ მისცეს. კევინს არ გააჩნია ნოკაუტის მომტანი დარტყმა, ასე რომ, კლიჩკოს უფრო მეტად რომ მოენდომებინა, ბრძოლას თავის სასარგებლოდ ნაადრევად დაასრულებდა.

თუმცა უკრაინელს ჰქონდა ამის მცდელობა. ვიტალიმ ბოლო ორი რაუნდი პირწმინდად მოიგო - ამერიკელმა ბევრი დარტყმა გაატარა, მაგრამ საფინალო გონგამდე გაძლო. ბრძოლის შედეგი ეჭვს არ იწვევდა, თუმცა ჯონსონმა მე-12 რაუნდის დასრულების შემდეგაც სცადა კლიჩკოს მწყობრიდან გამოყვანა. კარგია, რომ ჩხუბამდე საქმე არ მივიდა.

მოგვიანებით, **მაიკ ბაფერმა** მატჩის ანგარიში გამოაცხადა (120:108, 120:108, 119:109). ორმა არბიტრმა სამართლიანად მიანიჭა კლიჩკოს თორმეტივე რაუნდში გამარჯვება, ერთმა კი ჯონსონი შეიბრალა და მას ერთ რაუნდში მიანიჭა უპირატესობა. მაგრამ ამას საბოლოო შედეგზე გავლენა არ ჰქონია. კლიჩკომ გაიმარჯვა და ახლა მორიგ მეტოქეს ელოდება.

■ ■ ■

სხვათა შორის, ვიტალის სავარაუდო მოწინააღმდეგე სწორედ გასულ უქმეებზე ირკვეოდა. ამერიკის ქალაქ საკრამენტოში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ოლეგ მასკაევი** დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენელს, 23 წლის **ნად აგილერას** ხვდებოდა.

ნაკლებად ცნობილმა აგილერამ ყველასთვის მოულოდნელად ძალიან იოლად დაამარცხა გამოცდილი მოწინააღმდეგე - პირველ რაუნდში მასკაევი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, რის შემდეგაც საქმეში რეფერი ჩაერია და ბრძოლა შეწყვიტა. ახალგაზრდა დომინიკელს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიანიჭეს.

ახლა აგილერას ამერიკელ **რეი ოსტინთან** ბრძოლა ელის. სწორედ ამ შეხვედრაში გამარჯვებული უნდა შეხვდეს ვიტალი კლიჩკოს WBC-ის საჩემპიონო ქამრისთვის.

**გია თვალაბეიშვილი**






